ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება
და კონსულტირება

ანი სიმსივე

პრობლემური ქცევასთან დაკავშირებული ფაქტორები ქართველ მოზარდებში : აღზრდის სტილი, თვითეფექტურობა და თვითრეგულაცია

ნაშრომი შესრულებულია ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
თსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ლუიზა არუთინოვი
თანახელმძღვანელი : თსუ-ს დოქტორანტი,
თინათინ ბანძელაძე

თბილისი, 2019

შინაარსი

აბსტრაქტი 3
შესავალი 4
თავი 1. მოზარდთა პრობლემური ქცევა 5
თავი 2. პრობლემის ფორმულირება, საკვლევი საკითხის აქტუალობა 6
თავი 3. პრობლემური ქცევის თეორიები 9
3.1. ბიოლოგიური პერსპექტივა 9
3.2 თვითკონტროლის თეორია 10
3.3 სოციალური კონტროლის თეორია 11
3.4. პერსისტენტული და მოზარდობის ასაკის ანტისოციალური ქცევა. 12
3.5. პრობლემური ქცევის თეორია 14
3.6. პრობლემური ქცევის რისკ და დამცავი ფაქტორები 16
3.7. სოციალურ კოგნიტური დასწავლის თეორია 18
თავი 4. ძირითადი ცნებების ოპერაციონალიზაცია 26
4.1. პრობლემური ქცევა 26
4.2. ინდივიდუალური ფაქტორები 27
თვითეფექტურობა 27
თვითრეგულაცია 28
4.3. სოციალური გარემო 29
აღზრდის სტილი 29
თავი 5. კვლევის საკითხის განსაზღვრა 32
თავი 6. კვლევის მეთოდი 34
კვლევის მონაწილეები 34
კვლევის ინსტრუმენტი 34
პროცედურა 35
თავი 7. მიღებული შედეგების ანალიზი 36
7.1. საკვლევი ინსტრუმენტების სანდოობის შემოწმება 36
7.2 აღწერითი სტატისტიკა 38
7.3 დემოგრაფიული მახასიათებლების ურთიერთმიმართება 41
7.4 კვლევის ძირითად ცვლადებს შორის ურთიერთმიმართება 48
7.4 კორელაციური ანალიზი 51
7.5 რეგრესიული ანალიზი 56
7.6 მედიაციური ანალიზი 57
თავი 8. შედეგების განხილვა 58
9. დასკვნა 61
გამოყენებული ლიტერატურა 63

აბსტრაქტი

მოზარდობის ასაკი ქცევითი პრობლემების გამოვლენის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური ეტაპია. მოზარდების პრობლემური ქცევა და მასთან დაკავშირებული საკითხები აქტუალურია აღზრდის, პრევენციისა და რეაბილიტაციის პროცესში ჩართული თითქმის ყველა დონის საზოგადოებრივი ინსტიტუტისათვის - მათ შორის ოჯახის, სკოლის, დანაშაულის პრევენციისა თუ პრობაციის სააგენტოებისათვის.

პრობლემური ქცევის აქტუალობის მიუხედავად, მწირია იმ კვლევების რაოდენობა, რომლებიც სიღმისეულად შეისწავლიან ქართველი მოზარდების პრობლემურ ქცევასთან დაკავშირებულ მახასიათებლებს. მოცემული ნაშრომი ორიენტირებულია საკითხის ამ კუთხით შესწავლაზე და მიზნად ისახავს პრობლემური ქცევასთან დაკავშირებული ინდივიდუალური თუ სოციალური მახასიათებლების შესწავლას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 12-დან 17 წლამდე 200 მოზარდმა (87 ბიჭი, 113 გოგო). მათ შორის იყვნენ თბილისის 21-ე , 115-ე, 55-ე საჯარო და ევროპული სკოლის მოსწავლეები.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის მთავარი ცვლადებია: მოზარდების პრობლემური ქცევა (დელიკვენტობა, ალკოჰოლისა და ნივთიერებათა (მარიხუანას) გამოყენება), სოციალური ცვლადები - აღზრდის სტილი (ლიბერალური, ავტორიტეტული და ავტორიტარული აღზრდის სტილი) და პიროვნული ცვლადები - თვითრეგულაცია და თვითეფექტურობა. მონაცემთა მოპოვებისთვის გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, გამოკითხვა ხდება თვითანგარიშის კითხვარის საფუძველზე.

რაც შეეხება კვლევის ინსტრუმენტებს, აღზრდის სტილის საკვლევად გამოიყენებოდა მშობლის აღზრდის სტილის კითხვარი (PAQ). თვითრეგულაციის უნარის შეფასებისთვის გამოიყენება მოზარდთა თვითრეგულაციის კითხვარი (ASRI), რომელიც თეორიულ საფუძველზე დამყარებული თვითრეგულაციის საზომი ინსტრუმენტია და აფასებს ხანმოკლე და ხანგრძლივი თვითრეგულაციის უნარს. თვითეფექტურობის რწმენების შესაფასებლად გამოიყენება „ბავშვთა და მოზარდთა თვითეფექტურობის სკალის“ (Bandura) კვლევისთვის რელევანტური ქვესკალები, კერძოდ: სოციალური რესურსების გამოყენება, სწავლის პროცესის წარმართვა, ექსტრაკურიკულარული აქტივობები, თვითრეგულაციის ეფექტურობა, ასერტული ქცევის განხორციელების ეფექტურობა, სოციალური აქტივობების შესრულება. ხოლო მოზარდთა პრობლემური ქცევის შეფასებისათვის გამოიყენება რიგის სკალა, რომელიც ზომავს ორი ტიპის პრობლემურ ქცევას, კერძოდ, ესაა: 1. დელიკვენტური ქცევა, მათ შორის ქურდობა, ვანდალიზმი, ფიზიკური აგრესია 2. ნივთიერებების ბოროტად გამოყენება, მათ შორის სიგარეტისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების სიხშირე.

მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კვლევაში გამოყენებული სოციალური და ინდივიდუალური ფაქტორები სტატისტიკურად სანდოდ არის დაკავშირებული პრობლემური ქცევისადმი მოწყვლადობასთან ქართველ მოზარდებში. კერძოდ, პრობლემური ქცევის დაბალ ინდექსთან დაკავშირებულია ავტორიტეტული აღზრდის სტილი და თვითრეგულაცია. პრობლემური ქცევა უფრო მეტად ბიჭებშია გავცელებული და მისი გამოვლენის ალბათობა იზრდება ასაკის მატებასთან ერთად. აღზრდის სტილი დამოუკიდებლად ახდენს ზეგავლენას პრობლემურ ქცევაზე ინდივიდუალური ფაქტორების გამაშუალებელი კავშირის გარეშე.

Abtract

Age of adolescence is one of the most sensitive phases in terms of behavioral problems. Problematic behavior of adolescents and related issues is urgent for almost all levels of public institution involved in parenting style, prevention and rehabilitation process, including the family, school, crime prevention agencies or the probation services.

Despite the actuality of problematic behavior there is small number of researches that examine the characteristics of the problem of Georgian teenagers. This work focuses on studying this issue in this context and aims to study individual or social characteristics associated with problematic behavior.

200 adults aged between 12 and 17 years (87 boys and 113 girls) took part in this research. Among them were Tbilisi 21st, 115th, 55th public and European school students.

The main variables of research are: the problematic behaviour of adolescent (delinquency, substance abuse), social variables - parenting style (liberal, authoritative and authoritarian style) and personal variables - self-regulation and self-efficacy. Quantitative research methods are used to collect data. The survey is based on a self-administered questionnaire.

As for research instruments, parenting style questionnaire (PAQ) was used to study the upbringing style. Adult self-regulation questionnaire (ASRI) is used for assessing self-regulation skills, which is a measurement tool based on a theoretical basis and evaluates the short-term and long-term self-regulation.

The use of social resources, the process of learning, extra-curricular activities, the effectiveness of self-regulation, the effectiveness of aeration of behavior and the implementation of social activities are used to assess beliefs in self-efficacy within the scale of self-efficacy of children and adolescents written by Bandura. For the assessment of problematic behavior of adolescents ordinar scale is used to measure two types of problematic behaviors, namely: 1. Delincuency, including theft, vandalism, physical aggression 2. Substances abuse, including the frequency of consumption of cigarettes and drugs.

An analysis of the data obtained showed that the social and individual factors used in the study are statistically significant with regard to vulnerability to problematic behavior among Georgian adolescents. In particular a low index of problematic behavior is associated with the style and self-regulation of authoritarian education. Also, high index of problematic behavior is mostly associated with boys, than girls and the chance of problematic behavior raises through the age. Parenting style independently influences behavioral behavior without the intervention of individual factors.

შესავალი

მოზარდობის ასაკი - ეს არის ადამიანის ცხოვრების განსაზღვრული პერიოდი ბავშვობასა და მოზრდილობას შორის. როგორც ფ. რაისი ამბობდა - ეს არის ხიდი ბავშვობასა და მოწიფულობას შორის, რომელზეც თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაიროს, რათა ზრდასრულ პიროვნებად ჩამოყალიბდეს და სრულყოფილად განვითარდეს როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად და სოციალურად.(F.Philip Rice, 1992). არაერთი გავრელებული ლიტერატურის მიხედვით, მოზარდობის ასაკი იწყება 12 წლიდან და გრძელდება 18 წლამდე, ადრეული მოწიფებულობის დადგომამდე. მიუხედავად ამისა, მოზარდობის ასაკი არ არის მკაცრად შემოსაზღვრული პერიოდი, გამომდინარე იქიდან, რომ ყოველი ადამიანისთვის განვითარების პროცესი ინდივიდუალურია და შესაძლოა არ მიჰყვებოდეს ასაკობრივი განვითარების ზოგად ჩარჩოებს. შესაბამისად, მოზარდობის პერიოდს შესაძლოა არ ჰქონდეს უნივერსალურად განსაზღვრული დასაწყისი და დასასრული. იქედან გამომდინარე, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ინდივიდის განვითარების ყველა სფეროში რადიკალური ცვლილებები მიმდინარეობს, მოზარდობის ასაკი პიროვნების განვითარების პროცესში ყველაზე სენსიტიურ, კრიტიკულ პერიოდს წარმოადგენს, რომელიც უამრავ გამოწვევებთან არის დაკავშირებული.

ერიკ ერიქსონის ფსიქო-სოციალური თეორიის მიხედვით, ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს თან ახლავს გარკვეული კრიზისი, კრიტიკული ეტაპი, რომლის წარმატებით გადალახვა სრულფასოვანი განვითარების საწინდარია. მოზარდობის ასაკი კი არის ერთ-ერთი ურთულესი სტადია ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც ის ეჯახება სოციალურ მოთხოვნებს და ითავსებს ახალ როლებს. ერიქსონს მიაჩნდა, რომ მოზარდობის ძირითადი კრიზისი საკუთარი ინდივიდუალურობის ანუ იდენტობის აღმოჩენაა. მოზარდი ცდილობს გაიგოს ვინ არის და რა ადგილი უჭირავს სოციუმში. მან უნდა გაამთლიანოს ცოდნა საკუთარი თავის შესახებ (როგორია როგორც შვილი, მოსწავლე, მეგობარი და ა.შ.) და ინტეგრირება მოახდინოს პიროვნულ იდენტობაში. (Erikson, Erik H.,1968). ამ პერიოდის განმავლობაში ყალიბდება ისეთი ფსიქოლოგიური მახასიათებლები, როგორიცაა ინდივიდის მე-კონცეფცია, თვითცნობიერება, საკუთარი შინაგანი სამყაროს მიმართ დიდი ინტერესი, საკუთარი გრძნობებისა და განწყობილებების გაგების სურვილი და უნარ. ასევე, ინტენსიურად ვითარდება იდეალები, გრძნობები , საზოგადოებრივი მისწრაფებები, სოციალური შეფასებები და ინტერესები, რაც პიროვნების მიმართულებისა და მისი ღირებულებითი ორიენტაციის საფუძველია. (გოგიჩაიშვილი, 2005). არჩეული ღირებულებებისა და მიზნების შედეგად კი მდგრადი პიროვნული იდენტობა ყალიბდება. რა თქმა უნდა, ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული ის სოციალური გარემო, სადაც მოზარდი ცხოვრობს. სოციალური ჯგუფები და ინსტიტუციები (ოჯახი, სკოლა…) აყალიბებენ იმ სოციალურ ნორმებს, რომელზე დაყრდნობით მოზარდი საკუთარ პიროვნულ იდენტობას იძენს. ერიქსონის მიხედვით, კრიზისი სწორედ თვითიდენტიფიკაციის პრობლემაში მდგომარეობს. ყველა მოზარდს არ შეუძლია დადებითი „მე- კონცეფციისა'' და იდენტობის ფორმირება. თუ ეს პროცესი წარუმატებლად მიმდინარეობს, უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოვლინდეს როლურ აღრევაში, რაც საბოლოოდ მოზარდის განვითარების ყველა სფეროზე მოახდენს ნეგატიურ ზეგავლენას. საზოგადოებაში არსებული ცვლილებები მოზარდებში იწვევენ შფოთვას, რის გამოც ხშირად ისინი ემიჯნებიან გარემოს და

ნეგატიურ იდენტობას იყალიბებენ – საწინააღმდეგოს იმისა, რასაც კარნახობს მათ მშობელი, მასწავლებელი, თანატოლი თუ ნორმები.

მოზარდობის ასაკი ქცევითი პრობლემების გამოვლენის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური ეტაპია. ამ პერიოდში იზრდება დელიკვენტური ქცევის განხორციელების ალბათობა, ალკოჰოლისა და ნივთიერებათა ბოროტად გამოყენება, სქესობრივი ცხოვრების დაწყება ადრეულ ასაკში (Turbin, Costa, 2007; Siegel, Welsh, 2011).

თავი 1. მოზარდთა პრობლემური ქცევა

მოზარდთა პრობლემურ ქცევასთან დაკავშირებული საკითხის განხილვისას, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ თავად ასაკი წარმოადგენს პრობლემური ქცევის რისკ-ფაქტორს, მასთან დაკავშირებულ სხვა ფაქტორებთან ერთად, რომლებზეც უფრო დეტალურად ნაშრომის ძირითად ნაწილში იქნება ყურადღება გამახვილებული. თავდაპირველად კი, აუცილებელია დავიწყოთ ცნების განმარტებით.

პრობლემური ქცევა საკმაოდ ფართო ტერმინია და შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ერთი საყოველთაოდ მიღებული და უნივერსალური განმარტება. სხვადასხვა კულტურასა თუ სოციუმში ქცევის პრობლემურობას სწორედ ის კონტექსტი განსაზღვრავს, სადაც ის აღმოცენდება. სხვადასხვა წყაროების მიხედვით, პრობლემური ქცევის სხვადასხვა ასპექტებზეა ყურადღება გამახვილებული, რაც აღნიშნულ კონსტრუქტს კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის. გთავაზობთ პრობლემური ქცევის გავრცელებულ განმარტებას, რომელიც ამერიკელმა პროფესორმა რიჩრდ ჯესორმა შემოგვთავაზა. „ ქცევა სოციალურად განსაზღვრულია, როგორც პრობლემური, თუ ის რომელიც ზიანის მომტანია სხვებისათვის და სოციალური ან/და ლეგალური ნორმებისაგან გადახვევას გულისხმობს. ასეთ ქცევას ყოველთვის მოყვება სოციალური კონტროლით გათვალისწინებული რაიმე ტიპის რეაგირება, იქნება ეს სხვების მხრიდან იგნორირება, არმოწონება, გაკიცხვა, ადმინისტრაციული სასჯელი თუ უკიდურეს შემთხვევაში, დაპატიმრება (Jessor, 1989). პრობლემური ქცევის ერთ-ერთ ფორმაა დელიკვენტური ქცევა, რომელიც გულისხმობს იმ პირის მიერ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც, კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, არასრულწლოვნად ითვლება(Bartol, 2008). საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიხედვით, არასრულწლოვნად ითვლება 14-დან 18 წლამდე ასაკის პირი (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2016). ისეთ პრობლემური ქცევას, რომელიც სოციალური ნორმების დარღვევას გულისხმობს (ქურდობა, იარაღის ტარება) და საზოგადოებისათვის ზიანის მომტანია, ანტისოციალური ქცევა ეწოდება. (The Gale Encyclopedia of Children`s Health, 2011). პრობლემური ქცევის ზოგიერთი ფორმა, ყველაზე მეტად მოზარდისათვის, მისი ჯანმრთელობისათვისაა ზიანის მომტანი და სხვა ადამიანებს ნაკლებად აზარალებს. (ალკოჰოლისა თუ ნივთიერებების ბოროტად გამოყენება, Turbin et al., 2006). ნებისმიერ შემთხვევაში პრობლემური ქცევა აზიანებს განვითარების პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას, ხელს უშლის მოზარდის სოციალურ ურთიერთობებს, სოციალური მოლოდინების განხორციელებას და აუცილებელი სოციალური კომპეტენციის დაუფლებას. შესაბამისად, ფერხდება გარემოსთან ადაპტაციის პროცესი და მოზარდობიდან ადრეულ მოწიფულობაში ადეკვატური გადასვლის შესაძლებლობა (Jessor 1991; Siegel, Walsh, 2008).

თავი 2. პრობლემის ფორმულირება, საკვლევი საკითხის აქტუალობა

მიუხედავად იმისა, რომ პრობლემური ქცევა ადამიანის განვითარების ყველა სფეროზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს, თავად მოზარდისათვის ის შეიძლება სუბიექტურად პოზიტიურ შედეგებთან იყოს დაკავშირებული, იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული ქცევა არის ავტონომიურობისა, მოწიფულობის, ზრდასრულის სოციალური სტატუსის მოპოვების ერთ-ერთი საშუალება (Moffitt, 1993). მოწევა, ალკოჰოლის მიღება, ავტომობილის სარისკო მართვა, სქესობრივი აქტივობა - მოზარდსთვის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ის აღწევს თანატოლთა სოციალურ ჯგუფში მიღებას და პატივისცემას, კონვენციონალური ნორმების უარყოფას, ცხოვრების აღნიშნულ ეტაპზე არსებულ უამრავ ცვლილებებთან დაკავშირებულ შფოთვასთან გამკლავებას, დემონსტრირებას იმისა, რომ უკვე ზრდასრული და ჩამოყალიბებული ადამიანია. ამგვარი მიზნებისაკენ სწრაფვა ნორმალური განვითარების თანმხლები მოვლენაა (Turbin et al., 2006).

აქედან გამომდინარე, ძალიან რთულია მოზარდობის ასაკში სარისკო ქცევის პრევენცია და მართვა. მოზარდთა პრობლემური ქცევისადმი მეცნიერთა გაზრდილი ინტერესი არაერთი კვლევით დასტურდება. დღევანდელ საზოგადოება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, იმისათვის რომ დაგეგმოს პრობლემურ ქცევის პრევენციისა და ინტერვენციის სტრატეგიები და ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობის ჯანსაღ და ეფექტურ განვითარებას. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის, ინტერვენციის და რეაბილიტაციის პროგრამების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა, ამ პროგრამებიდან ძალიან ცოტა მათგანი იყო ეფექტური და გრძელვადიანი შედეგების მომტანი (Tarolla, Wagner, Rabinowitz & Tubman, 2002). გასათვალიწინებელია ისიც, რომ მეცნიერული მეთოდების გამოყენებით ბევრი პროგრამა არ ყოფილა შეფასებული.

პრობლემური ქცევა განვითარების ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ სფეროში არსებული დამცავი და რისკფაქტორების ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება (Steinberg, 1987; Jessor, 1989; Murray, Farrington, 2010). სწორედ ამ ფაქტორებისა და ბავშვის განვითარების პრინციპების სიღრმისეული მეცნიერული კვლევა და ანალიზი განაპირობებს პრევენციისა და ინტერვენციის პროგრამების ეფექტურ მიმდინარეობას, რაც საკმაოდ რთული და კომპლექსური პროცესია. წარმატებული პრევენციული, ინტერვენციული თუ სარეაბილიტაციო პროგრამების მიზანი პრობლემური ქცევასთან დაკავშირებული რისკფაქტორების შემცირება და დამცავი ფაქტორების გაძლიერება, მდგრადობის განვითარება უნდა იყოს. (Smith, 2006).

გარდა ამისა, ეფექტური პრევენციული და სარეაბილიტაციო პროგრამები რამდენიმე მახასიათებელს იზიარებს. პირველ რიგში, პრობლემური ქცევის პრევენცია შესაძლებელია ისეთი პროგრამებით, რომელიც იწყება ადრეულ ბავშვობაში (Zigler et al., 1992). პრობლემური ქცევის შესახებ ტერი მოფიტის ერთ-ერთი გავლენიანი თეორიის მიხედვით, პერსისტენტული დელიკვენტური ქცევის მქონე მოზარდები ოჯახსა თუ სააღმზრდელი დაწესებულებაში, ჯერ კიდევ 4 წლის ასაკში ავლენენ ავლენენ ანტისოციალურ ქცევას სხვადასხვა ფორმით - ყვირილით, ცემით თუ სხვა დამაზიანებელი დაუმორჩილებელი ქცევით. (Moffitt, 1993). ამრიგად პრევენციული პროგრამების ადრეულ ასაკში დაწყება, ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია მისი ეფექტურობისაკენ. ხოლო, პრევენციული ზომების მიღება გვიან ასაკში, ზრდის

შანსს, რომ პრობლემური ქცევის მოზარდები თანდათან ჩაერთვებიან უფრო სერიოზულ დანაშაულში, ცხოვრების შემდეგ ეტაპზე.

წარმატებული პროგრამისთვის, ასევე მნიშვნელოვანია იყოს მულტისისტემური და კონცენტრირებული ბავშვის ფართო სოციალურ გარემოცვაზე, როგორც ოჯახთან, ასევე თანატოლებთან ურთიერთობის მიმართულებით (Dietrich et al., 2001, Needleman et al., 2002). კვლევების მიხედვით, აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი აქცენტი უნდა გაკეთდეს ოჯახზე, მისი გაძლიერებისა და აღზრდის მეთოდების გაუმჯობესებაზე. სწორედ ის არის პირველი სოციალიზაციის აგენტი და სოციალური ჯგუფი, ვისთანაც ინტენსიური კონტაქტი აქვს ახალგაზრდას. ყველაზე წარმატებული პროგრამები პირველ რიგში, ორიენტირებულია ოჯახის სისტემისა და აღზრდის პრინციპების გაუმჯობესებაზე/გაძლიერებაზე, შემდეგ კი, თანატოლებსა და აკადემიურ უნარებზე. ოჯახში არსებული აღზრდის მეთოდები და ურთიერთობები მნიშვნელოვან კავშირშია დელიკვენტობასთან.(Gorman-Smith, Tolan, Juesmann & Zelli, 1996).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პრევენციის, ინტერვენციისა თუ რეაბილიტაციის დამფუძნებლებმა და აღნიშნული მომსახურების მიმწოდებლებმა უნდა გაითვალისწინონ კულტურული კონტექსტი და პროგრამები იმ კულტურაზე და მოზარდთა პოპულაციაზე იყოს მორგებული, რომლისთვისაც შეიქმნა (Bartol & Bartol, 2008).

საქართველოში 2012 წლიდან ფუნქციონირებს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ "დანაშაულის პრევენციის ცენტრი", რომლის ერთ-ერთ სამუშაო სტრატეგიას არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია წარმოადგენს. აღნიშნული სტრატეგიისათვის მნიშვნელოვანია მორგებული იყოს არასრულწლოვანთა ჭეშმარიტ ინტერესებზე. ამონარიდი არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგის 2012 წლის დოკუმენტიდან : „ მოზარდის განვითარებასა და ქცევაზე სხვადასხვა გარემოების ერთობლიობა ახდენს გავლენას, მათ შორის, ინდივიდუალური ფაქტორები, მშობლები, საზოგადოება, გარემო და სხვა. ამიტომ მნიშვნელოვანია, პრევენციული ღონისძიებები მიმართული იყოს, როგორც თავად არასრულწლოვანზე, ისე მის სოციალურ გარემოზე. დანაშაულის ჩადენის მიზეზების შემცირება გულისხმობს ისეთ სოციალურ ფაქტორებზე მუშაობას, როგორებიცაა სიღარიბე, უმუშევრობა, საცხოვრებელი ადგილის არქონა, განათლების დაბალი დონე, სოციალური იზოლაცია და სხვა. შესაბამისად, ამ სტრატეგიის მიზანია კომპლექსური, მრავალმხრივი მიდგომის ჩამოყალიბება საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულის ეფექტიანი პრევენციის მიზნით. საგულისხმოა, რომ მოზარდთა დიდი ნაწილისათვის ანტისოციალური ქცევისადმი მიდრეკილება დროებითი ფენომენია. სოციალური ნორმებიდან გადახვევა უფრო ხშირად არასრულწლოვნის ზრდისა და განვითარების პროცესის ნაწილია. უმრავლეს შემთხვევაში, ეს ტენდენცია ქრება ზრდასრულობის მიღწევისთანავე. უმეტესობა მოზარდებისა, რომლებიც ანტისოციალური ქცევით ხასიათდებიან, ზრდასრულ ასაკში აღარ ამჟღავნებენ ამგვარ ქცევას. აქედან გამომდინარე, დანაშაულის ადრეული პრევენცია, რისკჯგუფებთან მუშაობა, სამართალდამრღვევი მოზარდების რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამების დანერგვა ძალზე მნიშვნელოვანია.“(არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ,საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №235, 2012 წ.)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოზარდების პრობლემური ქცევის პრეცენციისათვის მნიშვნელოვანი საფუძველია კარგად ვიცოდეთ რა ფაქტორები განაპირობებენ პრობლემური ქცევის აღმოცენებას ქართველ მოზარდებში და რა იცავს მათ ამგვარი ქცევების განხორციელებისაგან. ქართულ რეალობაში ასეთი კვლევები საკმაოდ მწირია. აქედან გამომდინარეობს მოცემული კვლევის მთავარი მიზანია მოზარდთა პრობლემური ქცევასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორების შესწავლა. პრობლემურ ქცევის ინდივიდუალური ფაქტორების გარდა, მნიშვნელოვან როლს სოციალური გარემო ასრულებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოზარდებთან ურთიერთობაში ადეკვატური აღზრდის მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვანია მათი სრულფასოვანი განვითარებისთვის, წინამდებარე კვლევაში სწორედ ამ საკითხებზე იქნება ყურადღება გამახვილებული. პრობლემის ფორმულირების საფუძველზე გამოიკვეთა კვლევის მთავარი შეკითხვა- *აღზრდის სტილის და ინდივიდუალური დონის რა ფაქტორებია დაკავშირებული პრობლემური ქცევისადმი მოწყვლადობას ქართველ მოზარდებში?*

თავი 3. პრობლემური ქცევის თეორიები

მოზარდთა პრობლემური ქცევისა და მასთან დაკავშირებული ფაქტორების შესახებ არსებული ლიტერატურა საკმაოდ მრავალფეროვანია. იქედან გამომდინარე, რომ პრობლემური ქცევის კონსტრუქტი საკმაოდ ფართოა და შესაბამისად მასთან მრავალი ინდივიდუალური თუ სოციალური ფაქტორებია დაკავშირებული, აღნიშნული კვლევისათვის მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ შემდეგი ლიტერატურა : 1. მოზარდთა პრობლემური ქცევის თეორიები სხვადასხვა პერსპექტივიდან 2. მოზარდობის ასაკში პრობლემური ქცევისადმი გაზრდილი მოწყვლადობის მიზეზები სხვადასხვა ავტორების თეორიული პერსპექტივებიდან. აღნიშნული თეორიები ქმნიან მოცემული კვლევის მიზნების, ჰიპოთეზებისა და ცვლადების ურთიერთმიმართების შესწავლისათვის თეორიულ ჩარჩოს.

3.1.ბიოლოგიური პერსპექტივა

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მოზარდობის ასაკში განვითარების ყველა სფერო განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, მათ შორის ფიზიკურ განვითარების სფერო. ბიოლოგიური პერსპექტივის მიხედვით, მოზარდთა პრობლემური ქცევის გაგებაში ბიოლოგიური განვითარების თავისებურებებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რაც მოუმწიფებელ ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან არის დაკავშირებული. იქედან გამომდინარე, რომ მოზარდობის ასაკში განვითარების ყველა სფეროში გარდამტეხი ცვლილებები მიმდინარეობს, მოზარდის ტვინიც მნიშვნელოვნად იცვლება, სჭირდება უფრო ინტენსიური გამღიზიანებლები, ვიდრე განვითარების სხვა ეტაპზე, რათა მოახდინოს ნერვული სისტემის სათანადოდ სტიმულირება. ეს დასკვნა ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის 2003 წლის კონფერენციაზე იქნა მიღებული. (White,2004).

მოზარდობის პერიოდში ტესტოსტერონის დონე სისხლში გაცილებით უფრო მაღალია, მის ნორმალურ დონესთან შედარებით, რაც ხელს უწყობს აგრესიული, იმპულსური ქცევების გამოვლენას (Ellis, 2003). გარდა ამისა, მოზარდობის ასაკში არ არის ნერვული იმპულსის აგზნება-შეკავებაზე პასუხისმგებელი ნეიროტრანსმიტერების ბალანსი, კერძოდ ნერვულ აგზნებაზე პასუხისმგებელი ნეიროტრანსმიტერების რაოდენობა იზრდება, ხოლო ნერვულ შეკავებაზე პასუხისმგებელი ნეიროტრანსმიტერის გამომუშავება მცირდება (Collins, 2004). ამგვარი სურათი ბევრ მკვლევარს უბიძგებს იმ დასკვნისაკენ, რომ მოზარდის ბიოლოგიური თავისებურებები მოწყვლადს ხდის მას გამოავლინოს ანტისოციალური, კონფლიქტური ქცევა (Daly, 1996). მოზარდობის დასრულებასა და ადრეული მოწიფულობის დაწყებას ერთად, აგზნებაზე პასუხისმგებელი ნეიროტრანსმიტერები მცირდება, ხოლო შეკავებაზე პასუხისმგებელი ნეიროტრანსმიტერების იზრდება. რაც, თავის მხრივ,პროცესიალური ქცევის განხორციელებისაკენ უბიძგებს ადამიანს. (Collins, 2004). თუმცა მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ანტისოციალური ქცევის გამოვლენაზე გრძელვადიან პერსპექტივაში. მოცემული დასკვნა ვერ ხსნის, რატომ არის ზოგიერთი მოზარდი მეტად მიდრეკილი ანტისოციალური ქცევისადმი მის თანატოლებთან შედარებით და რატომ ხდება ამგვარი ქცევის შენარჩუნება ცხოვრების შემდომ ეტაპზეც.

განვიხილავ პრობლემურ ქცევას ფსიქოლოგიური და სოციალური პერსპექტივიდან სოციალური პროცესის თეორიების მაგალითზე, რომლებშიც შედის თვითკონტროლისა და სოციალური კონტროლის თეორიები.

3.2. თვითკონტროლის თეორია

განვიხილავთ პრობლემურ ქცევას ფსიქოლოგიური და სოციალური პერსპექტივიდან სოციალური პროცესის თეორიების მაგალითზე, რომლებშიც მოიაზრება თვითკონტროლისა და სოციალური კონტროლის თეორიები.

თვითკონტროლის თეორიაში ყურადღება გამახვილებულია ინდივიდუალურ მახასიათებლებზე, რომლებიც პრობლემურ ქცევასთან არის დაკავშირებული. თვითკონტროლი განისაზღვრება, როგორც პიროვნული მახასიათებელი, რომლიც განაპირობებს მოცემული გარემოს გამოწვევის მიმართ მოწყვლადობას.(Gottfredson & Hirschi, 1990). ადამიანებს, რომლებსაც აქვთ დაბალი თვითკონტროლი, უფრო მეტად არიან მოწყვლადნი სხვადასხვა გარემო მოვლენების მიმართ. გოდფრედსონსა და ჰირშს მიაჩნდათ, რომ ინდივიდის პრობლემური ქცევა იყო მათი დაბალი თვითკონტროლის უნარის გამოვლინება. ეს უნარი კი ინდივიდის სოციალიზაციის პროცესში შეისწავლება. ამრიგად, თეორიის ავტორებს მიაჩნდათ, რომ დაბალი თვითკონტროლი მეტყველებს აღზრდის, დისციპლინის, სწავლებისა და ემპათიის ნაკლებობაზე, რაც ნეგატიურ შედეგებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, აღმზრდელის მხრიდან გამოვლენილი სითბო და მზრუნველობა თვითკონტროლის ჩამოყალიბების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

აღნიშნული თეორიის წარმომადგენლები თვლიდნენ რომ დაბალი თვითკონტროლი ზრდიდა ანტისოციალურ ქცევის გამოვლენის ალბათობას. ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ დაბალი თვითკონტროლის ადამიანები ორიენტირებულები არიან აწმყო სურვილების დაკმაყოფილებაზე, მათ უჭირთ საკუთარი სურვილების გადავადება და მოთმენა. შესაბამისად, ანტისოციალურ ქცევას ახორიელებენ იმიტომ, რომ მაშინვე დაიკმაყოფილონ სურვილი. მათ ნაკლებად შეუძლიათ რაიმეს დაგეგმვა და ვალდებულების აღება საკუთარ თავზე. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ დაბალი თვითკონტროლის მქონე ადამიანებს მომავალში არასტაბილური ურთიეთობები აქვთ, ხანმოკლე ქორწინება და ცვალებადი დასაქმების სტატუსი. დაბალი თვითკონტროლი ასევე დაკავშირებულია მინიმალურ ტოლერანტობასთან და თვითცენტრირებულობათან, რის გამოც ადამიანები არ თვლიან თავს ვალდებულად აიღონ პასუხისმგებლობა მომხდარ სიტუაციაში.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დაბალი თვითკონტროლის მქონე ადამიანები არიან ჩართული ანტისოციალურ ქცევაში, იმიტომ რომ ამ ქცევის განხორციელების შესაძლებლობა ყოველთვის აქვთ საკუთარ რეალობაში, იმისათვის რომ დაიკმაყოფილონ საკუთარი სურვილები, მიუხედავად იმისა,თუ ეს ანტისოციალური ქცევის განხორციელებას გულისხმობს. გარდა ამისა დაბალი თვითკონტროლი შესაძლოა რომ კრიმინალური ქცევის ერთ-ერთი პრედიქტორი იყოს.

3.3. სოციალური კონტროლის თეორია

სოციალური კონტროლის თეორია მიიჩნევს, რომ ადამიანს პრობლემური ქცევის განხორციელებისაკეn მოწყვლადს ხდის არა ინდივიდუალური ფაქტორები, არამედ სოციალური გარემოცვა. სოციალური კონტროლის მიმდევრები გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ სწორედ გარემო უბიძგებს ადამიანს მიუღებელი, სოციალური მოლოდინებისაგან განსხვავებული ქცევა განახორციელოს. (Travis Hirschi , 1969)
გარემო უნდა აძლევდეს ინდივიდს საკმარის საფუძველს იმისა, რომ მიმართოს ნორმიდან გადახრილ ქცევას. გარემოს ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ რომ უზრუნველყოს კონფორმულობა და სოციალური ნორმების დაცვა საზოგადოების მხრიდან. ამას სოციალური კონტროლის გზით ახორციელებს. სოციალური კონტროლი სამ დონეზე მიმდინარეობს. ესენია: უზრუნველყოფა, კონტროლი და რეაგირება. თუ სოციალური გარემო არის მოწესრიგებული, ეს ინდივიდის სოციალურ ინტეგრაციასა და სოციუმთან დაკავშირებულობაზე დადებითად აისახება. ტრევის ჰირშის სოციალური კონტროლის თეორიის მიხედვით, სოციალური ინტეგრაცია ოთხს ძირითად მახასიათებელს მოიცავს: მიჯაჭვულობა - ინდივიდის მჭიდრო დაკავშირებულობა სოციუმთან, განსაკუთრებით მშობლებთან და ჯგუფის სხვა წევრებთან, რაც ზრდის სოციალური ნორმით გათვალისწინებული ქცევის გამოვლენას; ვალდებულება - ადამიანის დარწმუნება განახორციელოს პროსოციალური ქცევა; ჩართულობა - რაც უფრო დიდ დროსა და ენერგიას ჩადებს ადამიანი პროსოციალურ აქტივობაში, მის მეტად არის მოსალოდნელი მისგან კონფორმული ქცევა; რწმენა - სოციალურ გარემოცვაში მეტად ჩართულ ადამიანი უფრო მეტად იზიარებს და სწამს გავრცელებული ნორმების მნიშვნელოვანი ღირებულება. ჰირში ამბობდა, რომ სოციალური კონტროლის ეს 4 ასპექტი მუდმივად ინტერაქციაში იმყოფება ერთმანეთთან და ანტისოციალური ქცევის გამოვლენის ალბათობას ამცირებს. (Travis Hirschi , 1969). ინდივიდი ნორმისაგან გადახრილ ქცევას ახორციელებს მაშინ, როდესაც ინტეგრაციის ეს ელემენტები შესუსტებულია ანუ სოციუმთან კავშირები დარღვეულია არის მავნე ზეგავლენისადმი მოწყვლადი.

სოციალური ინტეგრაცია ცალმხრივი პროცესი არ არის და მხოლოდ გარემოს არ შეაქვს საკუთარი მოთხოვნები ინდივიდში, არამედ თავად პიროვნებაც ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ღირებულებების გათავისება მოხდეს, ინდივიდმა უნდა მიაღწიოს კოგნიტური და მორალური განვითარების საჭირო დონეს.

როგორც ავღნიშნეთ სოციალური კონტროლი სამ დონეზე მიმდარეობს. მეორე დონეზე კონტროლდება ის თუ რამდენად ხდება იმ ნორმებისა და ქცევების შესრულება, რაც სოციუმმა დააწესა. საზოგადოებასთან არასათანადოდ ფორმირებული კავშირების თუ სხვა ფაქტორების გამო, კონფორმულობის უზრუნველსაყოფად, საზოგადოება მიმართავს კონტროლის ისეთ დონეს, რომელსაც ნორმების შესრულება/არშესრულებაზე რეაქცია ეწოდება. ამ შემთხვევაში საუბარია, არა დარწმუნების გზით კონფორმულობის უზრუნველყოფაზე, არამედ სოციალური რეგულაციის გზით, ნორმის დაცვის იძულებაზე. იძულების ამ მექანიზმს სანქცია ეწოდება. ის უზრუნველყოფს ნორმების განხორციელებას, დევიაციური ქცევის შეკავებას. სანქცია კი მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შესაბამისია, დროული და გარდაუვალია.

ამრიგად, სოციალური კონტროლის თეორიის მიხედვით, სოციუმის წესებისა და ნორმების მიმართ კონფორმულობა ყალიბდება სოციალიზაციის პროცესში და ინარჩუნებს დაკავშირებულობას ადამიანებისა და სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ. ანტისოციალურ ქცევასან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ინდივიდის კავშირი საზოგადოებასთან სუსტი ან დარღვეულია. რაც უფრო დისტანცირებულია ინდივიდი სოციუმთან და ნაკლებად ხდება მისი ინტერგრაცია სოციალურ გარემოცვასთან, ანტისოციალურ ქცევაში ჩართულობის ხარისხიც უფრო მაღალია.

3.4. პერსისტენტული და მოზარდობის ასაკის ანტისოციალური ქცევა

მოზარდობის ასაკში პრობლემური ქცევისადმი მოწყვლადობასთან დაკავშირებული ერთ-ერთო ყველაზე მოცულობითი და გავლენიანი თეორია ეკუთვნის ტერი მოფიტს (Terry Moffitt, 1993). ტერი მოფიტი ამბობდა, რომ ზოგიერთი ადამიანის დელიკვენტური ქცევა შესაძლოა შესაძლოა ვლინდებოდეს, სიტუაციურად, მხოლოდ მოზარდობის ასაკში. ამის საპირისპიროდ, ზოგიერთი ადამიანის ანტისოციალური ქცევა სტაბილურობას და პერსისტენტულობას ინარჩუნებს. შესაბამისად, ტერი მოფიტმა საკუთარ თეორიაში ყურადღება გაამახვილა ანტისოციალური ქცევის ორ ტიპზე : პერსისტენტული და მოზარდობის ასაკით შეზღუდული ანტისოციალური ქცევა.

ინდივიდებს, რომელთა დელიკვენტური ქცევა მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება პერსისტენტულ დელიქვენტებს უწოდებენ. მათი ანტისოციალური ქცევის საწყისები ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში, დაახლოებით 4 წლის ასაკში იკვეთება - ყვირილის, ცემისა და სხვა რთული ქცევის სახით. შემდგომ პერიოდში კი შესაძლოა გაგრძელდეს წვრილმანი ქურდობითა თუ სახლიდან გაქცევით. ასაკის მატებასთან ერთად ანტისოციალური ქცევა უფრო კომპლექსური და ინტენსიური ხდება. პერსისტენტული დელიკვენტების შემთხვევაში დანაშაულებრივი ქცევის ეს უწყვეტი ჯაჭვი მთელი ცხოვრების განმავლობაში მიჰყვება. აქედან გამომდინარე, პიროვნებას მცირე შანსი რჩება იმისა, რომ დაისწავლოს პროსოციალური ქცევა. ცხროვრების უკვე არჩეული კურსი უზღუდავს მას არჩევანს და ხელს უშლის რომ განავითაროს კონვენციონალური სოციალური უნარები. (Terry Moffitt, 1993)

ამრიგად, პერსისტენტული ანტისოციალური ქცევის განვითარების კურსი შემდეგნაირად ყალიბდება: თეორიის ჯაჭვი იწყება პიროვნების ნეიროფსიქოლოგიური მდგომარეობით, კერძოდ ნეიროფსიქოლოგიური დეფიცით, რომელიც თავს იჩენს მაშინ, როცა ბავშვს უწევს გარემოს პირველ გამოწვევასთან შეჯახება. შედეგად ვლინდება რთული ტემპერამენტი, ქცევის პრობლემები და შეზღუდული კოგნიტური შესაძლებლობები. ბავშვის სოციალური გარემო განსხვავებულად რეაგირებს მის რთულ ტემპერამენტსა და ქცევაზე. არაჯანსაღი ოჯახური გარემო, სკოლა და სამეზობლო თემი იძლევა ისეთ უკუკავშირს, რომელიც აუარესებს ბავშვის ნეიროფსიქოლოგიურ მდგომარეობას. დროთა განმავლობაში, აღნიშნული რთული ქცევა ვითარდება, ფორმირდება და უფრო სერიოზული ქცევითი პრობლემების და პროსოციალური ქცევის ათვისების შეზღუდული ხელმისაწვდომობით სახით გვევლინება. ამასთან, შეზღუდული კოგნიტური შესაძლებლობები აისახება აკადემიურ წარუმატებლობასა და სამუშაო

კომპეტენციების ჩამოუყალიბებლობაზე. დროთა განმავლობი აღნიშნული შედეგები ზღუდავს სიტუაციიდან გამოსავლის პოვნის შესაძლებლობას. (Terry Moffitt, 1993)

ტერი მოფიტი საკუთარ თეორიაში, ასევე, ყურადღებას ამახვილებდა მოზარდობის ასაკით შეზღუდულ ანტისოციალურ ქცევაზე, რომელიც ყველაზე ფართოდ არის გავრცელებულია მოზარდებში, მათი ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარეობს და განვითარების აამ ეტაპის გასვლასთან ერთად მისი ინტენსივობა იკლებს. პერსისტენტული ანტისოციალური ქცევისაგან განსხვავებით მოზარდობის ასაკის დელიკვენტური ქცევა მხოლოდ მოზარდობის ასაკშია აქტუალური, იმ ავტონომიისა და ზრდასრულთა სოციალური სტატუსის მოსაპოვებლად, რომლისთვისაც მოზარდები ინტენსიურად ისწრაფვიან. მოზარდობის ასაკის დელიკვენტობა არ არის განგრძობითი, აღნიშნული ქცევები არ გრძელდება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მაშინ სრულდება, როდესაც ზრდასრულებისთვის შესატყვის როლებს მოირგებენ. (Adolescence Limited Antisocial Behavior Theory, Terry Moffitt, 1993)

ტერი მოფიტი მიიჩნევდა, რომ მოზარდობის ასაკში დელიკვენტური ქცევის განხორციელება დაკავშირებულია ე.წ. როლურ ვაკუუმთან, რომელიც მოზარდის ბიოლოგიურ და სოციალურ მომწიფებულობას შორის არსებული დისბალანსით ყალიბდება. მოზარდი სქესობრივად უფრო უფრო ადრე ყალიბდება და მისი ბიოლოგიური განვითარების დონიდან გამომდინარე უფრო ადრე არის მზად ზრდასრულის სოციალური როლების მოსარგებად, ვიდრე სოციალურ გარემოში არსებული მოთხოვნები მას ამის საშუალებას აძლევს. შესაბამისად, მათ აქვთ მზარდი სურვილი დაძლიონ როლური ვაკუუმი და ავტონომიურობა, დამოუკიდებლობა, ზრდასრულის სტატუსი მოიპოვონ. იმ სოციალურ გარემოში სადაც მოზარდები ცხოვრობენ, არსებობენ იმ თანატოლთა სოციალური მოდელები, რომლებსაც უკვე აქვთ მოპოვებული ავტონომია და თავისუფლება (პერსისტენტი დელიკვენტები). შედეგად, ისინი მოზარდისთვის მიბაძვის ობიექტები ხდებიან, ავლენენ კონფორმულობას და იზრდება იმის ალბათობა, რომ მოზარდი სასურველი სოციალური როლისა და რესურსის დაუფლებისათვის ჩაერთოს აღნიშნულ სოციალურ ჯგუფებში. დელიკვენტური ქცევა, როგორც თავის დამკვიდრების მცდელობა და მოწიფულობის დემონსტრაციას ამტკიცებს ის შედეგები, რომლებიც მას მოჰყვება: მშობლებთან კომუნიკაციისა და მიჯაჭვულობის რღვევა; უფროსების ყურადღების დამსახურება; ისეთი ქცევა, რაც მოზარდს ზრდასრულივით წარმოაჩენს (ალკოჰოლის მიღება, სიგარეტის მოწევა, გარეგნობაში ცვლილებები, სახლში გვიან დაბრუნება, სარისკო მოქმედება და ა.შ.). საყურადღებოა ის, რომ ჩამოთვლილთაგან არცერთი ქცევა არ არის მიმზიდველი განმამტკიცებელი ზრდასრული ადამიანისთვის, რომელიც უკვე ფლობს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. მოზარდისათვის კი უნიკალური რესურსია, რომელიც ამტკიცებს პრობლემურ ქცევას. (Moffitt, 1993)

3.5. პრობლემური ქცევის თეორია

მოზარდთა პრობლემური ქცევის შესახებ კიდევ ერთი მოცულობითი თეორია ეკუთვნის რიჩარდ ჯესორის პრობლემური ქცევის თეორიაში (Problem Behavior Theory, Richard Jessor, 1977, 1987, 2005). პრობლემური ქცევის თეორია არის ინტეგრირებული მიდგომა მოზარდთა ანტისოციალურ ქცევასთან დაკავშირებით, რომლის სოციალურ-ფსიქოლოგიური ჩარჩოს მიხედვით, ნებისმიერი ქცევა, მათ შორის პრობლემურიც, გარემოსა და ინდივიდის ინტერაქციის შედეგია. აღნიშნული თეორიის ძირითადი დაშვებაა პრობლემური ქცევის ასახსნელად გათვალისწინებული იქნას, როგორც აღქმული გარემო, ასევე პიროვნების მახასიათებლები. ასევე, ავტორი აღნიშნავს, რომ პრობლემური ქცევა აღქმული გარემოსა და პიროვნების სისტემაში არსებული დამცავი და რისკ ფაქტორების ურთიერთზემოქმედების შედეგია.

როგორც აღვნიშნეთ, პრობლემური ქცევის თეორია ქცევის ასახსნელად იყენებს სოციალური გარემოსა და პიროვნების ინტერაქციის მოდელს.

სოციალური გარემოს სისტემის კონცეპტუალიზაცია. პრობლემური ქცევის თეორიის მიხედვით ჩამოყალიბდა სოციალური გარემოს გავლენის 3 ძირითად სფეროს, რომლებიც პრობლემურ ქცევას პროგნოზირებენ : შესაძლებლობების სტრუქტურა, ნორმატიული სტრუქტურა და კონტროლის სტრუქტურა. (Jessor et al., 1983).

შესაძლებლობების სტრუქტურა. იქედან გამომდინარე, რომ საზოგადობრივად ღირებული მიზნების მიღწევა არც თუ ისე მარტივია და მის მისაღწევად არც ისე ფართო შესაძლებლობები არსებობს, ეს თავის მხრივ ხელს უწყობს ნორმიდან გადახრილი ქცევის განხორციელებას, როგორც აღნიშნული მიზნების მიღწევის ალტერნატიული გზას.

ნორმატიული სტრუქტურა. ნორმების ანუ ქცევის მისაღები ფორმების შესახებ საზოგადოების ძირითადი ნაწილის შეთანხმებულობა ან შეუთანხმებლობა. როდესაც ნორმების დაცვის შესახებ, სოციალურად განსაზღვრული ქცევების შესრულების შესრულების შესახებ საზოგადოებაში უთანხმოება იზრდება, ადამიანებს არ აქვთ მკვეთრად ჩამოყალიბებული თუ რა არის მისაღები და რა მიუღებელი კონტრეტულ სოციუმში. ადამიანებს აღარ აქვთ განსაზღვრული მოლოდინები სოციალური ნორმების შესახებ, შესაბამისად იზრდება ნორმიდან გადახრილი ქცევის გამოვლენის ალბათობა.

სოციალური კონტროლის სტრუქტურაში მოიაზრება, საზოგადოების შესაბამისი სტუქტურების მიერ დევიაციური ქცევის კონტროლის ხარისხი. თუ სოციალური კონტროლი დაბალია, იზრდება დევიაცის შანსი და პირიქით, ძლიერი კონტროლი, ზღუდავს დევიაციის ხელმისაწვდომობას და საზოგადოებას უფრო კონფორმულს ხდის.

სოციალური გარემოს შესწავლა დაგვეხმარება ჯგუფთა შორის პრობლემური ქცევის განსხვავების გაგებაში, თუმცა სოციალური გარემოს საშუალებით ვერ ავხსნით, საკუთრივ, ჯგუფის შიგნით არსებულ განსხვავებებს (Jessor et. Al, 1968). ერთსა და იმავე სოციალურ გარემოში, ზოგიერთი პიროვნება მეტად მოწყვლადია პრობლემური ქცევისადმი, ზოგიერთი კი ნაკლებად. ჯგუფის შიგნით, ინდივიდთა შორის განსხვავების ასახსნელად მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ პიროვნების ცნებაზე.

პიროვნების სისტემის კონცეპტუალიზაცია. პიროვნების ცნებაც მოიცავს რამდენიმე სტრუქტურას, რომლებიც ასახავს პრობლემური ქცევის ინდივიდუალურ რისკფაქტორებს. ისიც სამი სტრუქტურისაგან შედგება.

აღქმული შესაძლებლობების სტრუქტურა. იგი აღნიშნავს, პიროვნებისთვის სუბიექტურ ღირებულებებსა და მათი მიღწევის მოსალოდნელობას შორის თავსებადობას ან განსვლას. აღქმული შესაძლებლობების სტრუქტურაში, მნიშვნელოვანია აღიქვამს თუ არა პიროვნება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ღირებულებას საკუთარ ღირებულებად და აქვს თუ არა ამ ღირებულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევის მოლოდინი. თუ პიროვნებისთვის ღირებულია საზოგადოებრივად აღიარებული მიზნები, მაშინ მცირდება დევიაციური ქცევის განხორციელების ალბათობა.

პერსონალური რწმენების სტრუქტურა. პერსონალური რწმენების სტრუქტურა გულისხმობს იმას, რომ პიროვნებას აქვს რწმენა, რომ საკუთარი მცდელობით ნამდვილად მიაღწევს სასურველ მიზანს, ან ფიქრობს საწინააღმდეგოს, კერძოდ იმას, რომ მიზნის მიღწევა მასზე არ არის დამოკიდებული და გარედან კონტროლდება. აქ საუბარია როტერის ინტერნალური და ექსტერნალური კონტროლის ლოკუსის ცნებაზე (Rotter, 1954). კონტროლის ლოკუსი არის რწმენები იმის შესახებ, რომ ადამიანის ქმედების შედეგები დამოკიდებულია თავად მასზე (ინტერნალური კონტროლი) ან მისთვის არაკონტროლირებად გარემოს ფაქტორებზე (ექსტერნალური კონტროლი). როტერის მიხედვით, უკიდურესი ექსტერნალური კონტროლს ადამიანი მიჰყავს გაუცხოებამდე და ის იზოლირებული ხდება საზოგადოებისაგან. შედეგად, მისი ღირებულების ქვეითდება, რაც რაც თავის მხრივ, აპროვოცირებს დევიაციას.

პერსონალური კონტროლის სტრუქტურა. მიუთითებს პიროვნების ინტერნალურ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებზე, რომლებიც ეწინააღმდეგება დევიაციურ ქცევას. პერსონალური კონტროლის სტრუქტურა ასახავს ტოლერანტულ ან არატოლერანტულ დამოკიდებულებებს დელიკვენტური ქცევის მიმართ და მოქმედებს, როგორც ინტერნალური მაკონტროლებელი სისტემა.

2008 წელს, ემპირიული მონაცემების საფუძველზე მოხდა თეორიის რევიზია და ამჟამად ის ფართოდ გამოიყენება, როგორც „მოზარდთა სარისკო ქცევის მოდელი“ (Adolescents' Risk Behavior Model, Jessor,2008). როგორც სახელწოდებიდან ჩანს, პრობლემური ქცევა ჩანაცვლებულია ტერმინით სარისკო ქცევა. თეორიის ძირითად ჩარჩოში შემავალი „მაპროვოცირებელი“ და „მაკონრტოლებელი“ ფაქტორები კი გადათრაგმნილია რისკ და დამცავი ფაქტორების ენაზე. დამცავი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს პოზიტიურ, პროსოციალურ ქცევას და ამცირებს სარისკო ქცევაში ჩართულობის ალბათობას, მოიცავს: პროსოციალური და პოზიტიური ქცევის მოდელებს; პერსონალურ და სოციალურ კონტროლს სარისკო ქცევაში ჩართვის წინააღმდეგ; პოზიტიურ და პროსოციალურ ქცევაში ჩართულობის მხარდაჭერას. ამის საპირისპიროდ, რისკფაქტორები, ზრდის სარისკო ქცევის განხორციელების ალბათობას და მოიცავს: სარისკო ქცევის მოდელებს დისტალურ და პროქსიმალურ გარემოში, სარისკო ქცევაში ჩართვის შესაძლებლობებს და პიროვნულ მოწყვლადობას.

3.6 პრობლემური ქცევის რისკ და დამცავი ფაქტორები

პრობლემური ქცევის რისკ ფაქტორები. რისკის ქვეშ მოიაზრება ფაქტორები და პირობები, რომლებიც ზრდიან პრობლემური ქცევის გამოვლენის ალბათობას.
ქცევის ახსნის ზოგადი ყოვლისმომცველი ფსიქოსოციალური ჩარჩო მოიცავს 4 ძირითად ამხსნელ სფეროს : სოციალური გარემო, აღქმული გარემო, პიროვნება და სხვა ქცევები (Donovan et al., 1985; Jessor, 1991). თანამედროვე ქცევის მეცნიერებები, მეხუთე სფეროდ განიხილავენ გენეტიკას/ბიოლოგიას. თითოეული სფეროს სიღრმისეულად შესწავლა მნიშვნელოვანია, რათა გავიგოთ თითოეული მათგანის როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გავლენა პრობლემურ ქცევაზე. (Donovan et al., 1985). მაგალითად, სოციალური გარემოს ფაქტორი – სიღარიბე – გავლენას ახდენს აღქმული გარემოს ფაქტორზე (მიღწევის შესაძლებლობებზე) და არაპირდაპირი გავლენა აქვს პრობლემურ ქცევაზე.

პრობლემური ქცევის თეორიის საფუძველზე განხორციელებული კვლევები მიუთითებს, რომ ყველაზე მაღალი პრედიქტული ღირებულება აქვს შემდეგ ფაქტორებს: პიროვნული სფერო - დაბალი აკადემიური მიღწევა და დევიაციური ქცევის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების მაღალი მაჩვენებელი; აღქმული გარემო - მეგობრები, როგორც ანტისოციალური ქცევის მოდელები ; ქცევა - ალკოჰოლის და მარიხუანას მოხმარება (Turbin et al., 2006). ერთი შეხედვით, მოდელი ყველა სფეროს და მასთან დაკავშირებულ ფაქტორებს მოიცავს, თუმცა შეუძლებელია სოციალური სფეროდან ყველა ფაქტორის გათვალისწინება და მოდელში ჩართვა. ამრიგად, პრობლემური ქცევის სახე-სხვაობის მნიშვნელოვანი წილი ახსნის გარეშე რჩება, იქედან გამომდინარე, შეუძლებელია სოციალური სფეროდან ყველა ფაქტორის გათვალისწინება,

პრობლემური ქცევის დამცავი ფაქტორები. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოზარდი, რომელთაც უამრავი რისკფაქტორების გარემოცვაში უწევთ ცხოვრება, არ ახორციელებს პრობლემურ ქცევას, ახორციელებენ უფრო იშვიათად ან ნაკლებად დამაზიანებელი ფორმით, ვიდრე მისი თანატოლები, ან სხვებზე უფრო სწრაფად ახერხებენ პრობლემური ქცევის ჩანაცვლებას ადაპტური ქცევით. ერთ-ერთი მიზეზის ამისა შეიძლება იყოს, რომ ისინი სხვებთან შედარებით დაბალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. სხვადასხვა ფაქტორების გამო, მათ გაუმართლათ, რომ არ განიცადეს პრობლემურ ქცევასთან დაკავშირებული რისკფაქტორების ძლიერი გავლენა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ ფაქტორებს, რომლებიც ამცირებენ მოზარდობის ასაკში პრობლემური ქცევის გამოვლენის ალბათობას, განაპირობებენ მოსალოდნელზე ნაკლები რისკფაქტორების გამოვლენას, დამცავი ფაქტორებს უწოდებენ. დამცავი ფაქტორები მოქმედებს რისკფაქტორების საწინააღმდეგოდ და ამცირებს მათ გავლენას (Garmezy, & Rutter, 1990).

სოციალურ გარემოში დამცავი ფაქტორია ერთმანეთთად მჭიდროდ დაკავშირებული და მხარდამჭერი ოჯახი; აღქმულ გარემოში დამცავი ფაქტორია თანატოლთა კონვენციონალური ქცევის მოდელები და სოციალური კონტროლი საზოგადოების მხრიდან; პიროვნების სფეროში – აკადემიური მიღწევის მაღალი ღირებულება და უარყოფითი დამოკიდებულება დევიაციის მიმართ; ქცევის სფეროში - კონვენციონალურ ქცევაში ჩართულობა. (Garmezy & Rutter, 1990).

ოჯახის დონის რისკ– და დამცავი ფაქტორები

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ოჯახის დონის რისკ და დამცავ ფაქტორებზე გავამახვილებ ყურადღებას. ოჯახის დონეზე ყველაზე მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორებს წარმოადგენს მშობლების მხრიდან კონვენციონალური ქცევის მოდელირება, მშობლების მხრიდან პრობლემური ქცევის კონტროლი და სანქციონირება. არაერთი კვლევის საფუძველზე მნიშვნელოვნად არის შეფასებული ოჯახის როლი მოზარდობის ასაკში პრობლემური ქცევის აღმოცენებასა თუ კონტროლში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორებია ოჯახის მიერ მოზარდის ქცევის სუპერვიზია და დისციპლინა. მშობლის სუპერვიზია გულისხმობს მშობლის მხრიდან შვილის აქტივობების მონიტორინგს, ყურადღებასა და სიფრთხილის გამოვლენას. სუპერვიზიაა ყველაზე სანდოდ არის დაკავშირებული დელიკვენტობასთან (Farington & Loeber, 1999; Smith & Stren, 1997). არაერთი კვლევის მიხეედვით, სუპერვიზიის დეფიციტი, დელიკვენტობის გაორმაგებულ რისკთანაა დაკავშირებული. მშობლებს, რომლებმაც არ იციან, სად არის მათი შვილი, როცა სახლში არ იმყოფება, სუპერვიზიის გარეშე გარეთ სიარულის უფლებას, უფრო ხშირად ჰყავთ დელიკვენტური გამოცდილების მქონე შვილები. დისციპლინა მიუთითებს, თუ როგორ რეაგირებს მშობელი შვილის ქცევაზე. მკაცრი და სადამსჯელო დისციპლინა პროგნოზირებს დელიკვენტობას, ხოლო შვილის ქცევაზე დროული რეაგირება პრობლემური ქცევის დამცავი ფაქტორია (Smith & Stren, 1997).

ის ოჯახის დონის რისკ-ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია პრობლემურ ქცევასთან არის : მშობლის მხრიდან პრობლემური ქცევის მოდელირება, ოჯახში ალკოჰოლისა და სიგარეტის ხელმისაწვდომობა. თუ ალბერტ ბანდურას სოციალურ კოგნიტურ თეორიას დავიმოწმებთ და მის დაკვირვებით სწავლის კონცეფციას დავეყრდნობით, პრობლემური ქცევის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო სწორედ ოჯახში არსებული ამგვარი მოდელებია. აღნიშნული მოსაზრება კვლევებითაც დასტურდება. მათ შორის, კემბრიჯის ლონგიტიდურ კვლევაში, რომელიც მოზარდთა დელიკვენტური ქცევის შემსწავლელ ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და გავლენიან კვლევად მიიჩნევა. კემბრიჯის კვლევის მიხედვით, კრიმინალური და ანტისოციალური ქცევის მქონე მშობლებს უფრო დიდი ალბათობით ჰყავთ ანტისოციალური ქცევის მქონე შვილები (Farrington et al., 2006). იმ ბიჭების 63%, რომელთაც ჰყავდათ ნასამართლევი მამა, თავადაც გახდნენ ნასამართლევნი მოწიფულობის ასაკში. კვლევაში ასევე გამოვლინდა, რომ ავტორიტარული აღზრდა ძალადობრივი დანაშაულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერდიქტორია (Farrington, 1994). ავტორიტარული მშობელი ბავშვობის ასაკის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკფაქტორია(Farrington, 1991).

3.7 სოციალურ კოგნიტური დასწავლის თეორია

დღესდღეობით ყველაზე გავლენიან სოციალური დასწავლის თეორეტიკოსად ალბერტ ბანდურა მიიჩნევა. ბანდურას სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორიის მიხედვით, ადამიანი აქტიური ინდივიდია, რომელიც მოქმედებს პროაქტიულად, წინასწარ იაზრებს და ინტენციურად აკონტროლებს მოქმედებას მისთვის კონკრეტული, სასურველი შედეგის დადგომის სურვილით. ეს თეორია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ფუნქციონირების ყველა ასპექტში კოგნიტური პროცესების მნიშვნელობაზე, იქნება ეს მოტივაცია, ემოცია თუ ქმედება. ბანდურასთვის ინდივიდი ფლობს იმ უმაღლეს უნარებს, რომელებიც საშუალებას აძლევს მას წინასწარ განჭვრიტოს გარკვეული მოვლენებისა თუ პირობების არსებობა საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებაში და შექმნას მათზე კონტროლის საშუალებები. სწორედ ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით შეიქმნა სოციალური დასწავლის განსაკუთრებით მოცულობითი და კარგად ფორმულირებული თეორია (McAdams, D . P., 2006). მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ყველა სხვა თეორიისაგან განსხვავებით, ბანდურა მიიჩნევდა, რომ ადამიანებს არც ინტრაფსიქიკური ძალები მართავენ და არც გარემოზე რეაგირებენ პასიურად, მისთვის ადამიანის ფუნქციონირების მიზეზები გარემოს, კოგნიტური სფეროსა და ქცევის მუდმივი ურთიერთქმედების პროცესშია, რასაც ბანდურა რეციპროკულ დეტერმინიზმს უწოდებს. (Bandura, A. 1977)

რეციპროკული დეტერმინიზმი სამკომპონენტიანი კონცეფციაა, რომელიც პიროვნების, გარემოსა და ქცევის ურთიერთზეგავლენაზე საუბრობს (Cloninger, S. C., 2004). ადამიანის ქცევა ამ სამი ცვლადის ურთიერთქმედების შედეგია. ამასთან ქცევა და გარემო ორივე ინტენსიურად ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე. ქცევაზე მოქმედი მესამე ფაქტორი - პიროვნებაა, რომელშიც ბანდურა პირველ რიგში შინაგან მახასიათებლებს, მაგალითად, აზროვნებას (კოგნიციას), მოვლენების დამახსოვრებისა და პროგნოზირების უნარს გულისხმობს. ადამიანის აზროვნება განსაზღვრავს, თუ გარემოს რომელ მოვლენებთან მოუწევს მას შეხვედრა, როგორ შეაფასებს ამ მოვლენებს და როგორ გაუკეთებს მას ორგანიზებას შემდგომი გამოყენებისათვის. (Bandura, A., 1977). აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი აქტიური თვითწარმართვადი, თვითრეფლექსური და თვითრეაქტიული არსებაა. პიროვნების ამ თვისებებს კი ბანდურა აგენტურობას უწოდებს. აღნიშნულ ცნებაში, ბანდურა გულისხმობს მე-სისტემას, რომელიც შედგება, კოგნიტური სისტემებისა და ქვეფუნქციებისაგან. ადამიანი სააზროვნო ფუნქციებს იყენებს, რათა წარმოიდგინოს მოვლენები, იწინასწარმეტყველოს მომავალი, შეარჩიოს მოქმედების მიმართულება და აკონტროლოს იგი (Bandura, 1989; 1999).

პიროვნების აგენტურობის საფუძველს ბანდურა ორი მნიშვნელოვანი კოგნიტური ფაქტორის - თვითეფექტურობისა და თვითრეგულაციის სახით წარმოგვიდგენს.

თვითეფექტურობა

ბანდურა თვითეფექტურობას განმარტავს, როგორც ინდივიდის რწმენას, რომ მას შეუძლია მოცემული მიმართულების მქონე ქმედების დაგეგმვა და განხორციელება, რაც საჭიროა მომავალ სიტუაციებთან გასამკლავებლად. სხვა სიტყვებით, ეს არის რწმენა იმისა, რომ ინდივიდს შეუძლია მომავალში პოტენციურად არსებულ სიტუაციებთან წარმატებით გასამკლავებლად განახორციელოს საჭირო ქცევები, რომლებიც მრავალ ბუნდოვან, გაუთვალისწინებელ და

ხშირად სტრესულ ელემენტს მოიცავენ, იქედან გამომდინარე რომ გარემოში არსებული მოვლენები შეიძლება მუდმივად ცვლადებადი და არაპროგრნოზირებადი იყოს. (Bandura, A.,1989). თვითეფექტურობა არის ჩვენი რწმენა, რომ მოცემულ სიტუაციაში შეგვიძლია კომპეტენტური და ადეკვატური ქცევის განხორციელება. (McAdams, D. P., 2006)

თვითეფექტურობის რწმენები განსაზღვრავს ადამიანის რწმენებს, კოგნიციას, მოტივაციას და თავად ქცევას (Bandura, 1994). ადამიანები, რომლებსაც ზემოაღნიშნული მახასიათებლების მაღალი დონე აქვთ, სწამთ საკუთარი უნარების, რთულ ამოცანას მათთვის ერთგვარი გამოწვევაა და მას არ აღიქვამენ, როგორც თავიდან ასარიდებელ საფრთხეს. მაღალი თვითეფექტურობის რწმენის მქონე ადამიანები, წარუმატებლობების შემთხვევაში, სწრაფად აღიდგენენ თვითეფექტურობის განცდას, რადგან მარცხს მიაწერენ არასაკმარის ძალისხმევას ან ცოდნისა თუ უნარების დანაკლისს, რომელიც, მათი აზრით, შეიძლება შეიძლება რომ შეიძინონ დროთა განმავლობაში და უფრო ეფექტურები იყვნენ. როგორც ბანდურა მიიჩნევდა, ამგვარი შეხედულებები განაპირობებს პიროვნულ მიღწევებს, ამცირებს სტრესს და აქვეითებს დეპრესიისადმი მოწყვლადობას(Bandura, 1994).

საპირისპირო პოლუსზე არიან ის ადამიანები, რომელთაც ეჭვი ეპარებათ საკუთარ შესაძლებლობებში, ერიდებიან რთულ ამოცანებს და მათ სახიფათოდ აღიქვამენ. დაბალი თვითეფექტურობის რწმენის მქონე ადამიანები ნაკლებად ისწრაფვიან დასახული მიზნისკენ. რთულ სიტუაციებში ყოფნისას, ისინი ფიქრობენ საკუთარ ნაკლოვანებებზე, შემხვედრ დაბრკოლებებზე და მოსალოდნელ არასასურველ შედეგზე, ნაცვლად იმისა, რომ კონცენტრირებულნი იყვნენ პრობლემასთან წარმატებით გამკლავებისთვის საჭირო გზების ძიებაზე. ისინი ნაკლებ ძალისხმევას იჩენენ წინააღმდეგობების მიმართ და მალე ნებდებიან. მარცხის შემდეგ კი, რთულად აღიდგენენ ეფექტურობის განცდას, რადგან მაღალი თვითეფექტურობის ადამიანებისაგან განსხვავებით, ისინი არასასურველ შედეგებს განიხილავენ, როგორც საკუთარი ნიჭიერებისა და უნარიანობის დეფიციტს. აქედან გამომდინარე, დაბალი თვითეფექტურობის რწმენის მქონე ადამიანები მარტივად ხდებიან სტრესისა და დეპრესიის მსხვერპლნი(Bandura, 1994).

თვითეფექტურობა არ არის გლობალური ცნება. ის სიტუაციიდან სიტუაციაში, იმ უნარების მიხედვით იცვლება, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა ქმედების განსახორციელებლად; თვითეფექტურობა იცვლება ჩვენი წინასწარი მზაობის, ჩვენი ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაღლილები ვართ, ვშფოთავთ ან/და დათრგუნულები ვართ. თუ ადამიანი ცხოვრობს არახელსაყრელ გარემოში, სადაც ნაკლებად აქვს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, სხვა ადამიანები ნაკლებად უწევენ მხარდაჭერას და ნაკლებად ავლენენ თბილ ურთიერთობებს მის მიმართ, მოსალოდნელია რომ ინდივიდის თვითეფექტურობა შემცირდება.

ბანდურამ შემოგვთავაზა მაღალი ან დაბალი თვითეფექტურობის გარემოს ხელსაყრელ ან არახელსაყრელ პირობებთან კომბინაციის წინასწარმეტყველების 4 ოთხი შესაძლო ვარიანტი :

1. როდესაც თვითეფექტურობა მაღალია და გარემოს პირობები ხელსაყრელია, მოსალოდნელია წარმატებული შედეგი.

2. როდესაც დაბალი თვითეფექტურობა ხელსაყრელ პირობებთან კომბინირებს, მაშინ ადამიანი შეიძლება დეპრესიული გახდეს, ვინაიდან ხედავს როგორ წარმატებულები არიან სხვები იმ საქმეში, რომელიც თავად მას ნაკლებად გამოსდის.
3. როდესაც მაღალი თვითეფექტურობის მქონე ადამიანები არახელსაყრელ გარემოში ხვდებიან, როგორც წესი დებენ მეტ ძალისხმევას და სხვადასხვა ხერხებით ცდილობენ შეცვალონ გარემო პირობები. თუმცა, თუ მათი მცდელობები უშედეგოდ მთვარდება, ისინი ან უარს იტყვიან მოქმედების საკუთარ გზაზე და ახალს იპოვიან, ან უფრო ხელსაყრელი გარემოს ძებნას შეუდგებიან.
4. როდესაც დაბალი თვითეფექტურობა არახელსაყრელ გარემო პირობებთანაა დაკავშირებული. მაშინ ადამიანი აპათიური ხდება, საკუთარ თავს უმწეოდ მიიჩნევს და ეგუება ამ მდგომარეობას.

თვითეფექტურობის ფაქტორები

იმ ფაქტს, იქნება თუ არა ადამიანი ეფექტური სხვადასხვა სიტუაციაში, არაერთი ფაქტორი განსაზღვრავს. ბანდურა გამოყოფდა თვითეფექტურობის 4 ფაქტორს : პირადი გამოცდილება, არაპირდაპირი გამოცდილება, საზოგადოების შეხედულება და ადამიანის ფიზიკური თუ ემოციური მდგომარეობა.

პირადი გამოცდილება. წარმატებული ქცევა ზრდის თვითეფექტიანობას, მარცხი - ამცირებს. არაპირდაპირი გამოცდილება. როცა ადამიანი ხედავს, რომ სხვები წარმატებას აღწევენ, მათი თვითეფექტიანობა იზრდება, ხოლო, თუ ხედავენ, რომ მათი მსგავსი უნარებისა და მომზადების ადამიანი მარცხს განიცდის,მოსალოდნელია, რომ მათი თვითეფექტურობაც შემცირდება.
საზოგადოების შეხედულება. სხვა ადამიანების მიერ გამოთქმულმა მოსაზრებამ შეიძლება გაზარდოს ან შეამციროს თვითეფექტიანობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადამიანის შეფასება/კრიტიკა, რომელსაც ადამიანი ენდობა, სჯერა და მისთვის ავტორიტეტს წარმოადგენს.
ფიზიკური და ემოციური მდგომარეობა. ძლიერი ემოციები ხელს უშლის ადამიანს, წარმატებით განახორციელოს ქცევა. ძლიერი შიში, სტრესი, შფოთვა ამცირებს თვითეფექტურობას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრესის დასაშვები დონე საშუალებას აძლევს ადამიანს იყოს უფრო აქტიური, მოტივირებული და ეფექტური სხვადასხვა სიტუაციებთან გასამკლავებლად. (Hans Selye, 1976)

ისეთ ინდივიდუალურ ფაქტორს, როგორიც თვითეფექტურობაა ხშირად იკვლევენ სხვადასხვა კონსტრუქტებთან მიმართებით. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე განვიხილავ კვლევას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მშობლების აღზრდის სტილსა და თვითეფექტურობას შორის კავშირზე. (Cai-Lian Tam, Amanda Chong,, 2012). აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა გაეგო როგორ იყო დაკავშირებული მშობლობის ავტორიტეტული, ავტორიტარული და ლიბერალური სტილი მოზარდების თვითეფექტურობის დონესთან. შედეგების მიხედვით აღმოჩნდა,რომ ავტორიტეტული აღზრდის სტილი პოზიტიურად არის დაკავშირებული თვითეფექტურობასთან. თუმცა შედეგების მიხედვით, აღზრდის დარჩენილ ორ სტილსა და

თვითეფექტურობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლინდა. ლიბერალური აღზრდის სტილი დაკავშირებულია მოთხოვნის დაბალ დონესთან და სუპერვიზიის შეზღუდვასთან. აღრდის ეს სტილი არ არის სასურველი მოზარდებში თვითეფექტურობის განსამტკიცებლად. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ კონსტურქტს შორის მნიშვნელოვანი კავშირი არ არის. ავტორიტეტული აღზრდის სტილი კი დაკავშირებულია პოზიტიურ პერცეფციებთან, აკადემიურ და სოციო-ემოციურ მიღწევებთან. ეს სტილი ყველაზე ეფექტურია მაღალი დონის კომპეტენციისა და თვით-პერცეფციის ჩამოყალიბებისათვის. რაც შეეხება ავტორიტალურ სტილს. ის დაკავშირებულია ნეგატიურ-პერცეფციებთან.

თვითრეგულაცია

ალბერტ ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიის მიხედვით პიროვნების ფუნქციონირებისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თვითრეგულაცია. ის ადამიანის პიროვნების ერთერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია, რომელიც ქცევაზე ზემოქმედებს. თვითრეგულაციის პროცესს ბანდურა ასე განმარტავს: „ადამიანები საკუთარ თავს მოქმედებისკენ უბიძგებენ და საკუთარი ქმედებებს პროაქტიული კონტროლის მეშვეობით მართავენ. ისახავენ რა მიზნებს, რომლებიც ქმნიან წონასწორობის მდგომარეობას, შემდეგ ახდენენ საკუთარი შესაძლებლობებისა და ძალისხმევის მობილიზებას იმის წინასწარი შეფასებით, თუ რა არის საჭირო ამ მიზნის მისაღწევად“(Bandura, 1994). ამრიგად, თვითრეგულაცია არის ადამიანის უნარი, რომ გავლენა მოახდინოს საკუთარ მოტივაციასა და ქცევაზე, რაც მიზანმიმართული ქცევის საფუძველს აყალიბებს (Bandura, 1991). თვითრეგულაციის უნარი ეხმარება ადამიანებს აკონტროლონ საკუთარი ფიქრები თუ ქმედებები და წინასწარ გააზრებულად იმოქმედონ სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში.

თვითრეგულაცია ქცევის კაუზალური პროცესისი ცენტრალური ნაწილია. არც მხოლოდ განზრახვას და არც სურვილს არ აქვს საკმარისი ძალა, თუ ადამიანს არ აქვს უნარი, რომ გავლენა მოახდინოს საკუთარ მოტივაციასა და ქცევაზე (Bandura & Simon, 1977). ადამიანის ქცევათა უმრავლესობა რეგულირებულია წინასწარი გააზრებულობით. ადამიანები აყალიბებენ რწმენებს იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ; განჭვრეტენ სამომავლო ქცევის სავარაუდო შედეგს; ისახავენ მიზნებს და გეგმავენ ქცევის კურსს, რომელიც, ყველაზე მაღალი სუბიექტური ალბათობით, მიიყვანთ სასურველ შედეგამდე.

ბანდურა თვითრეგულაციის ფაქტორთა(რეგულატორთა) ორ ჯგუფს გამოჰყოფს: შინაგან და გარეგან რეგულატორებს. გარეგან ფაქტორებში ის მოიაზრებს ვერბალურ ინსტრუქციებს, უშუალო გამოცდილებას, დაკვირვებასა და განმტკიცებას. შინაგან რეგულატორებში კი თვითმონიტორინგს, განსჯასა და თვითრეაქციას. შინაგანი და გარეგანი რეგულატორები ყოველთვის ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე. მათი ურთიერთზეგავლენის შედეგად კი ყალიბდება პიროვნების ქცევის რეგულაციის პიროვნული სტანდარტი, რომლიც წარმართავს, მოტივირებას ახდენს და არეგულირებს ადამიანის ქცევას.

თვითრეგულაციის ქვეფუნქციები

თვითრეგულაციის მექანიზმი მოიცავს სამ ძირითად ფუნქციას : ქცევის თვითმონიტორინგს, ქცევის განსჯას პერსონალურ სტანდარტებთან და გარემოს პირობებთან მიმართებით; და თვითრეაგირებას.

თვითმონიტორინგი

თვითმონიტორინგი პირველადი ფუნქციაა იმისათვის, რომ ადამიანებმა შეძლონ გავლენის მოხდენა საკუთარ მოტივაციასა და ქცევაზე. თვითმონიტორინგი გულისხმობს საკუთარ ქმედებაზე, ქცევის განხორციელების პირობებსა და მის პირობებზე პროქსიმალურ და დისტალურ შედეგებზე ყურადღების მიპყრობას(Bandura, 1991).

თვითმონიტორინგის მთავარი ფუნქციაა უზრუნველყოს ინფორმაცია, რომელიც საჭიროა რეალისტური მიზნების დასახვისთვის და შეაფასოს ადამიანის პროგრესი ამ მიზნის მიმართულებით(Bandura, 1991).

თვითმონიტორინგის პროცესში ადამიანები აკვირდებიან საკუთარი აზროვნების პატერნებს, ემოციურ რეაქციებს, ქცევას და იმ პირობებს, რომელშიც ეს ქცევა ხორციელდება. ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ გარემოს ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი მახასიათებლები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ქცევაზე, თუმცა ადამიანები არ შემოიფარგლებიან არსებული ბუნებრივი თანხვედრებით. საჭიროების შემთხვევაში ისინი აქტიურად მიმართავენ ექსპერიმენტებს - ცვლიან საკუთარი აზროვნების პატერნებს და აკვირდებიან თუ რა შედეგი აქვს ქცევაზე (Bandura, 1991).

თვითმონიტორინგის მოქმედება რამდენიმე დინამიკური ფაქტორითაა გაშუალებული. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია, თვითმონიტორინგის დროში სიახლოვე - იგულისხმება ქცევის კვალდაკვალ, პროცესში განხორციელებული მონიტორინგი, როდესაც ქცევა ჯერ კიდევ პროგრესირებს. (Bandura, 1991). ამასთან, მნიშვნელოვანია თვითმონიტორინგის რეგულარობა. უწყვეტი თვითმონიტორინგი და რეგულარული ყურადღების მიპყრობა საკუთარ მოქმედებაზე, ქცევის რეგულირებისათვის უფრო ეფექტურია, ვიდრე ნაკლებად ინტენსიური მონიტორინგი.

ასევე, ერთ-ერთი ქცევის უკუკავშირის ინფორმატიულობა - თუ ნათელია ქცევის შედეგები, საკმარისი სტიმული ექნება ადამიანს გააძლიეროს საკუთარი ქცევა, თუ ის მისთვის პოზიტიური შედეგების მომტანია. (Bandura, 1991). ასევე, მოტივაციის დონე - თუ სურთ მონიტორინგის ქვეშ მყოფი ქცევის შეცვლა, მეტად მიდრეკილნი არიან მიზნების დასახვისა და საკუთარი პროგრესის შეფასებისაკენ. დაბალი მოტივაცია კი გავლენას არ ახდენს ქცევაზე.

ქცევის ვალენტობაც ახდენს გავლენას ახდენს თვითდაკვირვების საფუძველზე იმ გზით, რომ ადამიანისთვის ღირებულ სფეროსთან დაკავშირებული ქცევითი უნარები წარმოშობს თვითკმაყოფილებას, რომელსაც შეუძლია ქცევის გაძლიერება. არაღირებულად შეფასები ქცევების გამოვლენის სიხშირე კი იკლებს, უკმაყოფილების განცდის გააქტიურების გამო; ნეიტრალური ქცევები ნაკლებად იცვლება, რადგან ნაკლებად იწვევს რაიმე ტიპის თვითრეაქციას (Kanfer, 1970).

მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე თვითმონიტორინგის ორიენტაციაც - გასათვალიწინებელია თუ უმეტესად რაზე ხდება ყურადღების ფოკუსირება, წარმატებაზე თუ მარცხზე. წარმატებაზე ორიენტირებული თვითმონიტორინგი ზრდის სასურველ ქცევას, ხოლო ყურადღების

ფოკუსირება მხოლოდ წარუმატებლობაზე არ იწვევს ქცევის სასურველი მიმართულებით ცვლილებას და უფრო მეტიც, შეიძლება, შეამციროს შესრულების ხარისხი (Gottman & McFall, 1972).

განსჯა

ინიდივიდის მიერ საკუთარი ქცევის თვითწარმართვადობისათვის მხოლოდ მასზე დაკვირვება და მონიტორინგი არ არის საკმარისი. ქცევა თვითწარმართვადი ხდება განსჯის/შეფასების ფუნქციის მეშვეობით, რომელიც მოიცავს რამდენიმე პროცესს: ქცევის შეფასებას პიროვნული და სოციალური სტანდარტების შესაბამისად, რეფერენტულ მოქმედებებს, აქტივობის შეფასებასა და მოქმედების დეტერმინანტების შეფასებას. მათგან პიროვნული სტანდარტით ქცევის განსჯა და წარმართვა მთავარ როლს თამაშობს ქცევის წარმართვაში.

პერსონალური სტანდარტის განვითარება

პერსონალური სტანდარტი ვითარდება იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც ვიღებთ გავლენის სამი პრინციპულად მნიშვნელოვანი წყაროდან, ესენია: სოციალური სტანდარტები, მნიშვნელოვან სხვათა უკუკავშირი და თვითრეაქციები (Bandura, 1986).

თავდაპირველად, ადამიანმა შეიძლება განსაჯოს საკუთარი ქცევა იმ სტანდარტის მიხედვით, რომელსაც მას სოციალური გარემო უყენებს, იმ ნორმებისა და სანქციების სახით, რომელიც საზოგადოებაშია დაწესებული. ეს სტანდარტები ადამიანმა შეიძლება აითვისოს, როგორც პირდაპირი სწავლების, ასევე იმ რეაქციების შეფასებით, რომელთაც სხვები გამოხატავენ ადამიანის ქცევაზე(Bandura, 1991). ადამიანები პერსონალურ სტანდარტს აყალიბებენ ნაწილობრივ იმის საფუძველზე, თუ როგორ რეაგირებენ მისთვის მნიშნელოვანი სხვა ადამიანები მათ ქცევაზე. გავლენის სიძლიერის თვალსაზრისით, პირდაპირი სწავლების გზით სტანდარტების ათვისების პროცესი მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო მეტად ეფუძნება ის საერთო ღირებულებებსა და ორმხრივ მხარდაჭერას ამ სტანდარტების მიმართ(Bandura, 1991).

შედეგად, ადამიანები განიცდიან თვითკმაყოფილებას და თვითგანმტკიცებას, როდესაც შეესაბამებიან სტანდარტებს, მაგრამ ნეგატიურად რეაგირებენ ამ სტანდარტების დარღვევაზე(Bandura, 1986).

როგორც ავღნიშნეთ, ბანდურა ადამიანებს აქტიურ ინდივიდებად მიიჩნევდა, რომლებიც უმაღლეს კონგიტურ უნარებს ფლობენ და გარემოზე მექანიკურად არ რეაგირებენ. შესაბამისად, ადამიანები პასიურად არ ითვისებენ გამზადებულ სტანდარტებს, რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს სოციალური ზეწოლა. ადამიანები აყალიბებენ საკუთარ სტანდარტებს, მრავალი პირდაპირი და არაპირდაპირი წყაროს გადამუშავების გზით. სტანდარტების ჩამოყალიბების პროცესი მაშინ რთულდება როდესაც მრავალფეროვანი და არაკონსისტენტურია სტანდარტები, რომლითაც ადამიანები განსჯიან საკუთარ ან სხვის ქცევას. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მხოლოდ იმით, თუ რომელ სტანდარტს აფასებენ, არამედ იმითაც, რომ ისინი ხშირად ავლენენ არაკონსისტენტურობას იმას შორის, რასაც აკეთებენ და რასაც სწორად მიიჩნევენ(Bandura, 1991). ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება სხვადასხვა სტანდარტს ავლენდეს სხვადასხვა გარემოებასა და ქცევის სფეროში. ამდენად, სტანდარტები, რომლებსაც ადამიანები მისდევენ, არ არის უბრალო კოპირება იმისა, რაც ასწავლეს და აითვისეს, ან რაც ნახეს მოდელირების საშუალებით.

ქცევა მარტივად დასარეგულირებელია, როდესაც მისი ადეკვატურობის ინდიკატორები დამოუკიდებელი და ობიექტურია. ნაკლებად ორაზროვანია და მეტად კონკრეტულია, მაგალითად, როგორ უნდა გაცუროს ადამიანმა. თუმცა, ქცევათა უმრავლესობისათვის ადეკვატურობის აბსოლუტური საზომი არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში, ადამიანებმა საკუთარი ქცევის ადეკვატურობა უნდა შეაფასონ სხვების მოქმედებასთან შედარების საფუძველზე,რასაც ბანდურა სოციალურად მნიშვნელოვან შედარებას უწოდებს(Bandura, 1991). მაგალითად, სტუდენტი, რომელმაც გამოცდაზე მიიღო 115 ქულა და რომელსაც აქვს უძლიერეს 10%-ში მოხვედრის ამბიცია, ვერ იქნება თვითკმაყოფილი, სანამ არ გაიგებს თუ რა ქულები მიიღეს სხვებმა. ქცევის ადეკვატურობის რაციონალურად შეფასებისთვის, ადამიანს სჭირდება 3 ტიპის ინფორმაცია: მოქმედების მიღწეული დონე პიროვნული სტანდარტი და სხვების მოქმედება.

თვითრეაგირება

ბანდურა მიიჩნევდა, რომ თვითრეაგირება უზრუნველყოფს პიროვნების სტანდარტებისთვის რელევანტური ქცევის განხორციელებას(Bandura, 1991). ანტიციპაციური აფექტური რეაქციების წყალობით, ადამიანები მისდევენ ქცევის იმ კურსს, რომელიც პოზიტიური თვითრეაქციის მომტანია და თავს იკავებენ ისეთი ქცევისაგან, რომლის შედეგიც თვითცენზურასთანაა დაკავშირებული. ამდენად წინასწარ წარმოსახული თვითკმაყოფილება ან უკმაყოფილება მოქმედების რეგულატორია.

თვითსტიმულირება ქცევაზე თვითგავლენის კიდევ ერთი მექანიზმია. როდესაც ადამიანები განიცდიან თვითკმაყოფილებას ან ხელშესახელ სარგებელს კონკრეტული მოქმედებისათვის, ისინი მოტივაციას აძლევენ საკუთარ თავს, რომ გააძლიერონ ძალისხმევა, რომელიც საჭიროა მოქმედების დასახული დონის მისაღწევად. ხელშესახები თვითმოტივატორების წყალობით, ადამიანები აკეთებენ ისეთ რამეს, რასაც სხვა შემთხვევაში უარყოფდნენ ან თავს აარიდებდნენ(Bandura, 1991). თავისუფალი დროის გამოყოფით, შესვენებით, რეკრეაციული აქტივობით ან სხვა ტიპის ხელშესახები თვითდაჯილდოებით, მნიშვნელოვნად უმჯობესდება აქტივობა და საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ძალისხმევის მობილიზებ. ადამიანები, რომლებიც აჯილდოვებენ საკუთარ თავს შესაბამისი მოქმედების გამო, უფრო მეტს აღწევენ, ვიდრე ისინი, რომლებიც იგივენაირად ახორციელებენ ქცევას, თუმცა არ მიმართავენ თვითდაჯილდოებას(Bandura, 1991).

თვითრეგულაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ანტისოციალური ქცევის კონტროლში. სოციალიზაციის პროცესში ინდივიდები ითვისებენ იმ მორალურ სტანდარტებს, რომლებიც თამაშობენ ქცევის მიმართულების მიმცემ და მაკონტროლებენ როლს. მაშინ როდესაც პიროვნული სტანდარტი და ინტერნალიზებული კონტროლი ვითარდება, ადამიანები ქცევას იმ სანქციების მიხედვით არეგულირებენ. რომელსაც საკუთარ თავს უყენებენ. თუმცა უნდა ავღნიშნოთ რომ თვითრეგულაცია უცვლელი და მდგრადი მოცემულობა არ არის და არსებობს გარკვეული ფსიქოსოციალური მანევრები, რომელთა მოქმედებითაც თვითრეგულაციის მექანიზმები შესაძლოა გამოეთიშოს ქცევის შეფასებისა და განხორციელების პროცესს. შინაგანი კონტროლის გამორთვას ბანდურა მორალურ გამოთიშვას/ჩაურთველობას უწოდებს. (Bandura, 1990). მორალური გამოთიშვა საშუალებას აძლევს სხვა შემთხვევაში კეთიგონიერ ადამიანებს, რომ განახორციელონ მათთვის სარგებლო და საზოგადოებისთვის დესტრუქციული ქცევა (Bandura, 1990). მორალური გამოთიშვა ცნობიერი პროცესია, რადგან პროაქტიულად

ხორციელდება. როგორც ბანდურა აღნიშნავს, „ადამიანები არ უშვებენ გასაკიცხ ქცევას მანამ, ვიდრე მორალურ გამართლებას არ მოუძებნიან საკუთარ მოქმედებას“(Bandura, 1991).

თვითრეგულაციის და მორალური გამოთიშვის ანტისოციალურ ქცევასთან კავშირის საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. კვლევათა უმრავლესობაში, თვითრეგულაცია და თვითეფექტურობის რწმენები განიხილება, როგორც გარემო ფაქტორებსა და ანტისოციალურ ქცევას შორის კავშირის ინდივიდუალური დონის მედიატორული ცვლადები(Bandura, 1996; Carpara et al; 2005; Regalie et al; 2001). მორალური გამოთიშვა კი, როგორც თვითრეგულაციის დეფიციტის გამოვლინება, ანტისოციალური ქცევის ყველაზე პროქსიმალურ ფაქტორად მიიჩნევა. თვითრეგულაციის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება მორალური მოქმედება, განსაკუთრებით რელევანტურია ანტისოციალური ქცევის თვითმენეჯმენტისათვის(Bandura, 1991). აღქმული თვითრეგულაციის ეფექტურობა, როგორც პირდაპირ, ასევე გაშუალებულად მოქმედებს ანტისოციალურ ქცევაზე, რადგან ის ხელს უწყობს პროსოციალური ქცევის გამოვლენას, აძლიერებს მორალურ თვითსანქიონირებას და ამცირებს მტრული აზრებისადმი მოწყვლადობას(Regalia et al; 2001).

Badura-სა და მისი კოლეგების (2001) მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ კვლევაში, სადაც შეისწავლიდნენ თვითრეგულაციის გავლენას ანტისოციალურ ქცევაზე გამოვლინდა, რომ თვითრეგულაციის რწმენების გავლენა ანტისოციალურ ქცევაზე გაშუალებულია მორალური გამოთიშვის მექანიზმით. მორალური გათიშულობა ასუსტებს თვითკონტროლს დამაზიანებელი ქცევის მიმართ, მორალური სანქციონირება კი ხელს უწყობს პროსოციალური ქცევის გამოვლენას. ადამიანები, რომლებიც ავლენენ მორალური გამოთიშვის მზაობას, მიდრეკილნი არიან აზროვნების ისეთი პატერნებისადმი, რომლებიც იწვევს აგრესიას(Bandura, 2001; Caprara, 2005). მათ ახასიათებთ სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობასთან დაკავშირებული რუმინაციული აზრები და დანაშაულის განცდის დეფიციტი, რაც ზრდის ძალადობრივ ქცევაში ჩართვის ალბათობას. ამის საპირისპიროდ, დაბალი მორალური გამოთიშულობა დაკავშირებულია თვითშეკავების ძლიერ მექანიზმთან. მსგავსი მახასიათებლის მქონე მოზარდები იოლად ივიწყებენ წყენას, აქვთ დანაშაულის შედარებით ძლიერი განცდა და არ ახასიათებთ მტრული რუმინაციები. დესტრუქციული ქცევის წინააღმდეგ მიმართული თვითსანქციონირება აკავებს ამგვარ ქცევას, მსხვერპლისადმი ემპათიისადა და ქცევის შედეგების მიმართ პერსონალური პასუხისმგებლობის განცდის გამო(Carpara, 2005).

მორალურ კოგნიციებს და პრობლემური ქცევის განვითარებას შორის კავშირის შესახებ ერთერთი თეორია ეკუთვნის კოჩანსკას. მისი კვლევები ფოკუსირებული იყო სოციალური სტანდარტების განვითარებასა და ინტერნალიზაციაზე ადრეულ მოზარდებში. ამ კვლევამ აჩვენა, რომ ადრეული მშობლობა და ბავშვის ტემპერამენტის კომპონენტები არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ბავშვის მიერ სოციალური სტანდარტების ინტერნალიზებისათვის. კოჩანსკამ და მისმა კოლეგებმა აჩვენეს, რომ მშობლის ემპათიური დამოკიდებულება და ძალაუფლების იშვიათი გამოყენება ხელს უწყობს ბავშვის მიერ წესებისა და ნორმების ინტერნალიზებას. ბავშვების პოზიტიური დამოკიდებულება წესების შესახებ მეტყველებს მათზე, როგორც „მორალურ ინდივიდებზე“, რომელიც შემდგომ დაკავშირებულია ქცევითი პრობლემების განვითარების ნაკლებ ალბათობასთან. (Kochanska 1997a,b,2002)

თავი 4. ძირითადი ცნებების ოპერაციონალიზაცია

4.1. პრობლემური ქცევა

ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ გავამახვილოთ ყურადღება იმ კონსტუქტებზე, რომელიც კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ძირითად ფოკუსს წარმოადგენს.

ქცევის პრობლემურობას სხვადასხვა კულტურასა თუ სოციუმში სწორედ ის კონტექსტი განსაზღვრავს, სადაც ის აღმოცენდება. პრობლემური ქცევის გავრცელებული განმარტება ეკუთვნის ამერიკელ პროფესორ რიჩარდ ჯესორს : „ ქცევა სოციალურად განსაზღვრულია, როგორც პრობლემური, თუ ის რომელიც ზიანის მომტანია სხვებისათვის და სოციალური ან/და ლეგალური ნორმებისაგან გადახვევას გულისხმობს. ასეთ ქცევას ყოველთვის მოყვება სოციალური კონტროლით გათვალისწინებული რაიმე ტიპის რეაგირება, იქნება ეს სხვების მხრიდან იგნორირება, არმოწონება, გაკიცხვა, ადმინისტრაციული სასჯელი თუ უკიდურეს შემთხვევაში, დაპატიმრება (Jessor, 1989). პრობლემური ქცევა ხელს უშლის მოზარდს გარემოსთან ადაპტაციასა და განვითარების ამოცანების შესრულებაში, ამავე დროს, ზიანს აყენებს მის ჯანმრთელობას (Turbin et al., 2006)

პრობლემური ქცევის ზოგიერთი ფორმა, ყველაზე მეტად მოზარდისათვის, მისი ჯანმრთელობისათვისაა ზიანის მომტანი და სხვა ადამიანებს ნაკლებად აზარალებს. (ალკოჰოლისა თუ ნივთიერებების ბოროტად გამოყენება, Turbin et al., 2006). ისეთ პრობლემური ქცევას, რომელიც სოციალური ნორმების დარღვევას გულისხმობს (ქურდობა, იარაღის ტარება) და საზოგადოებისათვის ზიანის მომტანია, ანტისოციალური ქცევა ეწოდება. (The Gale Encyclopedia of Children`s Health, 2011). პრობლემური ქცევის ერთ-ერთ ფორმაა დელიკვენტური ქცევა, რომელიც გულისხმობს იმ პირის მიერ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც, კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, არასრულწლოვნად ითვლება(Bartol, 2008). ნებისმიერ შემთხვევაში პრობლემური ქცევა აზიანებს განვითარების პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას, ხელს უშლის მოზარდის სოციალურ ურთიერთობებს, სოციალური მოლოდინების განხორციელებას და აუცილებელი სოციალური კომპეტენციის დაუფლებას. შესაბამისად, ფერხდება გარემოსთან ადაპტაციის პროცესი და მოზარდობიდან ადრეულ მოწიფულობაში ადეკვატური გადასვლის შესაძლებლობა (Jessor 1991; Siegel, Walsh, 2008). აღნიშნულ კვლევის ფარგლებში, შევისწავლით პრობლემური ქცევას შემდეგი მიმართულებით : დელიკვენტობა, ალკოჰოლისა და ნივთიერებების მოხმარება (მარიხუანა).

4.2. ინდივიდუალური ფაქტორები

თვითეფექტურობა

ბანდურა თვითეფექტურობას განმარტავს, როგორც რწმენას იმისა, რომ ინდივიდს შეუძლია მომავალში პოტენციურად არსებულ სიტუაციებთან წარმატებით გასამკლავებლად განახორციელოს საჭირო ქცევები, რომლებიც მრავალ ბუნდოვან, გაუთვალისწინებელ და ხშირად სტრესულ ელემენტს მოიცავენ, იქედან გამომდინარე რომ გარემოში არსებული მოვლენები შეიძლება მუდმივად ცვლადებადი და არაპროგრნოზირებადი იყოს. (Bandura, A.,1989). თვითეფექტურობა არის ჩვენი რწმენა, რომ მოცემულ სიტუაციაში შეგვიძლია კომპეტენტური და ადეკვატური ქცევის განხორციელება. (McAdams, D. P., 2006)

ადამიანები, რომლებსაც ზემოაღნიშნული მახასიათებლების მაღალი დონე აქვთ, სწამთ საკუთარი უნარების, წარუმატებლობების შემთხვევაში, სწრაფად აღიდგენენ თვითეფექტურობის განცდას, რადგან მარცხს მიაწერენ არასაკმარის ძალისხმევას ან ცოდნისა თუ უნარების დანაკლისს, რომელიც შესაძლებელია რომ შეიძინონ და უფრო ეფექტურები იყვნენ. (Bandura, 1994). ამის საწინააღმდეგოდ, კი დაბალი თვითეფექტურობის რწმენის მქონე ადამიანები ადამიანები, ადამიანები ნაკლებად ისწრაფვიან დასახული მიზნისკენ და ეჭვი ეპარებათ საკუთარ შესაძლებლობებში. რთულ სიტუაციებში ყოფნისას, ისინი ფიქრობენ საკუთარ ნაკლოვანებებზე, შემხვედრ დაბრკოლებებზე და მოსალოდნელ არასასურველ შედეგზე. (Bandura, 1994).

თვითეფექტურობა არ არის გლობალური ცნება. ის სიტუაციიდან სიტუაციაში, იმ უნარების მიხედვით იცვლება, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა ქმედების განსახორციელებლად; თვითეფექტურობა იცვლება ჩვენი წინასწარი მზაობის, ჩვენი ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაღლილები ვართ, ვშფოთავთ ან/და დათრგუნულები ვართ. თუ ადამიანი ცხოვრობს არახელსაყრელ გარემოში, სადაც ნაკლებად აქვს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, სხვა ადამიანები ნაკლებად უწევენ მხარდაჭერას და ნაკლებად ავლენენ თბილ ურთიერთობებს მის მიმართ, მოსალოდნელია რომ ინდივიდის თვითეფექტურობა შემცირდება. აღნიშნულ კვლევის ფარგლებში, შევისწავლით თვითეფექტურობას, როგორც ინდივიდუალურ ფაქტორს, ასევე შემდეგი მახასიათებლების მიხედვით : სოციალური რესურსების გამოყენება, სწავლის პროცესის წარმართვა, ექსტრაკურიკულარული აქტივობები, თვითრეგულაციის ეფექტურობა, ასერტული ქცევის განხორციელების ეფექტურობა, სოციალური აქტივობების შესრულება.

თვითრეგულაცია

თვითრეგულაცია ადამიანის პიროვნების ერთერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია, რომელიც ქცევაზე ზემოქმედებს. ეს არის ადამიანის უნარი, გავლენა მოახდინოს საკუთარ მოტივაციასა და ქცევაზე, რაც მიზანმიმართული ქცევის საფუძველს აყალიბებს (Bandura, 1991). თვითრეგულაციის უნარი ეხმარება ადამიანებს აკონტროლონ საკუთარი ფიქრები თუ ქმედებები და წინასწარ გააზრებულად იმოქმედონ სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში.

თვითრეგულაციის მექანიზმი მოიცავს სამ ძირითად ფუნქციას : ქცევის თვითმონიტორინგს, ქცევის განსჯას პერსონალურ სტანდარტებთან და გარემოს პირობებთან მიმართებით; და თვითრეაგირებას.მათი ურთიერთზეგავლენის შედეგად კი ყალიბდება პიროვნების ქცევის რეგულაციის პიროვნული სტანდარტი, რომლიც წარმართავს, მოტივირებას ახდენს და არეგულირებს ადამიანის ქცევას.

თვითმონიტორინგი

თვითმონიტორინგი გულისხმობს საკუთარ ქმედებაზე, ქცევის განხორციელების პირობებსა და მის პირობებზე და შედეგებზე ყურადღების მიპყრობას(Bandura, 1991). თვითმონიტორინგის პროცესში ადამიანები აკვირდებიან საკუთარი აზროვნების პატერნებს, ემოციურ რეაქციებს, ქცევას და იმ პირობებს, რომელშიც ეს ქცევა ხორციელდება და აფასებენ პროგრესს ამ მიმართულებით.

განსჯა

ინიდივიდის მიერ საკუთარი ქცევის თვითწარმართვადობისათვის მხოლოდ მასზე დაკვირვება და მონიტორინგი არ არის საკმარისი. ქცევა თვითწარმართვადი ხდება განსჯის/შეფასების ფუნქციის მეშვეობით, რომელიც ძირითადად გულისხმობს ქცევის შეფასებას პიროვნული და სოციალური სტანდარტების შესაბამისად. ბანდურა ამბობდა, რომ თავდაპირველად, ადამიანმა შეიძლება განსაჯოს საკუთარი ქცევა იმ სტანდარტის მიხედვით, რომელსაც მას სოციალური გარემო უყენებს, იმ ნორმებისა და სანქციების სახით, რომელიც საზოგადოებაშია დაწესებული. ეს სტანდარტები ადამიანმა შეიძლება აითვისოს, როგორც პირდაპირი სწავლების, ასევე იმ რეაქციების შეფასებით, რომელთაც სხვები გამოხატავენ ადამიანის ქცევაზე(Bandura, 1991). ადამიანები პერსონალურ სტანდარტს აყალიბებენ ნაწილობრივ იმის საფუძველზე, თუ როგორ რეაგირებენ მისთვის მნიშნელოვანი სხვა ადამიანები მათ ქცევაზე.

თვითრეაგირება

ბანდურა მიიჩნევდა, რომ თვითრეაგირება უზრუნველყოფს პიროვნების სტანდარტებისთვის რელევანტური ქცევის განხორციელებას(Bandura, 1991). ანტიციპაციური აფექტური რეაქციების წყალობით, ადამიანები მისდევენ ქცევის იმ კურსს, რომელიც პოზიტიური თვითრეაქციის მომტანია და თავს იკავებენ ისეთი ქცევისაგან, რომლის შედეგიც თვითცენზურასთანაა დაკავშირებული. ამდენად წინასწარ წარმოსახული თვითკმაყოფილება ან უკმაყოფილება მოქმედების რეგულატორია.

თვითრეგულაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ანტისოციალური ქცევის კონტროლში. სოციალიზაციის პროცესში ინდივიდები ითვისებენ იმ მორალურ სტანდარტებს, რომლებიც თამაშობენ ქცევის მიმართულების მიმცემ და მაკონტროლებენ როლს. მაშინ როდესაც პიროვნული სტანდარტი და ინტერნალიზებული კონტროლი ვითარდება, ადამიანები ქცევას იმ სანქციების მიხედვით არეგულირებენ, რომელსაც საკუთარ თავს უყენებენ. აღნიშნულ კვლევის ფარგლებში, ყურადღება იქნება გამახვილებული თვითრეგულაციის ინდივიუალურ ფაქტორზე, როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან პერსპექტივაში.

3.4 აღქმული სოციალური გარემო

ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა, განსაზღვრულ ეტაპებზე მის განვითარებაზე სხვადასხვა სოციალური აგენტები ახდენენ ზეგავლენას. ეს შეიძლება იყვნენ მეგობრები, ოჯახის წევრები, თანატოლები, მასწავლებლები და სხვანი.

მოზარდის პრობლემურ ქცევაზე ფიქრის დაწყებისთანავე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ოჯახის გავლენას განვიხილავთ. ვინაიდან ოჯახი არის სოციალიზაციის ის მთავარი და პირველი აგენტი, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდის პიროვნებად ჩამოყალიბებას, აღნიშნულ კვლევაში სწორედ ოჯახის როლზე იქნება ყურადღება გამახვილებული, განსაკუთრებით კი აღზრდის მეთოდებზე. ოჯახის გავლენა დელიკვენტობის ფორმირებაზე არა მხოლოდ საზოგადოებაში გავრცელებული აზრია, არამედ კვლევებითაც დასტურდება. 1997 წელს, Smith-ისა და Stern-ის მიერ განხორციელებულ კვლევაში, რომელიც აღნიშნული თემის შესწავლის ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური მცდელობა იყო, ავტორები აღნიშნავდნენ: "ჩვენ ვიცით, რომ ბავშვები, რომლებიც იზრდებიან ოჯახებში, სადაც ნაკლებია სითბო და მხარდაჭერა, რომელთა მშობლებსაც არ აქვთ ქცევის მართვის კარგი უნარები და ხშირია ოჯახური კონფლიქტები, უფრო დიდი ალბათობით ახორციელებენ დელიკვენტურ ქცევას, ვიდრე ის ბავშვები, რომლებიც იზრდებიან მზრუნველობით და მხარდამჭერ გარემოში. მზრუნველ ოჯახს შეუძლია ბავშვის დაცვა დელიკვენტობისაგან მაშინაც კი, როდესაც გარემო (მიკრო თუ მაკროსოციუმი) ძალიან მტრული და სახიფათოა. მშობლების მონიტორინგი და სუპერვიზია არის ოჯახის მენეჯმენტის ის ასპექტები, რომლებიც ყველაზე კონსისტენტურად არის დაკავშირებული დელიკვენტობასთან". (Smith, Stern, 1997)

Lipsey-მა და Derzon-მა (1998) მიმოიხილეს 6-11 წლის ასაკში გამოვლენილი პრედიქტორები, რომლებიც დაკავშირებულია სერიოზულ ძალადობრივ ქცევასთან მოზარდობისა და ადრეული მოწიფულობის პერიოდში (15-25 წლის ასაკში). პრედიქტორები, რომლებიც ყველაზე უკეთ ხსნიდნენ ამგვარ ქცევას, იყო: მშობლების ანტისოციალური ქცევა, ოჯახის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი და ფსიქოლოგიური ფაქტორები (რისკიანობა, იმპულსურობა, კონცენტრაციის პრობლემები). სხვა შედარებით ძლიერი პრედიქტორები კი აღმოჩნდა: ეთნიკური უმცირესობის წევრობა, მშობლისა და შვილის არასათანადო ინტერაქცია (ცუდი სუპერვიზია, დისციპლინა, მშობლების ნაკლები ჩართულობა, სითბოს ნაკლები გამოვლენა), სხვა ოჯახური მახასიათებლები (მშობლების სტრესი, ოჯახის ზომა, მშობლებს შორის კონფლიქტი), ანტისოციალური თანატოლები, დაბალი ინტელექტი და დაბალი აკადემიური მიღწევა.

აღზრდის მეთოდები

აღზრდის მეთოდთა ყველაზე მნიშვნელოვანი განზომილებები, რომლებიც დაკავშირებული პრობლემურ ქცევასთან არის სუპერვიზია, დისციპლინა ან მშობლის მხრიდან ანტისოციალური ქცევის განმტკიცება, სითბოს გამოვლენა ან ემოციური სიცივე და მშობლის ჩართულობა აღზრდის პროცესში. თითოეული მათგანი დაკავშირებულია მოზარდობის ასაკში პრობლემური ქცევის გამოვლენის გაზრდილ რისკთან.

რაც შეეხება აღზრდის სტილ, ის საკმაოდ კარგად შესწავლილი კონსტრუქტია ფსიქოლოგიაში, თუმცა მისი კავშირი დელიქვენტურ ქცევასთან, არც თუ ისე კარგად არის გამოკვლეული. დიანა

ბაუმრიდმა (Diana Baumrind, 1966) თავდაპირველად გამოყო აღზრდის ფართოდ გავრცელებული 3 სტილი: ავტორიტარული, ავტორიტეტული და მიმღები/ლიბერალური .

ავტორიტარული აღზრდის სტილის მქონე მშობლების მკაცრი კონტროლი, ცივი ურთიერთობების ფონზე ხორციელდება; ამგვარი მშობლები შვილებისაგან მოითხოვენ მათი მითითებების უსიტყვო შესრულებას; წესები და ნორმები თითქოს ქვაზეა ამოტვიფრული, ხისტია და განსჯას არ ექვემდებარება; შვილებს მხოლოდ მინიმალურ თავისუფლებას აძლევენ. თუ ბავშვი იწყებს კამათს ან დაჟინებულად ითხოვს თხოვნის შესრულებას, მშობლები გაბრაზდებიან და დასჯიან, შესაძლო ფიზიკურად. ისინი იყენებენ „მიცემა - წართმევის“ და დასჯის მეთოდებს იმისათვის, რომ გააკონტროლონ საკუთარი შვილების ქცევა იძლევიან ბრძანებებს და ელოდებიან თუ როდის იქნება შესრულებული ყველაფერი. ბავშვის ყოველგავარი მისწრაფება ავტონომიისკენ ამ შემთხვევაში შეიძლება გახდეს ფრუსტრირებული.აღზრდის ამ ტიპის მქონე მშობლების შვილები გამოირჩევიან შფოთვის მაღალი დონით, ადვილად ემორჩილებიან ყველა ძლიერს და ძალაუფლების მქონეს; ამგვარი სტილით აღზრდილი ბავშვები, ან პასიურ და უინიციატივო ადამიანებად ყალიბდებიან, ან, პირიქით, გამომწვევად იქცევიან, ადვილად ბრაზდებიან, უმართავი და აგრესიულები არიან.

ლიბერალური აღზრდის სტილის მქონე მშობლები სხვა მშობლებთან შედარებით საკუთარ შვილებს ნაკლებ მოთხოვნებს უყენებენ. ისინი აძლევენ საშუალებას საკუთარ შვილებს დამოუკიდებლად დაარეგულირონ საკუთარი ქცევები, რამდენადაც შესაძლებელია. ისინი ნაკლებად აკონტროლებენ საკუთარ შვილებს და მინიმალური დასჯის მეთოდებს იყენებენ მათთან ურთიერთობისას. ისინი თბილად ექცევიან შვილებს, მაგრამ ყველაფრის ნებას აძლევენ, მინიმალურად ერევიან მათ ცხოვრებაში და არც პრობლემების მოგვარებაში ან გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარებიან. ბაუმრიდის აზრით, ხშირად ესეთი მშობელი იმ გზით, რომ შვილეს აღარ უყენებს აუცილებელ საზღვრებს, ცდილობს შვილის მიმართ უპირობ სიყვარულისა და მიმღებლობის დემონსტარციას. ასეთ ოჯახში გაზრდილი მოზარდები, სუსტი თვითკონტროლისა და იმპულსურობის გამო, ხშირად არღვევენ წესებს და ნორმებს.

ავტორიტეტული სტილის მქონე მშობლები აკონტროლებენ შვილების ცხოვრებას, მაგრამ ინარჩუნებენ თბილ ურთიერთობას, აღიარებენ მოზარდის მზარდ მოთხოვნილებას, იყოს დამოუკიდებელი და ხელს უწყობენ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; მათთვის დასაშვებია დადგენილ ნორმებზე მსჯელობა და წესების შეცვლა გარკვეულ ფარგლებში. მათი გადაწყვეტილებები არ ჩანან უსამართლოდ და ამიტომაც ბავშვი ადვილად ეთანხმება მათ. ამგვარი აღზრდის სტილის მშობლები მზად არიან მოისმინონ საკუთარი შვილების წინააღმდეგობები და დაუთმონ როდესაც ეს მიზანშეწონილია. ასეთი მშობლების შვილები გამოირჩევიან პასუხისმგებლობით, დამოუკიდებლობით; კარგად სწავლობენ და აქვთ ადეკვატურად მაღალი თვითშეფასება; დარწმუნებულნი არიან საკუთარ თავში და განვითარებული აქვთ თვითკონტროლი და სოციალური უნარ-ჩვევები.

მოგვიანებით, აღზრდის სტილის მოდელები განავრცო ლაურენს სტეინბერგმა და მისმა კოლეგებმა(Darling & Steinberg, 1993) მისი თეორიის მიხედვით გამოიყოფა აღზრდის 4 სტილი : ავტორიტეტული, ლიბერალური, ავტორიტარული და ინდიფერენტული.

ინდიფერენტული აღზრდის სტილის მქონე მშობლების შვილებთან ურთიერთობის სტილიც დაბალი კონტროლითა და მომთხოვნელობით ხასიათდება, მაგრამ ამას ერთვის ცივი დამოკიდებულება შვილების მიმართ. ისინი არ უყენებენ არანაირ მოთხოვნებს შვილებს იმიტომ, რომ არ სცალიათ მათთვის, საკუთარი პრობლემებით არიან დაკავებული. მშობლების მხრიდან ასეთი იგნორირება მოზარდში არასრულფასოვნების გრძნობას იწვევს. ხშირად, ასეთ ოჯახში გაზრდილი მოზარდები გამოირჩევიან აგრესიულობით.

სწორედ, სტეინბერგისა და მისი კოლეგების მიერ შექმნილი მოდელი იქნა შესწავლილი კემბრიჯის კვლევაში და გამოვლინდა, რომ ავტორიტარული აღზრდა ძალადობრივი დანაშაულის მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი პერდიქტორია (ჰიპერაქტიურობისა და ყურადღების დეფიციტის შემდეგ) (Farrington, 1994). ამავე დროს, ავტორიტარული მშობელი ბავშვობის ასაკის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკფაქტორია, რომელიც განასხვავებს ძალადობრივი და არაძალადობრივი დანაშაულისაკენ მიდრეკილ პირებს (Farrington, 1991). ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ მშობლების აღზრდის სტილის გავლენა ბავშვის თვითშეფასებასა და ზოგადად მის განვითარებაზე კულტურებისა და სუბკულტურების მიხედვითაც შეიძლება განსხვავდებოდეს. თუმცა, როგორც გამოიკვეთა, აღზრდის ავტორიტეტულ სტილს შუალედური პოზიცია უჭირავს აღზრდის სხვა მიდგომებთან შედარებით. მკაფიო და ზუსტი დირექტივები საკუთარი შვილების მიმართ, დისციპლინარულობა გათანაბრებულია სითბოსთან, მოქნილობასთან და ვერბალურ შეთახმებასთან. სწორედ ამიტომ, არ არის გასაკვირი, როომ არაერთი კვლევის მიხედვით ბავშვის განვითარებისთვის ყველაზე მისაღებ და მიდგომად, სწორედ ავტორიტეტული აღზრდის სტილი მიიჩნევა, რომელიც პოზიტიური მშობლობის საფუძველია.

პოზიტიური მშობლობა საკმაოდ ფართო მნიშვნელობის კონსტრუქტია და რთული მისი უნივერსალური განსაზღვრები პოვნა. თუმცა ევროპაში მიღებული განსაზღვრების მიხედვით, პოზიტიური მშობლობა არის ბავშვის აღზრდის მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს მშობელი-შვილის ისეთ ურთიერთობას, რომელიც დამყარებულია ორმხრივ პატივისცემაზე, ბავშვის სრული განვითარების პოტენციალის ფასილიტაციასა და უნარზე ერთმანეთის ინტერესები გაიმიჯნოს კონსტრუქციული გზებით. აქცენტი კეთდება, კარგი/სასურველი ქცევის წახალისებაზე, ნათელი და ცხადი წესების დადგენაზე, დროის გამოყოფაზე ერთმანეთის მოსმენისა და გუნდურად მუშაობისათვის და რა თქმა უნდა, ფიზიკური დასჯის ნაცვლად, პოზიტიური დისციპლინის გამოყენებაზე. (Daphne, 2009). პოზიტიურ მშობლობასთან დაკავშირებული საკითხები ასევე მნიშვნელოვან კავშირშია დაკავშირებული პრობლემური ქცევის პრევენციასთან. (Prather & Golden, 2009).

აღნიშნულ კვლევაში ყურადღება იქნება გამახვილებული დიანა ბაუმრიდის მიერ შემოთავაზებულ აღზრდის სტილებზე : ლიბერალური, ავტორიტარული და ავტორიტეტული.

თავი 5. კვლევის საკითხის განსაზღვრა

კვლევის შეკითხვა და ჰიპოთეზები. პრობლემის ფორმულირების საფუძველზე გამოიკვეთა კვლევის მთავარი შეკითხვა- ოჯახური და ინდივიდუალური დონის *რა ფაქტორებია დაკავშირებული პრობლემური ქცევისადმი მოწყვლადობას ქართველ მოზარდებში?* შეკითხვაზე საპასუხოდ შემუშავებული პრობლემური ქცევის გარემოსა და ინდივიდუალურ ფაქტორთა ურთიერთმიმართების მოდელის ემპირიული შემოწმებისათვის, მნიშვნელოვანია კონკრეტული შეკითხვებისა და მასთან დაკავშირებული ჰიპოთეზები ფორმულირება, კერძოდ:

1. **რა გავლენას ახდენს აღზრდის სტილი პრობლემურ ქცევაზე?**
   1.1. აღზრდის ავტორიტარული სტილი დადებითად არის დაკავშირებული პრობლემურ ქცევასთან.
   1.2. აღზრდის ავტორიტეტული სტილი უარყოფითად არის დაკავშირებული პრობლემურ ქცევასთან.
   1.3. აღზრდის ლიბერალური სტილი დადებითად არის დაკავშირებული სოციალური ნორმების დარღვევით გამოწვეულ პრობლემურ ქცევასთან

2. **რა გავლენას ახდენს აღზრდის სტილი პიროვნების თვითეფეტურობაზე?**
   2.1. ავტორიტეტული აღზრდის სტილი დადებითად არის დაკავშირებული თვითეფექტურობასთან.
   2.2. ავტორიტარული აღზრდის სტილი უარყოფითად არის დაკავშირებული თვითეფექტურობასთან

3. **რა გავლენას ახდენს აღზრდის სტილი პიროვნების თვითრეგულაციაზე?**

მშობლის აღზრდასთან დაკავშირებული ფაქტორები მოქმედებს თვითრეგულაციის სტანდარტების ჩამოყალიბებაზე შემდეგი გზით :

   3.1. ავტორიტეტული აღზრდის სტილი დადებითად არის დაკავშირებული თვითრეგულაციასთან.

4. **რა გავლენას ახდენს პიროვნების თვითეფექტურობა პრობლემურ ქცევაზე?**

თვითეფექტურობის განცდის მაღალი დონე კავშირშია პრობლემური ქცევის დაბალ ინდექსთან

5. **რა გავლენას ახდენს პიროვნების თვითრეგულაცია პრობლემურ ქცევაზე?**

თვითრეგულაციის მაღალი დონე კავშირშია პრობლემური ქცევის დაბალ ინდექსთან

6. **როგორია ურთიერთმიმართება პიროვნების ფაქტორთა შორის?**

თვითეფექტურობა და თვითრეგულაცია დადებითად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

7. **ბიჭებში უფრო მაღალია პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებელი, ვიდრე გოგონებში**

8. **მოზარდობის ასაკის მატებასთან ერთად, იმატებს პრობლემური ქცევის ინდექსი**
9. **მშობლის კვალიფიკაციის მაღალი დონე დაკავშირებულია მოზარდის პრობლემური ქცევის დაბალ ინდექსთან**

კვლევის ცვლადები. კვლევის დამოკიდებული ცვლადია პრობლემური ქცევა, რომელიც მოიცავს დელიკვენტობას, ალკოჰოლისა და ნივთიერებების ბოროტად მოხმარებას. კვლევის დამოუკიდებელი ცვლადებია აღქმული სოციალური გარემოს ფაქტორი - აღზრდის სტილი და ინდივიდუალური ფაქტორები-თვითეფექტურობა და თვითრეგულაცია.

კონსტრუქტთა შორის ურთიერთმიმართების მოდელი. კვლევაში ჩართული ცვლადები სამი ძირითადი კონსტრუქტის გარშემო იყრის თავს, ესენია: აღქმული სოციალური გარემო, პიროვნება და პრობლემური ქცევა. აღქმულ სოციალურ გარემოში მოიაზრება აღზრდის სტილი. პიროვნების კონსტრუქტი კი მოიცავს პიროვნების ფაქტორებს: თვითეფექტურობის რწმენებს და თვითრეგულაციას. პრობლემურ ქცევაში მოიაზრება - დელიკვენტური ქცევა,ალკოჰოლისა და ნივთიერებების მოხმარება.

აღქმული სოციალური გარემო	პიროვნება	პრობლემური ქცევა
•აღზრდის სტილი;	•თვითეფექტურობა; •თვითრეგულაცია;	•დელიკვენტობა; •ალკოჰოლის მოხმარება •ნივთიერებების მოხმარება (მარიხუანა)

თავი 6. კვლევის მეთოდი

6.1. კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ 12 -18 წლამდე მოზარდები ქ. თბილისის შემდეგი სკოლებიდან : 21-ე საჯარო სკოლა , 55-ე საჯარო სკოლა, 115-საჯარო სკოლა, ევროპული სკოლა. კვლევაში სულ მონაწილეობდა სულ 200 მოზარდი. მათი განაწილება სქესის, ასაკის, ეროვნებისა და სხვა დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით წარმოდგენილია აღწერითი სტატისტიკის ქვეთავში.

6.2. კვლევის ინსტრუმენტი

მონაცემთა მოპოვებისთვის გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, გამოკითხვა ხდება თვითანგარიშის კითხვარის საფუძველზე. მოზარდთა პრობლემურ ქცევასთან დაკავშირებული ლიტერატურა საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის პრობლემური ქცევის გაზომვადი ფაქტორების შესახებ, რომლის გამოვლენაც რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე არის შესაძლებელი.

აღზრდის სტილის კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა მშობლის აღზრდის სტილის კითხვარი (Parental Authority Questionnaire, PAQ, John R.Buri, 1991) აღნიშნული კითხვარი შეიმნა იმ მიზნით, რომ გაეზომა ბაუმრიდის ავტორიტეტული, ავტორიტარული და ლიბერალური აღზრდის სტილი. ის შედგება 30 დებულებისაგან და გამოიყენება როგორც მშობლების, ასევე აღმზრდელებისათვის. თითოეული ქულა არის მიღებული მოზარდების მიერ საკუთარი მშობლის/აღმზრდელის შეფასების შედეგად. სხვადასხვა კვლევის მონაცემებმა ცხადჰყო აღნიშნული ინსტრუმენტის სანდოობა და ვალიდობა ბაუმრიდის მიერ აღწერილი აღზრდის სტილების გასაზომად და სხვადასხვა კორელაციების კვლევისას. აღნიშნული ინსტრუმენტი შესაფერისია როგორც გოგო, ასევე ბიჭი გვიანი მოზარდებისთვის ან ადრეული მოზრდილებისათვის.

ინდივიდუალური ცვლადების შეფასებისთვის ორი ინსტრუმენტი გამოიყენება. თვითრეგულაციის უნარის შეფასებისთვის გამოიყენება მოზარდთა თვითრეგულაციის კითხვარი(Adolescents' Self-Regulation Inventory – ASRI, Moilanen, 2006), რომელიც თეორიულ საფუძველზე დამყარებული თვითრეგულაციის საზომი ინსტრუმენტია და აფასებს ხანმოკლე და ხანგრძლივი თვითრეგულაციის უნარს. ინსტრუმენტი შექმნილია ვირჯინიის უნივერსიტეტის პროფესორის Kristin Moilanen -ისა და მისი კოლეგების მიერ, 2006 წელს. აღნიშნულ კვლევაში ინსტრუმენტი ასევე გამოყენებული დროის 2 პერსპექტივის - ხანმოკლე და გრძელვადიანი თვითრეგულაციის გასაზომად. მოცემული კითხვარი შედგება 27 დებულებისგან, რომლებიც წარმოდგენილია 5 ბალიანი ლაიკერტის ტიპის სკალაზე (აბსოლუტურად არასწორია; უფრო მეტად არასწორია; არც სწორია და არც არასწორი; უფრო მეტად სწორია; აბსოლუტურად სწორია).

თვითეფექტურობის რწმენების შესაფასებლად გამოიყენება „ბავშვთა და მოზარდთა თვითეფექტურობის სკალის" (Bandura, 1990; Bandura et al., 1996) კვლევისთვის რელევანტური ქვესკალები, კერძოდ: სოციალური რესურსების გამოყენება, სწავლის პროცესის წარმართვა, ექსტრაკურიკულარული აქტივობები, თვითრეგულაციის ეფექტურობა, ასერტული ქცევის

განხორციელების ეფექტურობა, სოციალური აქტივობების შესრულება. ქვესკალათა გაერთიანების საფუძველზე მიიღება 35 დებულება, რომლებიც 3 საფეხურიან სკალაზე ზომავს რესპონდენტთა დათანხმები ხარისხს (არ ვარ დარწმუნებული, რომ შემიძლია, ნაწილობრივ დარწმუნებული ვარ, რომ შემიძლია, დარწმუნებული ვარ, რომ შემიძლია)

კვლევის დამოკიდებული ცვლადის მოზარდთა პრობლემური ქცევის - შეფასებისათვის გამოიყენება რიგის სკალა, რომელიც ზომავს ორი ტიპის პრობლემურ ქცევას, კერძოდ, ესაა: 1. დელიკვენტური ქცევა, მათ შორის ქურდობა, ვანდალიზმი, ფიზიკური აგრესია და 2. ნივთიერებების ბოროტად გამოყენება, მათ შორის სიგარეტისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების სიხშირე. თითოეული ტიპის პრობლემური ქცევა შეფასებულია მისი გამოვლენის სიხშირის მიხედვით, 5–ბალიან ლაიკერტის ტიპის სკალაზე. დელიკვენტური ქცევის ქვესკალა მოიცავს 10 დებულებას, ალკოჰოლის მოხმარების სკალა - 6 დებულებას. ნივთიერებების ბოროტად გამოყენების სკალა - 9 დებულებას. სკალის ჯამური ქულა ანგარიშდება თითოეულ ქვესკალაზე მიღებული ქულის შეკრების საფუძველზე. მაღალი ქულა მიუთითებს პრობლემური ქცევის განხორციელების მაღალ ალბათობაზე, ხოლო დაბალი – პრობლემური ქცევის განხორციელების დაბალ ალბათობაზე.

6.3. პროცედურა

მოზარდების საკვლევი ჯგუფისათვის მონაცემები შეგროვდა თბილისის 21-ე, 55-ე, 115-საჯარო და ევროპული სკოლაში. კითხვარის ადმინისტრირება მოხდა მცირე ჯგუფებში (10 მოზარდი). კვლევაში მონაწილეობის მიღება იყო ნებაყოფლობითი. პროცედურის დაწყებამდე მონაწილეებისგან მიღებული იყო ინფორმირებული თანხმობა. მოზარდებს ეძლეოდათ კითხვარი შევსებასთან დაკავშირებული სტანდარტული ინსტუქცია ვერბალურად,ასევე ბეჭდური სახით მითითებული იყო კითხვარის დასაწყისში. კითხვარის შევსებას დაახლოებით 20-30 წთ დასჭირდა.

ინსტრუქცია: მოგესალმებით, მე გახლავართ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება" სტუდენტი. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ვატარებ კვლევას, რომლის მიზანია სასკოლო ასაკის მოზარდების ფსიქოლოგიურ მახასიათებლების შესწავლა. ქვემოთ მოცემული კითხვარის შევსებას სჭირდება დაახლოებით 20-30 წუთი. თქვენ მიერ გაცემული პასუხები ანონიმურია, თქვენი მონაცემები კონფიდენციალურია და მათი გამოყენება მოხდება მხოლოდ მოცემული კვლევის ფარგლებში. გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ კვლევაში და გულწრფელად უპასუხოთ დებულებებს. მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

თავი 7. მიღებული შედეგების ანალიზი

7.1. კვლევის ინსტრუმენტების სანდოობის შემოწმება

სკალების სანდოობის შემოწმების მიზნით, დადგინდა შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი-კრონბახის ალფა. შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი გამოთვლილ იქნა თითოეული ძირითადი სკალისა და ქვესკალების მიხედვით.

- აღზრდის სტილი ქვესკალების მიხედვით

სკალები	კრონბახის ალფას მნიშვნელობა
ლიბერალური აღზრდის სტილი	.613
ავტორიტარული აღზრდის სტილი	.737
ავტორიტეტული აღზრდის სტილი	.739

- თვითეფექტურობის რწმენები ქვესკალების მიხედვით

სკალები და ქვესკალები	კრონბახის ალფას მნიშვნელობა
თვითეფექტურობა	.911
სოციალური რესურსების გამოყენება	.705
სწავლის პროცესის წარმართვა	.769
ექსტრაკურიკულარული აქტივობების შესრულება	.779
თვითრეგულაცია	.842
ასერტული ქცევის განხორციელება	.821
სოციალური აქტივობების შესრულება	.740

- თვითრეგულაცია ქვესკალების მიხედვით

სკალები და ქვესკალები	**კრონბახის ალფას მნიშვნელობა**
თვითრეგულაცია	.798
ხანგრძლივი თვითრეგულაცია	.760
ხანმოკლე თვითრეგულაცია	.565

- პრობლემური ქცევა ქვესკალების მიხედვით

სკალები და ქვესკალები	**კრონბახის ალფას მნიშვნელობა**
პრობლემური ქცევა	.884
დელიკვენტობა	.812
ალკოჰოლის მოხმარება	.735
ნივთ. მოხმარება (მარიხუანა)	.750

სკალის დებულება	დებულების კორელაცია საერთო ჯამურ ქულასთან	კრონბახის ალფა, თუ დებულება წაიშლება
Pa 20	.111	.757

როგორც აღნიშნული ცხრილებიდან ჩანს, ყველაზე ძლიერი შინაგანი შეთანხმებულობა გამოვლინდა თვითეფეტურობის სკალისათვის (α=.911), ხოლო შედარებით სუსტი შინაგანი შეთანხმებულობა გამოვლინდა ლიბერალური აღზრდის სტილისა (α=.613) და ხანმოკლე თვითრეგულაციის ქვესკალებისათვის (α=.565).

აღზრდის სტილის მიხედვით ყველაზე მაღალი შინაგანი შეთანხმებულობა აქვს ავტორიტეტული აღზრდის სტილს. (α=.739)

თვითეფექტურობის ქვესკალების მიხედვით ყველაზე მაღალი შინაგანი შეთანხმებულობა აქვს თვითრეგულაციის ქვესკალას. (α=.842)

თვითრეგულაციის მიხედვით ყველაზე მაღალი შინაგანი შეთანხმებულობა აქვს ხანგრძლივ თვითრეგულაციას (α=.760)

პრობლემური ქცევის ქვესკალების მიხედვით, ყველაზე მაღალი შინაგანი შეთანხმებულობა აქვს დელიკვენტობას. (α=.812)

აღზრდის სტილის სკალის მეათე დებულება *(„ოჯახური საკითხების განხილვისას, დედა ითვალისწინებს ჩემი/შვილების მოსაზრებებს, თუმცა არ იღებს გადაწყვეტილებებს მხოლოდ იმის მიხედვით, რომ ჩვენ უბრალოდ ასე გვინდა.)*, რომელიც ავტორიტეტული აღზრდის

სტილთან არის დაკავშირებული, არის ერთადერთი, რომლის წაშლითაც გაზრდებოდა სკალის შინაგანი შეთანხმებულობა (იხ. ცხრილი.) მოცემული დებულების კრიტიკულობას შეიძლება განაპირობებდეს მისი შინაარსი,რომელიც შეიძლება ზუსტად და გასაგებად არ იყო ფორმულირებული კვლევის შერჩევისათვის. (შექმნილია აღნიშნული კითხვარის სამუშაო ვერსია).

ძირითადი სკალების და მათი ქვესკალების საშუალო მაჩვენებლები და სტანდარტული დევიაცია მთლიან შერჩევაზე:

სკალები/ქვესკალები	**N**	**Mean**	**Std.deviation**
ლიბერალური აღზრდის სტილი	200	32.33	5.04
ავტორიტარული აღზრდის სტილი	200	26.87	5.99
ავტორიტეტული აღზრდის სტილი	200	37.13	5.75
თვითეფექტურობა	200	86	11.72
სოც.რესურსების გამოყენება	200	10	1.94
სწავლის პროცესის წარმართვა	200	19	3.36
ექსტრაკურიკულარული აქტივობები	200	18.7	3.65
თვითრეგულაცია	200	17.74	3.32
ასერტული ქცევის განხორციელება	200	10.3	2.09
სოც.აქტივობების შესრულება	200	10.3	1.92
თვითრეგულაცია	200	87.83	12.14
ხანმოკლე	200	41.29	5.97
ხანგრძლივი	200	46.54	7.65
პრობლემური ქცევა	200	41.52	12.99
დელიკვენტობა	200	19.34	7.14
ალკოჰოლის მოხმარება	200	10.38	4.80
ნივთიერებების მოხმარება (მარიხუანა)	200	11.79	3.42

7.2. მონაწილეთა დემოგრაფიული მახასიათებლების აღწერა

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 12-დან 18 წლამდე ასაკის 200-მა მოზარდმა.. კვლევის მონაწილეთა შორის იყო 113 (56.5%) გოგო და 87 (43.5%) - ბიჭი. მათი საშუალო ასაკი 14.2 წელია. თითქმის ყველა მონაწილე არის ეროვნებით ქართველი (197-98.5%), ხოლო სხვა ეროვნების წარმომადგენლები (სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი და სხვა) ერთობლივად წარმოადგენენ შერჩევის 1.5 %-ს. კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ 7 - 11 კლასის მოსწავლეები.

- კვლევის მონაწილეთა განაწილება რაოდენობის, სქესის, ასაკის, კლასისა და ეროვნებისა მიხედვით

შერჩევის მოცულობა	საშუალო ასაკი	სქესი		ეროვნება					კლასი				
		გოგო	ბიჭი	ქართ.	სომეხი	აზერბ.	რუსი	სხვ.	7	8	9	10	11
200	14.2	113 (56.5%)	87 (43.5%)	197 (98.5%)	0 (0%)	2 (1%)	0 (0%)	1(0,5%)	51 (25.5%)	39 19.5 %	77 (38.5%)	30 (15%)	12 (2%)

- სასკოლო ნიშნების საშუალო მაჩვენებელი სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

	გოგო	ბიჭი
სასკოლო ნიშნების საშუალო მაჩვენებელი	8.71	8.24

ასაკობრივი ჯგუფები

	12	13	14	15	16	17
სასკოლო ნიშნების საშუალო მაჩვენებელი	8.88	8.62	8.48	8.69	8.10	7.73

კვლევის მონაწილეთა ნიშნების გათვალისწინებით აღმოჩნდა, რომ გოგონებისა და ბიჭების სასკოლო ნიშნების მაჩვნებელი თითქმის თანაბარია. გოგონები (8,71) და ბიჭები (8,24)

აღწერითმა სტატისტიკამ ასევე გვაჩვენა, რომ ასაკის მატებასთან ერთად მოზარდების სასკოლო ნიშნების საშუალო მაჩვენებლი კლებულობს.

- სკოლაში პრობლემების სიხშირული განაწილება

პრობლემები სკოლაში	წესების დარღვევა	სკოლიდან გარიცხვა	დროებით დათხოვნა სკოლიდან	კლასში ჩარჩენა	არცერთი
199 (miss.1)	33 (16,5%)	1 (0,5%)	1(0,5%)	6 (3%)	158 (79%)

ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას მოსწავლეთა განაწილების შესახებ სკოლაში გამოვლენილი პრობლემების მიხედვით, როგორც ვხედავთ, კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას (158-79%) არ ჰქონია პრობლემები სკოლაში. 33 (16.5%) მოზარდი კი აღნიშნავს, რომ ჰქონდა წესების დარღვევა/პირობითი სასჯელი.

- ოჯახის სტრუქტურის მიხედვით სიხშირული განაწილება

ოჯახის სტრუქტურა	არასრული (მხოლოდ ერთი მშობელი)	ნუკლეარული (მშობლები ან/და სიბლინგები)	გაფართოებული (მშობელი/ბლები და ბებია-ბაბუა)	მზრუნველი (არცერთი მშობელი, სხვა მზრუნველი)
195 (miss.5)	13 (6,5%)	120 (60%)	58 (29%)	4 (2%)

ოჯახური სტრუქტურის მიხედვით გამოიყოფა ოთხი ჯგუფი: 1-არასრული (მხოლოდ ერთი მშობელი), 2-ნუკლეარული (მშობლები და შვილები), 3- გაფართოებული (ემატება ბებია-ბაბუა და სხვა ნათესავები), 4- მზრუნველი (არ ზრდიან მშობლები და იზრდება სხვა მზურნველთან). კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა (120-60%) ცხოვრობს ნუკლეარულ ოჯახში.

- მშობლების პროფესიის(კვალიფიკაციის 4 დონე) მიხედვით სიხშირული განაწილება

	დაწყებითი, საბაზო განათლება	**საშუალო განათლება**	**უმაღლესი განათლება (1-3 წ)**	**უმაღლესი განათლება (3-6წ)**	**უმუშევარი**
დედის პროფესია	0 (0%)	25 (12,5%)	36(18%)	51 (25,5%)	58
მამის პროფესია	3 (1,5%)	43 (21,5%)	26 (13%)	67 (33,5%)	16

ცხრილის მიხედვით გამოიყოფა სამუშაო კვალიფიკაციის ოთხი დონე. პროფესიის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ხასიათის, ფორმალური განათლების დონისა და არაფორმალური ანუ სამსახურის პირობებში ტრენინგების რაოდენობითა და შესაბამისი პროფესიის ფარგლებში არსებული წარსული გამოცდილების გათვალისწინებით. სამუშაო კვალიფიკაციის პირველი დონე - ითვალისწინებს მარტივი და რუტინული ფიზიკური სამუშაოს შესრულებას, რომლისათვის საჭიროა დაწყებითი ან საბაზო განათლების პირველი ეტაპი. მეორე დონე - მოითხოვს წიგნიერების შედარებით მაღალ დონეს, არითმეტიკულ და პროფესიული ურთიერთობების უნარებს, საჭიროა საშუალო განათლების პირველი ან მეორე ეტაპის ქონა. მესამე დონე - მოითხოვს სპეციალიზებას და ფაქტობრივი, ტექნიკური, პროცედურული ცოდნის ფაქრთო სპექტრს. საჭიროა უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტში 1-3 წლის სწავლის გამოცდილება. მეოთხე დონე - მოითხოვს სპეციალიზაციის სფეროში რთული პრობლემების მოგვარებას, გადაწყვეტილების მიღებას, თეორიული და ფაქტობრივი ცოდნის ფართო სპექტრზე დაფუძნებულ კრეატიულობას. საჭიროა უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტში 3-6 წლის სწავლის გამოცდილება როგორც ცხრილიდან ჩანს კვლევის მონაწილე მოზარდთა მშობლების (დედა-51-25.5%, მამა-67-33,5%) უმეტესობა აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით მეოთხე დონეს წარმოადგენს.

7.3 ჯგუფთა შორის შედარება

7.3.1. დემოგრაფიულ მახასიათებლებს შორის ურთიერთმიმართება

- სქესი და სასკოლო პრობლემები

დემოგრაფიული ბლოკის მონაცემების მიხედვით ჯგუფებს შორის განსხვავებების გამოვლენისთვის გამოყენებულ იქნა ხი კვადრატი. გოგონებთან(13-11.6%) შედარებით ბიჭების(20-23.0%) უფრო მეტ რაოდენობას აქვს პრობლემები სკოლაში, კერძოდ - წესების დარღვევა. ჯგუფებს შორის აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად სანდოა (Chi-Square 11.393 P<.001)

	პრობლემები სკოლაში					ჯამური (miss.1)
	წესების დარღვევა	სკოლიდან გარიცხვა	დროებით სკოლიდან დათხოვნა	კლასში ჩარჩენა	არ ცერთი	
გოგო	13	0	1	1	7	112
ბიჭი	20	1	0	5	1	87

- ასაკი(სამ ჯგუფი- ადრეული მოზარდობა 12-13; შუა პერიოდის მოზარდობა -14,15; გვიანი -16,17) და სასკოლო პრობლემები

	პრობლემები სკოლაში					ჯამური (miss. 1)
	წესების დარღვევა	სკოლიდან გარიცხვა	დროებით სკოლიდან დათხოვნა	კლასში ჩარჩენა	არ ცერთი	
ადრეული მოზარდობა (12-13წ)	7	1	0	1	49	58
შუა პერიოდის მოზარდობა (14-15წ)	23	0	1	5	76	105
გვიანი	3	0	0	0	33	36

მოზარდობა (16-17წ)						

ასაკი გაყოფილია სამ ჯგუფად- 1-ადრეული მოზარდობა (12-13წ), 2-შუა პერიოდის მოზარდობა (14-15წ), 3- გვიანი მოზარდობა (16-17წ). აღნიშნული ჯგუფებიდან წესების დარღვევა ყველაზე დიდი სიხშირით გვხვდება შუა პერიოდის მოზარდებს შორის (23-21.9%) ჯგუფებს შორის აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად სანდოა (Chi-Square 11.301 P<.001)

- ოჯახის სტრუქტურა და სასკოლო პრობლემები

ოჯახის სტრუქტურის მიხედვით დაყოფილ ჯგუფებსა და სასკოლო პრობლემებს შორის სტატისტიკურად სანდო კავშირი არ გამოვლინდა (Chi-Square 3.668 P>.001)

- მშობლების კვალიფიკაციის დონე და სასკოლო პრობლემები

მშობლების სამუშაოს კვალიფიკაციის მიხედვით დაყოფილ ჯგუფებსა და სასკოლო პრობლემებს შორის არ გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო კავშირი. (Chi-Square 12.308, P>.001)

7.3.2. სქესის ნიშნით გაყოფილი ჯგუფების შედარება

- აკადემიური მიღწევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით

	გოგო		**ბიჭი**	
	Mean	SD	Mean	SD
აკადემიური მიღწევა	8.71	1.27	8.24	1.41

Independent-samples t-test-ის გამოყენებით შედარდა მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა აკადემიური მიღწევის ქულათა საშუალო მაჩვენებლები. საკვლევი ცვლადის მიხედვით ბიჭებისა (M = 8.24, SD = 1.41) და გოგონების (M = 8.71, SD = 1.27) ჯგუფებს შორის t (197) = 2.47, p= .014 (two·tailed) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა. გოგონების ჯგუფში უფრო მაღალია აკადემიური მიღწევის საშუალო მაჩვენებელი, ბიჭებთან შედარებით, თუმცა საშუალოების განსხვავების მნიშვნელობა (mean difference = .473, 95% Cl: .096 to .850) ძალიან მცირე (eta squared = .03) იყო.

- თვითრეგულაციის ჯამური მაჩვენებლის და ქვესკალების მიხედვით

	გოგო		**ბიჭი**	
	Mean	SD	Mean	SD
თვითრეგულაცია	88,19	13,74	87,55	10,81

Independent-samples t-test-ის გამოყენებით შედარდა მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა თვითრეგულაციის ქულათა საშუალო მაჩვენებლები. საკვლევი ცვლადის მიხედვით გოგონებისა (M = 88,19, SD = 13,74) და ბიჭების (M = 87,55, SD = 10,81) ჯგუფებს შორის t (198) = -.367, p= .714 (two·tailed) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლინდა. საშუალოების განსხვავების მნიშვნელობა (mean difference = -.637, 95% Cl: -4.06 to 2.78) ძალიან მცირე (eta squared = .0006) იყო.

სქესის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლინდა არც თვითრეგულაციის სუბსკალების - ხანმოკლე და ხანგრძლივი თვითრეგულაციის მიხედვით. ხანმოკლე თვითრეგულაციის მიხედვით გოგონებისა (M = 41,03, SD = 5,55) და ბიჭების(M = 41,62, SD =6,49) ჯგუფებს შორის t (198) = -.686, p= .494(two·tailed) . ასევე, ხანგრძლივი თვითრეგულაციის მიხედვით ხანმოკლე თვითრეგულაციის მიხედვით გოგოებისა(M = 46,52, SD = 6,88) და ბიჭების(M = 46,57, SD = 8,58) ჯგუფებს შორის t (198) = -.048, p= .962 (two·tailed) .

- თვითეფექტურობის ჯამური მაჩვენებლის და ქვესკალების მიხედვით

	გოგო		**ბიჭი**	
	Mean	SD	Mean	SD
თვითეფექტურობა	87,40	10,79	84,16	12,65

Independent-samples t-test-ის გამოყენებით შედარდა მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა თვითეფექტურობის ქულათა საშუალო მაჩვენებლები. საკვლევი ცვლადის მიხედვით გოგონებისა (M = 87,40 SD = 10,79) და ბიჭების (M = 84,16, SD = 12,65) ჯგუფებს შორის t (198) = 1,95, p= .052 (two·tailed) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა. გოგონების ჯგუფში უფრო მაღალია თვითეფექტურობის საშუალო მაჩვენებელი,ბიჭებთან შედარებით, თუმცა საშუალოების განსხვავების მნიშვნელობა (mean difference = 3,24, 95% Cl: -0,27 to 6,51) მცირე (eta squared = .01) იყო.

სქესთან დაკავშირებით თვითეფექტურობის ქვესკალების მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა სოციალური რესურსების გამოყენებაში .გოგოებისა(M

= 10,22, SD = 1,95) და ბიჭების(M = 9,68, SD =1,88) ჯგუფებს შორის t (198) = 1,93, p= .054(two·tailed) . გოგონების ჯგუფში უფრო მაღალია სოციალური რესურსების გამოყენების მაჩვენებელი ბიჭებთან შედარებით,თუმცა საშუალოების განსხვავების მნიშვნელობა (mean difference = .531, 95% Cl: -.009 to 1,07) მცირე (eta squared = .01) იყო.

- პრობლემური ქცევის ჯამური მაჩვენებლისა და ქვესკალების მიხედვით

	გოგო		**ბიჭი**	
	Mean	SD	Mean	SD
პრობლემური ქცევა	39,55	11,67	44,06	14,20

Independent-samples t-test-ის გამოყენებით შედარდა მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა პრობლემური ქცევის ქულათა საშუალო მაჩვენებლები. საკვლევი ცვლადის მიხედვით გოგონებისა (M = 39,55 SD = 11,67) და ბიჭების (M = 44,06, SD = 14,20) ჯგუფებს შორის t (198) = -2,46, p= .015 (two·tailed) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა. ბიჭების ჯგუფში უფრო მაღალია პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებელი, გოგონებთან შედარებით. საშუალოების განსხვავების მნიშვნელობა (mean difference = -4,51 , 95% Cl: -8,12 to -.901) მცირე (eta squared = .02) იყო.

სქესთან დაკავშირებით პრობლემური ქცევის ქვესკალების მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა დელიკვენტობისა და ნივთიერებების მოხმარების (მარიხუანას) მიხედვით.

დელიკვენტობის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები დადგინდა, გოგოებისა(M = 18,32, SD = 6,34) და ბიჭების(M = 20,65, SD =7,91) ჯგუფებს შორის t (198) = -2,30, p= .022 (two·tailed) . ბიჭების ჯგუფში უფრო მაღალია დელიკვენტობის საშუალო მაჩვენებელი, გოგონებთან შედარებით. საშუალოების განსხვავების მნიშვნელობა (mean difference = -2,32, 95% Cl: -4,31 to 3,39) მცირე (eta squared = .03) იყო.

ნივთიერებების მოხმარების (მარიხუანას) მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები დადგინდა, გოგოებისა(M = 11,32, SD = 2,89) და ბიჭების(M = 12,40, SD =3,94) ჯგუფებს შორის t (198) = -2,22. p= .027(two·tailed) . ბიჭების ჯგუფში უფრო მაღალია ნივთიერებების მოხმარების (მარიხუანას) საშუალო მაჩვენებელი, გოგონებთან შედარებით. საშუალოების განსხვავების მნიშვნელობა (mean difference = -1,07, 95% Cl: -2,02 to -.12) მცირე (eta squared = .03) იყო.

- აღზრდის სხვადასხვა სტილის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით

	გოგო		**ბიჭი**	
	Mean	SD	Mean	SD
ავტორიტარული	26	5,71	28	6,20
ავტორიტეტული	11,32	2,89	12,40	3,94

Independent-samples t-test-ის გამოყენებით შედარდა მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა აღზრდის სტილის. სქესობრივ ჯგუფებს შორის, აღზრდის სტილის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა ავტორიტარულ და ავტორიტეტულ აღზრდის სტილებს შორის.

ავტორიტარული აღზრდის სტილი მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები დადგინდა გოგოებისა (M = 26, SD = 5,71) და ბიჭების(M = 28, SD =6,20) ჯგუფებს შორის t (198) = -2,35, p= .020 (two·tailed) . ბიჭების ჯგუფში უფრო მაღალია ავტორიტარული აღზრდის საშუალო მაჩვენებელი, გოგონებთან შედარებით, თუმცა საშუალოების განსხვავების მნიშვნელობა (mean difference = -1,99, 95% Cl: -3,65 to -.32) მცირე (eta squared = .03) იყო.

ავტორიტეტული აღზრდის სტილის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები დადგინდა, გოგოებისა(M = 11,32, SD = 2,89) და ბიჭების(M = 12,40, SD =3,94) ჯგუფებს შორის t (198) = 2,74. p= .007(two·tailed) . ბიჭების ჯგუფში უფრო მაღალია ავტორიტეტული აღზრდის საშუალო მაჩვენებელი, გოგონებთან შედარებით. საშუალოების განსხვავების მნიშვნელობა (mean difference = 2,21 95% Cl: .62 to 3.80) მცირე (eta squared = .04) იყო.

7.3.3. ასაკის ნიშნით გაყოფილი ჯგუფების შედარება

- აკადემიური მიღწევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით

ცალმხრივი დისპერსიული ანალიზი გამოყენებულ იქნა ასაკობრივ კატეგორიებს შორის აკადემიური მიღწევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით განსხვავების შესაფასებლად. მონაწილეები ასაკის მიხედვით დაყოფილ იქნა 3 ჯგუფად - 1. ადრეული მოზარდობა (12-13 წელი), 2. შუა მოზარდობა (14-15 წელი) და 3. გვიანი მოზარდონა (16-17 წელი). ასაკობრივი კატეგორიის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებს შორის აკადემიური მიღწევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა (F(2,196)=4.327, p<.05). მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფებს შორის განსხვავება აღწევს სტატისტიკური მნიშვნელოვნების დონეს, eta squared-ის მიხედვით, ჯგუფებს შორის განსხვავება საკმაოდ მცირეა და უდრის .04-ს. Post hoc ანალიზმა, Turkey HSD ტესტის გამოყენებით, გვიჩვენა, რომ სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდებიან მოზარდები აკადემიური მიღწევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, ადრეული (M=8.76, p<.05) და გვიანი(M=7.94, p<.05) მოზარდობის ასაკში. ამავე დროს, სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შუა მოზარდობისა(M=8.56, p<.05) და გვიანი მოზარდობის ასაკში (M=7.94, p<.05) მყოფი მოზარდები აკადემიური მიღწევის საშუალო

მაჩვენებლის მიხედვით. აკადემიური მიღწევის საშუალო მაჩვენებელი მცირდება ასაკის მატებასთან ერთად.

- აღზრდის სხვადასხვა სტილის მაჩვენებლების მიხედვით

ცალმხრივი დისპერსიული ანალიზი გამოყენებულ იქნა ასაკობრივ კატეგორიებს შორის აღზრდის სხვადასხვა სტილის ჯამურ მაჩვენებლის მიხედვით განსხვავების შესაფასებლად. გამოყოფილია აღზრდის 3 სტილი : ავტორიტეტული, ავტორიტარული და ლიბერალური. მონაწილეები ასაკის მიხედვით დაყოფილ იქნა 3 ჯგუფად - 1. ადრეული მოზარდობა (12-13 წელი), 2. შუა მოზარდობა (14-15 წელი) და 3. გვიანი მოზარდონა (16-17 წელი). ასაკობრივი კატეგორიის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებსა და აღზრდის ავტორიტეტულ სტილს შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა. ($F(2,197) = 3,739$, $p < .05$). მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფებს შორის განსხვავება აღწევს სტატისტიკური მნიშვნელოვნების დონეს, eta squared-ის მიხედვით, ჯგუფებს შორის განსხვავება საკმაოდ მცირეა და უდრის .04-ს.
Post hoc ანალიზმა, Turkey HSD ტესტის გამოყენებით, გვიჩვენა, რომ სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდებიან მოზარდები აღზრდის ავტორიტეტული სტილის მიხედვით, შუა ($M=37,84$, $p<.05$) და გვიანი($M=34,86$, $p<.05$) მოზარდობის ასაკში. ავტორიტეტული აღზრდის სტილის ხარისხი მცირდება ასაკის მატებასთან ერთად.

აღზრდის ავტორიტარულ და ლიბერალურ სტილსა და ასაკობრივ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გასხვავებები არ დაფიქსირებულა.

- თვითეფექტურობის სკალის ჯამური მაჩვენებლისა და ქვესკალების მიხედვით

ასაკის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებში არ გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება თვითეფექტურობის რწმენების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ($F(2,197)=.421$, $p>.05$)

- თვითრეგულაციის სკალის ჯამური მაჩვენებლისა და ქვესკალების მიხედვით

ასაკის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებში არ გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება თვითრეგულაციის მაჩვენებლის საშუალო ქულის მიხედვით ($F(2.197)=2.843$, $p>.05$)

- პრობლემური ქცევის სკალის ჯამური მაჩვენებლისა და ქვესკალების მიხედვით

სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა ასაკობრივი ნიშნით გაყოფილი ჯგუფებს შორის განსხვავება პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ($F(2.197)=16.523$, $p<.001$). eta squared-ის

მიხედვით, ჯგუფებს შორის განსხვავება პრობლემური ქცევის საშუალო ქულის მიხედვით უდრის 0.15-ს. Post hoc ანალიზმა, Turkey HSD ტესტის გამოყენებით, გვიჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება, პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, ადრეული ასაკის მოზარდებსა(M=36.6, p<.001) და გვიანი ასაკის მოზარდებს(M=51.2, p<.001) შორის. ასევე, სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან შუა მოზარდობის ასაკში მყოფი მოზარდები(M=40.9, p<.001) და გვიანი მოზარდობის ასაკში მყოფი მოზარდები(M=51.2, p<.001), პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით. ასაკის მატებასთან ერთად იზრდება პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებელი.

7.3.4. ოჯახის სტრუქტურის მიხედვით გაყოფილი ჯგუფების შედარება

- აღზრდის სტილის მიხედვით

ოჯახის სტრუქტურის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებს შორის არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება ლიბერალური აღზრდის სტილის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (F(3.191)=1.104, p>.05); ოჯახის სტრუქტური ნიშნით გაყოფილ ჯგუფებს შორის არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება ავტორიტარული აღზრდის სტილის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (F(3.191)=.615, p>.05); ოჯახის სტრუქტური ნიშნით გაყოფილ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა განსხვავება ავტორიტეტული აღზრდის სტილის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (F(3.191)=3.176, p<.05); eta squared-ის მიხედვით, ჯგუფებს შორის განსხვავება ავტორიტეტული აღზრდის სტილი საშუალო მაჩვენებლის მიხედვით უდრის 0.05-ს. Post hoc ანალიზმა, Turkey HSD ტესტის გამოყენებით, გვიჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება, არასრულ(M=33.6, p<.05) და ნუკლეარულ(M=37.9, p<.05) ოჯახებს შორის, ავტორიტეტული აღზრდის სტილის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით. ნუკლეარულ ოჯახებში ავტორიტეტული აღზრდის სტილის გამოყენების საშუალო მაჩვენებელი აღემატება არასრულ ოჯახებში ანალოგიურ მაჩვენებელს.

- თვითრეგულაციის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით

ოჯახის სტრუქტურის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებს შორის არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება თვითრეგულაციია საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (F(3,191)=.239, p>.05)

- თვითეფექტურობის რწმენების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით

ოჯახის სტრუქტურის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებს შორის არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება თვითეფექტურობის რწმენების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (F(3,191)=.273, p>.05)

- პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით

ოჯახის სტრუქტურის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა განსხვავება პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (F(3.191)=1.976, p<.05). eta

squared-ის მიხედვით, ჯგუფებს შორის განსხვავება პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით უდრის 0.02-ს. Post hoc ანალიზმა, Turkey HSD ტესტის გამოყენებით, გვიჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება, ნუკლეარულ ოჯახებში მცხოვრები მოზარდების პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებელსა(M=41,2, p<.05) და მზრუნველის გარეშე მცხოვრები მოზარდების პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებლის(M=54.8, p<.05) მიხედვით. მზრუნველის გარეშე მცხოვრები მოზარდების პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებელი აღემატება ნუკლეარულ ოჯახში მცხოვრები მოზარდების საშუალო მაჩვენებელს.

7.3.5. მშობელთა კვალიფიკაციის მიხედვით გაყოფილი ჯგუფების შედარება

დედის კვალიფიკაცია

- თვითრეგულაციის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით

მშობლის (დედის) კვალიფიკაციის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებს შორის არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება თვითრეგულაციის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (F(2.109)=3.602, p>.05)

- თვითეფექტურობის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით

მშობლის (დედია) კვალიფიკაციის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა განსხვავება მოზარდის თვითეფექტურობის რწმენების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (F(2.109)=3.934, p<.05). eta squared-ის მიხედვით, ჯგუფებს შორის განსხვავება, თვითეფექტურობის რწმენების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, უდრის 0.06-ს. Post hoc ანალიზმა, Turkey HSD ტესტის გამოყენებით, გვიჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება მე-2 დონის კვალიფიკაციით დასაქმებული დედის მქონე მოზარდების თვითეფექტურობის რწმენების საშუალო მაჩვენებელსა(M=83.3, p<.05) და მე-4 დონის კვალიფიკაციით დასაქმებული დედის მქონე მოზარდების თვითეფექტურობის რწმენების საშუალო მაჩვენებელს(M=86.5, p<.05) შორის. დედის კვალიფიკაციის მაღალ დონესთან დაკავშირებულია თვითეფექტურობის რწმენების შედარებით მაღალი საშუალო მაჩვენებელი.

- პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით

მშობლის (დედის) კვალიფიკაციის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებს შორის არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება მოზარდთა პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (F(2,109)=.017, p>.05).

მამის კვალიფიკაცია

- თვითრეგულაციის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით

მშობლის (მამის) კვალიფიკაციის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებს შორის არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება თვითრეგულაციის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (F(3.135)=2.007, p>.05)

- თვითეფექტურობის რწმენების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით

მშობლის (მამის) კვალიფიკაციის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებს შორის არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება თვითრეგულაციის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (F(3.135)=1.640, p>.05)

- პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით

მშობლის (მამის) კვალიფიკაციის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებს შორის არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (F(3.135)=.728, p>.05)

7.4. კორელაციური ანალიზი

7.4.1. აღზრდის სტილი და პრობლემური ქცევა

ურთიერთკავშირი აღზრდის სტილსა და პრობლემურ ქცევას შორის ნაკვლევია პირსონსის პროდუქტ-მომენტის კორელაციის კოეფიციენტით. წინასწარი ანალიზი გვიჩვენებს, რომ უზრუნველყოფილია ნორმალური განაწილება.
აღზრდის ავტორიტეტულ სტილსა და პრობლემურ ქცევას შორის დაფიქსირდა საშუალო სიძლიერის უარყოფითი კორელაცია r = - .251 n = 200 , p<.0005. აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია პრობლემური ქცევის დაბალ დონესთან.

- ✓ ავტორიტეტულ აღზრდის სტილსა და დელიკვენტობას შორის დაფიქსირდა დაბალი უარყოფითი კორელაცია r = - .243 n = 200 , p<.0005. აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია დელიკვენტური ქცევის დაბალ ინდექსთან.
- ✓ ავტორიტეტულ სტილსა და ალკოჰოლის მოხმარებას შორის დაფიქსირდა დაბალი უარყოფითი კორელაცია r = - .167 n = 200 , p<.0005. აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია ალკოჰოლის მოხმარების დაბალ ინდექსთან.
- ✓ ავტორიტეტულ სტილსა და მარიხუანას მოხმარებას შორის დაფიქსირდა დაბალი უარყოფითი კორელაცია r = - .211 n = 200 , p<.0005. აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია მარიხუანას მოხმარების დაბალ ინდექსთან.

- ლიბერალურ აღზრდის სტილსა და პრობლემურ ქცევას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი არ გამოვლინდა.

- ავტორიტარულ აღზრდის სტილსა და პრობლემურ ქცევას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი არ გამოვლინდა

7.4.2. აღზრდის სტილი და ინდივიდუალური დონის ცვლადები

თვითრეგულაცია

ურთიერთკავშირი აღზრდის სტილსა და თვითრეგულაციას შორის ნაკვლევია პირსონსის პროდუქტ-მომენტის კორელაციის კოეფიციენტით. წინასწარი ანალიზი გვიჩვენებს, რომ უზრუნველყოფილია ნორმალური განაწილება.

- ✓ აღზრდის ლიბერალურ სტილსა და თვითრეგულაციას შორის დაფიქსირდა საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია $r = .269$ $n = 200$, $p<.0005$. აღზრდის ლიბერალური სტილი დაკავშირებულია თვითრეგულაციის მაღალ ინდექსთან.
- ✓ აღზრდის ლიბერალურ სტილსა და ხანმოკლე თვითრეგულაციას შორის დაფიქსირდა დაბალი დადებითი კორელაცია $r = .141$ $n = 200$, $p<.0005$. აღზრდის ლიბერალური სტილი დაკავშირებულია ხანმოკლე თვითრეგულაციის მაღალ ინდექსთან.
- ✓ აღზრდის ლიბერალურ სტილსა და ხანგრძლივი თვითრეგულაციას შორის დაფიქსირდა საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია $r = .317$ $n = 200$, $p<.0005$. აღზრდის ლიბერალური სტილი დაკავშირებულია ხანგძლივი თვითრეგულაციის მაღალ ინდექსთან.
- ✓ აღზრდის ავტორიტარულ სტილსა და ხანმოკლე თვითრეგულაციას შორის დაფიქსირდა დაბალი უარყოფითი კორელაცია $r = -.161$ $n = 200$, $p<.0005$. აღზრდის ავტორიტარული სტილი დაკავშირებულია ხანმოკლე თვითრეგულაციის დაბალ დონესთან.
- ✓ აღზრდის ავტორიტეტული სტილსა და თვითრეგულაციას შორის დაფიქსირდა საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია $r = .415$ $n = 200$, $p<.0005$. აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია თვითრეგულაციის მაღალ დონესთან.
- ✓ აღზრდის ავტორიტეტული სტილსა და ხანმოკლე თვითრეგულაციას შორის დაფიქსირდა საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია $r = .266$ $n = 200$,

p<.0005. აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია ხანმოკლე თვითრეგულაციის მაღალ დონესთან.

- ✓ აღზრდის ავტორიტეტული სტილსა და ხანგრძლივი თვითრეგულაციას შორის დაფიქსირდა საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია r = .451 n = 200 , p<.0005. აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია ხანგძლივი თვითრეგულაციის მაღალ დონესთან.

თვითეფექტურობის რწმენები

ურთიერთკავშირი აღზრდის სტილსა და თვითეფექუტობას შორის ნაკვლევია პირსონსის პროდუქტ-მომენტის კორელაციის კოეფიციენტით. წინასწარი ანალიზი გვიჩვენებს, რომ უზრუნველყოფილია ნორმალური განაწილება.

- ✓ აღზრდის ლიბერალურ სტილსა და თვითეფექტურობას შორის დაფიქსირდა დაბალი დადებითი კორელაცია r = .149 n = 200 , p<.0005. აღზრდის ლიბერალური სტილი დაკავშირებულია თვითეფექტურობის მაღალ ინდექსთან.
- ✓ აღზრდის ლიბერალურ სტილსა და სოციალური რესურსების გამოყენებას შორის დაფიქსირდა დაბალი დადებითი კორელაცია r = .173 n = 200 , p<.0005. აღზრდის ლიბერალური სტილი დაკავშირებულია სოციალური რესურსების გამოყენების მაღალ დონესთან.
- ✓ აღზრდის ლიბერალურ სტილსა და ასერტულ ქცევას შორის დაფიქსირდა დაბალი დადებითი კორელაცია r = .196 n = 200 , p<.0005. აღზრდის ლიბერალური სტილი დაკავშირებულია ასერტული ქცევის განხორციელების მაღალ დონესთან.
- ✓ აღზრდის ლიბერალურ სტილსა და სოციალური რესურსების გამოყენებას შორის დაფიქსირდა დაბალი დადებითი კორელაცია r = .196 n = 200 , p<.0005. აღზრდის ლიბერალური სტილი დაკავშირებულია ასერტული ქცევის განხორციელების მაღალ დონესთან.

- აღზრდის ავტორიტარულ სტილსა და თვითეფექტურობას შორის არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი.

- ✓ აღზრდის ავტორიტეტულ სტილსა და თვითეფექტურობას გამოყენებას შორის დაფიქსირდა საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია r = .389 n = 200 ,

p<.0005. აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია თვითეფექტურობის მაღალ დონესთან.

- ✓ აღზრდის ავტორიტეტულ სტილსა და სოციალური რესურსების გამოყენებას შორის დაფიქსირდა საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია r = .338 n = 200 , p<.0005. აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია სოციალური რესურსების გამოყენების მაღალ დონესთან.
- ✓ აღზრდის ავტორიტეტულ სტილსა და სწავლის პროცესის წარმართვას შორის დაფიქსირდა საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია r = .304 n = 200 , p<.0005. აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია სწავლის პროცესის წარმართვის მაღალ დონესთან.
- ✓ აღზრდის ავტორიტეტულ სტილსა და ექსტრაკურიკულარული აქტივობების შესრულებას შორის დაბალი დაფიქსირდა დადებითი კორელაცია r = .249 n = 200 , p<.0005. აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია ექსტრაკურიკულარული აქტივობების შესრულების მაღალ დონესთან.
- ✓ აღზრდის ავტორიტეტულ სტილსა და თვითრეგულაციას შორის დაფიქსირდა დაბალი დადებითი კორელაცია r = .288 n = 200 , p<.0005. აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია თვითრეგულაციის მაღალ დონესთან.
- ✓ აღზრდის ავტორიტეტულ სტილსა და სოციალური აქტივობების შესრულებას შორის დაფიქსირდა დაბალი დადებითი კორელაცია r = .238 n = 200 , p<.0005. აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია სოციალური აქტივობების შესრულების მაღალ დონესთან.

7.4.3. ინდივიდუალური დონის ცვლადები და პრობლემური ქცევა

თვითეფექტურობის რწმენები

ურთიერთკავშირი თვითეფექტურობასა და პრობლემურ ქცევას შორის ნაკვლევია პირსონსის პროდუქტ-მომენტის კორელაციის კოეფიციენტით. წინასწარი ანალიზი გვიჩვენებს, რომ უზრუნველყოფილია ნორმალური განაწილება.

- თვითეფექტურობასა და პრობლემურ ქცევას შორის არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი.

- ✓ პრობლემური ქცევისა და თვითეფექტურობის ქვესკალების მიხედვით გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირები.

პრობლემურ ქცევასა და სწავლის პროცესის წარმართვას შორის შორის დაფიქსირდა დაბალი უარყოფითი კორელაცია r = -.191 n = 200 , p<.0005. სწავლის პროცესის წარმართვის უნარი დაკავშირებულია პრობლემური ქცევის დაბალ ინდექსთან.

თვითრეგულაცია

ურთიერთკავშირი თვითრეგულაციასა და პრობლემურ ქცევას შორის ნაკვლევია პირსონსის პროდუქტ-მომენტის კორელაციის კოეფიციენტით. წინასწარი ანალიზი გვიჩვენებს, რომ უზრუნველყოფილია ნორმალური განაწილება.

- ✓ პრობლემურ ქცევასა და თვითრეგულაციას შორის დაფიქსირდა დაბალი უარყოფითი კორელაცია r = -.159 n = 200 , p<.0005. პრობლემური ქცევა დაკავშირებულია თვითრეგულაცია დაბალ დონესთან.
- ✓ პრობლემურ ქცევასა და ხანგრძლივ თვითრეგულაციას შორის დაფიქსირდა დაბალი უარყოფითი კორელაცია r = -.159 n = 200 , p<.0005. პრობლემური ქცევა დაკავშირებულია ხანგძლივი თვითრეგულაციის დაბალ დონესთან.
- ✓ პრობლემურ ქცევასა და ხანმოკლე თვითრეგულაციას შორის არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი.

7.4.4. აკადემიური მიღწევა და პრობლემური ქცევა

- ✓ პრობლემურ ქცევასა და აკადემიური მიღწევის მაჩვენებელს შორის გამოვლინდა დაბალი უარყოფითი კორელაცია r = -.181 n = 200 , p<.0005. პრობლემური ქცევა დაკავშირებულია აკადემიური მოსწრების დაბალ ინდექსთან.

კორელაცია ძირითად ცვლადებს შორის

	ლიბერალური აღზრდის სტილი	ავტორიტარული აღზრდის სტილი	ავტორიტეტული აღზრდის სტილი
თვითეფექტურობა	R=.149	R=-.005	R=.389
თვითრეგულაცია	R=.269	R=-.110	R=.415
პრობლემური ქცევა	R=.122	R=.061	R=-.251

7.5. რეგრესიული ანალიზი

- თვითრეგულაციის და თვითეფექტურობის რწმენებისგან შექმნილი მოდელის რეგრესული ანალიზი პრობლემური ქცევის ქულათა პროგნოზირებისთვის

იქეგან გამომდინარე, რომ თვითეფექტურობისა და თვითრეგულაციის სკალებსა და პრობლემურ ქცევას შორის კორელაციური კავშირი 0.3 ზე დაბალია, მრავლობითი რეგრესიული ანალიზის გაკეთება ვერ მოხერხდება თვითეფექტურობისა და თვითრეგულაციის სკალების პრობლემურ ქცევასთან მიმართებით პრედიქტორული ღირებულების დადგენის მიზნით.

- აღზრდის სტილის (ავტორიტეტული), თვითრეგულაციისა და თვითეფექტურობის რწმენებისაგან შექმნილი რეგრესიული მოდელით პრობლემური ქცევის ქულათა ვარიაციის ახსნა.

იქედან გამომდინარე, რომ თვითეფექტურობის კორელაციური კავშირი პრობლემურ ქცევასთან 0,3-ზე დაბალია, აღზრდის ავტორიტეტული სტილი და თვითრეგულაცია იქნა გამოყენებული პრობლემური ქცევის ქულათა პროგნოზირებისთვის. ცვლადების ჯგუფის მოცემული მოდელი სტატისტიკურად სანდოა და ხსნის პრობლემური ქცევისადმი მოწყვლადობის მონაცემთა ვარიაბილობის 6,7 %-ს ($R_{adj.}$=.057, F(2,197)=7,035, p<.05). მოდელში სტატისტიკურად სანდო პრედიქტორული ღირებულების მქონე ცვლადია ავტორიტეტული აღზრდის სტილი (B=-.505, p<.05). თვითრეგულაციის სკალის მაჩვენებლის გაკონტროლების პირობებში, ავტორიტეტული აღზრდის სტილი ხსნის

თანატოლთა ზეგავლენისადმი მოწყვლადობის ქულათა ვარიაციის 4%-ს (partial correlations- r=.-203, p<.05).

აღზრდის ავტორიტეტული სტილი, თვითრეგულაცია და თვითეფექტურობის რწმენების ქვესკალებს შორის კორელაციურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ პრობლემური ქცევისადმი მოწყვლადობის ყველაზე მნიშვნელოვანი კორელატებია : ხანგრძლივი თვითრეგულაცია და სწავლის პროცესის წარმართვის თვითეფექტურობა. თუმცა, აღნიშნული ორი ცვლადი არ აღწევს კორელაციური კავშირის იმ სტატისტიკურად მნიშვნელოვან მაჩვენებელს, რომ შევძლოთ რეგრესულ ანალიზის ჩატარება.

7.6. მედიაციური ანალიზი

მედიაციური ანალიზი გამოყენებულ იქნა აღზრდის ავტორიტეტულ სტილსა და პრობლემური ქცევას შორის კავშირში თვიტეფექტურობის რწმენებისა და თვიტრეგულაციის მედიაციური გავლენის შესაფასებლად. აღზრდის სტილთა შორის, მხოლოდ ავტორიტეტულ სტილს პრობლემურ ქცევასთან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია.

მედიაციური ანალიზის პირველ ეტაპზე, ანალიზი გამოყენებულ იქნა აღზრდის ავტორიტეტულ სტილსა და მოზარდთა პრობლემურ ქცევას შორის კავშირის შესაფასებლად, კერძოდ, იმის განსასაზღვრად, ახდენს თუ არა თვითრეგულაციის უნარი მედიაციურ გავლენას აღზრდის მითითებულ სტილსა და პრობლემურ ქცევას შორის კავშირზე. თავდაპირველად შეფასდა, თუ რამდენად აკმაყოფილებდა მოცემული მედიაციური მოდელი რეგრესიის 3 კრიტერიუმს: ავტორიტეტული აღზრდის სტილს აქვს სტატისტიკურად სანდო კავშირი თვითრეგულაციის უნართან (B=.415, p<.001) და პრობლემურ ქცევასთან (B=-.251, p<.001), თუმცა თვითრეგულაცია არ პროგნოზირებს პრობლემურ ქცევას, ავტორიტეტული აღზრდის სტილისაგან დამოუკიდებლად (B=-.066, p>.05) და ამავე დროს, აღზრდის სტილი, შემცირების მიუხედავად, ინარჩუნებს სტატისტიკურად სანდო კავშირს პრობლემურ ქცევასთან, თვითრეგულაციის გაკონტროლების შემთხვევაშიც (B=-.223, P<.05). იმის გათვალისწინებით, რომ დამოუკიდებელი ცვლადის გავლენას დამოკიდებულ ცვლადზე ნარჩუნდება მედიაციური ცვლადის გაკონტროლების შემთხვევაში და ამავე დროს, დამოუკიდებელი ცვლადის გაკონტროლების პირობებში, მედიაციური ცვლადი კარგავს სტატისტიკურად სანდო კავშირს დამოკიდებულ ცვლადთან, მოდელი არ აღმოჩნდა სრული ან/და პარციალური მედიაციური კავშირისთვის კონსისტენტური.

მედიაციური ანალიზის მეორე ეტაპზე, ანალიზი გამოყენებულ იქნა აღზრდის ავტორიტეტულ სტილსა და მოარდის პრობლემურ ქცევას შორის კავშირის შესაფასებლად, კერძოდ, იმის განსაზღვრისთვის, ახდენს თუ არა თვითეფექტურობის რწმენები მედიაციურ გავლენას აღზრდისლ მითითებულ სტილსა და პრობლემურ ქცევას შორის კავშირზე. პირველ ჯერზე შეფასდა, თუ რამდენად აკმაყოფილებს მოცემული მედიაციური მოდელი რეგრესიის 3 კრიტერიუმს: ავტორიტეტული აღზრდის სტილს აქვს სტატისტიკურად სანდო კავშირი თვითეფექტურობის რწმენებთან (B=.389, p<.001) და პრობლემურ ქცევასთან (B=.-251, p<.001), თუმცა თვითეფექტურობის რწმენები არ პროგნოზირებს პრობლემურ ქცევას, ავტორიტეტული

აღზრდის სტილისაგან დამოუკიდებლად (B=-.001, p>.05) და ამავე დროს, აღზრდის სტილი პრაქტიკულად არ იცვლება და ინარჩუნებს სანდო კავშირს პრობლემურ ქცევასთან, თვითეფექტურობის რწმენების გაკონტროლების შემთხვევაშიც (B=-.251, p<.01). იმის გათვალისწინებით, რომ დამოუკიდებელი ცვლადის გავლენა დამოკიდებულ ცვლადზე ნარჩუნდება მედიაციური ცვლადის გაკონტროლების პირობებში და ამავე დროს, დამოუკიდებელი ცვლადის გაკონტროლების პირობებში, მედიაციური ცვლადი კარგავს სტატისტიკურად სანდო კავშირს დამოკიდებულ ცვლადთან, მოდელი არ აღმოჩნდა სრული ან/და პარციაულირ მედიაციური კავშირისთვის კონსისტენტური.

თავი 7. შედეგების განხილვა

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მოზარდთა პრობლემური ქცევასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინდივიდუალური და სოციალური ფაქტორების შესწავლა. ინდივიდუალური ფაქტორებში გამოიყო თვითეფექტურობა და თვითრეგულაცია, ხოლო სოციალურ ფაქტორებში ოჯახთან დაკავშრებული ცვლადები - ოჯახის სტრუქტურა, მშობელთა კვალიფიკაცია დასაქმების მიხედვით და აღზრდის სტილი. კვლევის მთავარი შეკითხვა იყო შემდეგი : აღზრდის სტილის და ინდივიდუალური დონის რა ფაქტორებია დაკავშირებული პრობლემური ქცევისადმი მოწყვლადობასთან ქართველ მოზარდებში. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევების მიმოხილვა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებ, რომ ვივარაუდოდ აღნიშნული ფაქტორებს შორის კვლევისთვის მნიშვნელოვანი კავშირების არსებობა.

პირველ რიგში, დავიწყოთ დემოგრაფიული მახასიათებლებით, რომლებიც ეხება სქესს, ასაკს, აკადემიურ მიღწევას, პრობლემებს სკოლაში, ოჯახის სტურქტურასა და მშობლების კვალიფიკაციას. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბიჭებში უფრო მაღალია პრობლემური ქცევის მაჩვენებელი და ამავე დროს, სასაკოლო პრობლემები, ვიდრე გოგონებში. როგორც აღვნიშნეთ, პრობლემურ ქცევაში იგულისხმება : დელიკვენტობა, ალკოჰოლისა და მახრიანას მოხმარება. ამასთან ლოგიკურად არის დაკავშირებული ის ფაქტი, რომ პრობლემური ქცევის ზრდის კვალდავკალ, ასაკის მატებასთან ერთად, იკლებს აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი. აკადემიური მიღწევის მაჩვენებელი გოგონებთან უფრო მაღალია, ვიდრე ბიჭებთან. აღნიშნული კავშირები შეიძლება დავაკავშიროთ მოზარდი გოგონებისა და ბიჭების სოციალურ როლთან. ბიჭები უფრო ხშირად იმყოფებიან ქუჩაში, სადაც უფრო ხშირად ხვდებიან პრობლემური ქცევის მოდელებს, რომელიც მათთვის მიბაძვის ობიექტებს წარმოადგენენ. რეფერენტული ქცევითი მოდელის როლში ხშირად გვევლინებიან პერსისტენტული დელიკვენტობისკენ მიდრეკილი მოზარდები, მათი ავტონომიურობიდან და დამოუკიდებლობიდან გამომდინარე(Terry Moffitt, 1993). რაც შეეხება გოგონებს, ჩვენს საზოგადოებაში მათ ნაკლებად უწევთ ისეთ გარემოში ყოფნა, სადაც მაღალია პრობლემური ქცევის მოდელებთან ინტერაქციის ალბათობა. წინამდებარე კვლევის მიხედვით, ასევე დადგინდა, რომ ის მოზარდი ბიჭები, რომელთაც აქვთ ავტორიტარული აღზრდის გამოცდილება, უფრო ხშირად ახორციელებენ პრობლემურ ქცევას, ვიდრე გოგონები. ეს კიდევ ერთი არგუმენტია, გოგონებსა და ბიჭებს შორის პრობლემური ქცევის გამოვლენის თვალსაზრისით არსებული განსხვავებების ასახსნელაად.

საინტერესო აღმოჩნდა პრობლემური ქცევის ასაკობრივი დინამიკა. სკოლაში გამოვლენილი პრობლემები ყველაზე ხშირად გვხვდება შუა მოზარდობის ასაკში მყოფ მონაწილეებთან. შუა მოზარდობა მიიჩნევა ტრანზიციის ეტაპად, როდესაც განსაკუთრებით ძლიერდება ქცევითი პრობლემები, რაც დაკავშირებულია თანატოლთა ზეგავლენის გაძლიერებასთან და იდენტობის ფორმირების პროცესთან (Steinberg,2006). გვიანი მოზარდობისa და ადრეული მოწიფულობის დადგომასთან ერთად, მცირდება თანატოლთა ზეგავლენა, მოზარდი მეტად უახლოვდება საკუთარი იდენტობის განსაზღვრის პროცესს, რის კვალობაზეც მცირდება პრობლემური ქცევის გამოვლენის ალბათობა (Brown, 2005).

რას შეეხება ოჯახის სტუქტურის მიხედვით არსებულ მნიშვნელოვან მიგნებებს, აღმოჩნდა, რომ ნუკლეარულ ოჯახებში (როდესაც მოზარდი მშობლებთან ერთად ცხოვრობს), ავტორიტეტული აღზრდის სტილის გამოყენების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე არასრულ ოჯახებში, სადაც მოზარდი მხოლოდ ერთ მშობელთან ერთად ცხოვრობს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სრული ოჯახი, სადაც დედისა და მამის როლები ფუნქციურად გადანაწილებულია, უფრო კარგ საფუძველს ქმნის ავტორიტეტული აღზრდის გამოცდილებისთვის, რაც ერთგვარი დამცავი ფაქტორია მოზარდობის ასაკში პრობლემური ქცევის გამოვლენის თვალსაზრისით. აღნიშნული მოსაზრება დადასტურდა კვლევის მონაცემებითაც, კერძოდ, გამოვლინდა, რომ არასრულ ოჯახში მცხოვრები მოზარდების პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებელი აღემატება ნუკლეარულ ოჯახში მცხოვრები მოზარდების საშუალო მაჩვენებლებს.

ოჯახთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშოს კიდევ ერთი ცვლადის მიმართება მოზარდთა ინდივიდუალ მახასიათებლებთან. როგორც აღმოჩნდა, დედის სამუშაო კვალიფიკაციის მაღალი დონე დაკავშირებულია მოზარდის თვითეფექტურობის რწმენების მაღალ მაჩვენებელთან. მშობლის მაღალკვალიფიციური სამუშაო ერთგვარ კონვენციონალურ როლურ მოდელს წარმოადგენს მოზარდისთვის, რაც პოზიტიურად მოქმედებს თვითეფექტურობის რწმენებზე, რომელიც თავის მხრივ, პრობლემური ქცევის ერთ-ერთი დამცავი ფაქტორია (Bandura, 1986). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მშობლების კვალიფიკაცია მოზარდის თვითეფექტურობის რწმენებზე გავლენას ახდენს მხოლოდ დედის მოდელთან მიმართებით. იგივე კავშირი არ დადასტურდა მამის სამუშაო კვალიფიკაციასთან მიმართებით. ეს შედეგი, გარკვეულწილად, შესაძლებელია ავხსნათ ჩვენი საზოგადოების კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მშობელთა ჩართულობის არათანაბარ განაწილებას ბავშვის აღზრდის პროცესში.

ძირითად ცვლადებს შორის ურთიერთმიმართება

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნება იყო ის, რომ აღზრდის სტილი დაკავშირებულია პრობლემური ქცევისადმი მოწყვლადობასთან ქართველ მოზარდებში. კერძოდ, აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია პრობლემური ქცევის გამოვლენის შემცირებულ რისკებთან. ის მოზარდები, რომელთაც აქვთ ავტორიტეტული აღზრდის გამოცდილება, მშობლების/მზრუნველისაგან იღებენ როგორც ზრუნვასა და მხარდაჭერას, ასევე კონტროლს. მოზარდები ინარჩუნებენ მშობლებთან თბილ ურთიერთობებს და იციან, რომ ხელს შეუწყობენ მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას გარკვეულ ნორმირებულ ჩარჩოებში. შესაბამისად, მცირდება ალბათობა იმისა, რომ ისინი გამოავლენენ ისეთ პრობლემურ ქცევებს, როგორებიცაა : ქურდობა, სხვისი საკუთრების დაზიანება, სახლში გვიან დაბრუნება, ალკოჰოლისა და მარიხუანას მოხმარება და ა.შ. სოციალური დასწავლის თეორიის პერსპექტივიდან, ავტორიტეტული აღზრდის სტილის მქონე მშობლები სწორედ იმ მოდელებს წარმოადგენენ, რომლებიც ხელს უწყობენ მოზარდებს სოციალურ სტანდარტებზე დაფუძნებით შეიძინონ ისეთი პიროვნული სტანდარტები, რომლებიც მათ კონვენციონალური ქცევის შესრულებისაკენ მისცემს მიმართულებას და ანტისოციალური ქცევის გამოვლენის ალბათობას შეამცირებს. ამრიგად, შესაძლებელია ვთქვათ, რომ ავტორიტეტული აღზრდის სტილი- სადაც ერთმანეთს აბალანსებს როგორც ზრუნვა, ასევე კონტროლი, პრობლემური ქცევის გამოვლენის ერთ-ერთი დამცავი ფაქტორია.

კვლევის შედეგების მიხედვით, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თვითრეგულაცია, როგორც ინდივიდუალური დონის ფაქტორი სტატისტიკურად სანდოდ არის დაკავშირებული პრობლემურ ქცევასთან. თვითრეგულაციის დაბალი დონე დაკავშირებულია ანტისოციალური ქცევის გამოვლენის მაღალ დონესთან. ლიტერატურულ მიმოხილვაზე დაყრდობით, შეიძლება ვთქვათ, რომ სოციალიზაციის პროცესში თვითრეგულაციის სამივე კომპონენტის - თვითმონიტორინგის, განსჯისა და თვითრეაგირების ჩამოყალიბების პროცესების არასწორად მიმდინარეობის შედეგად ყალიბდება დაბალი თვითრეგულაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოზარდს უჭირს საკუთარი ქცევების კონტროლი ინტერნალური სტანდარტების შესაბამისად და ძლიერდება მისი მოწყვლადობა გარემოს ზეგავლენის მიმართ. გარემოს ზეგავლენა კი შესაძლოა აისახოს მოზარდის მიერ პრობლემურ ქცევაში ჩართვით, ვინაიდან მოზარდობის ასაკში გავლენის ძირითად წყაროს წარმოადგენენ მოზარდები, რომელთა შორისაც რეფერენტულის

სტატუსს, ძირითადად, სწორედ, დელიკვენტობისადმი მიდრეკილი მოზარდები იძენენ (Moffit, 1993). ის ფაქტი, რომ აღზრდის სტილს, თვითრეგულაციასა და პრობლემურ ქცევას შორის სტატისტიკურად სანდო კავშირი გამოვლინდა, უკვე არსებულ კვლევებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით შემდეგი დასკვნის გამოტანის საფუძველს გვაძლევს: ინდივიდის სოციალიზაციის პროცესში, აღზრდის სტილი არის ის მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორი, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად დაკავშირებულია ინდივიდის სრულფასოვან განვითარებასთან. იქედან გამომდინარე, რომ ავტორიტეტი მშობელი ბავშვს აძლევს პოზიტიურ მოდელს, მოზარდი სოციალური გარემოდან იყალიბებს პიროვნულ იდენტობას და ქმნის საკუთარ მე კონცეფციას (Erikson,1968). სოციალური დასწავლის თეორიის მიხედვით კი, მოზარდს უყალიბდება პიროვნული სტანდარტები, რომელიც ინერნალური თვითრეგულაციის მნიშვნელოვანი საფუძველია. ქცევის შინაგანი სტანდარტებით კონტროლი პრობლემური ქცევის განხორციელების ალბათობას ამცირებს, რაც ზიანის მომტანი შეიძლება იყოს, როგორც მოზარდისთვის, ასევე სოციალური გარემოცვისათვის.

რაც შეეხება მეორე მნიშვნელოვანი პიროვნული ცვლადის - თვითეფექტურობის კავშირს აღზრდის სტილთან, აღმოჩნდა, რომ აღზრდის ავტორიტეტული სტილი დაკავშირებულია თვითეფექტურობის მაღალ დონესთან, სოციალური რესურსების ეფექტურ გამოყენებასთან, სწავლის პროცესის წარმატებით წარმართვასთან, ექსტრაკურიკულარული თუ სოციალური აქტივობების შესრულებასთან. შეიძლება ითქვას, რომ მხარდამჭერი და ემპათიური მშობლის ურთიერთობა მოზარდთან, დადებითად აისახება მისი თვითეფექტურობის ფორმირებაზე, საკუთარი შესაძლებლობების რწმენასა და კონკრეტულ სიტუაციაში, სოციალურად კომპეტენტური ქცევის განხორციელებაზე (Bandura, 1994). ასევე დადგინდა, რომ არა მხოლოდ ავტორიტეტული, არამედ ლიბერალური აღზრდის სტილის დაკავშირებულია თვითეფექტურობის რწმენების გაძლიერებასთან. მოზარდები, რომელთაც აქვთ ლიბერალური აღზრდის გამოცდილება, უფრო მეტ თავისუფლებას, ავტონომიას იღებენ მშობლისაგან, რაც სავარაუდოა, რაც პოზიტიურად მოქმედებს საკუთარი შესაძლებლობების ეფექტიანობის მიმართ დარწმუნებულობის ხარისხზე.

აღსანიშნავია, რომ თვითეფექტურობასა და პრობლემურ ქცევას შორის არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი, გარდა სწავლის პროცესის წარმართვას და პრობლემურ ქცევა შორის უარყოფითი კავშირისა. მოზარდის მიერ სწავლის პროცესის წარმართვის უნარი დაკავშირებულია პრობლემური ქცევის დაბალ ინდექსთან. როდესაც ინდივიდის თვითეფექტურობა, ისეთ ობიექტურ ცვლადზეა დამოკიდებული როგორიცაა

სასწავლო პროცესის წარმართვა, ის დაკავშირებულია ანტისოციალური ქცევის შემცირებულ რისკებთან, ხოლო თვითეფექტურობის სხვა ფაქტორები, რომლებიც პიროვნულ მახასიათებლებთან, პირად თვითეფექტურობასთან არის დაკავშირებული, სუბიექტური შედეგების მომტანია ინდივიდისთვის და ნათელი არ არის მისი კავშირი პრობლემურ ქცევასთან. აღნიშნული კვლევისათვის ჩატარდა მედიაციური ანალიზი, რათა დადგენილიყო ასრულებენ თუ არა თვითეფექტურობის რწმენები და თვითრეგულაცია გამაშუალებლის როლს, აღზრდის სტილსა და პრობლემურ ქცევას შორის კავშირში. აღმოჩნდა, რომ აღზრდის ავტორიტეტული სტილი პრობლემურ ქცევაზე გამაშუალებელი ინდივიდუალური ფაქტორების გარეშე მოქმედებს. აღზრდის სტილი, პრედიქტორული ღირებულების შემცირების მიუხედავად, ინარჩუნებს სტატისტიკურად სანდო კავშირს პრობლემურ ქცევასთან, თვითეფექტურობისა და თვითრეგულაციის ცვლადების გაკონტროლების შემთხვევაშიც. ამგვარი შედეგის ახსნისთვის შესაძლებელია მსჯელობაში ჩავრთოთ ხანმოკლე და ხანგრძლივი თვითრეგულაციის უნარის მოქმედების თავისებურებები.Steinberg (2006) მიხედვით, ხანმოკლე თვითრეგულაცია მეტწილად დაკავშირებულია ემოციურ ფაქტორებთან, როგორიც არის, მაგალითად, მშობლებთან ემოციური მიჯაჭვულობა, ზრუნვა და ემპათია, ხოლო ხანგრძლივი თვითრეგულაციის უნარისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი კოგნიტური კონსტრუქტი, როგორიც განსჯის მომწიფებულობაა. განსჯის მომწიფებულობა პასუხს აგებს მომავალზე ორიენტირებული მიზეზ-შედეგობრივი მსჯელობის ფორმირებაზე, რაც ხანგრძლივ პერსპექტიკაში, საკუთარი ქცევის რეგულაციის საშუალებას იძლევა. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ავტორიტეტული აღზრდის სტილი უფრო მეტად ემოციურ კონსტრუქტებთან არის დაკავშირებული, რაც თავის მხრივ, აკავებს პრობლემურ ქცევას ხანმოკლე პერსპექტივაში, თუმცა გრძელვადიანი თვითრეგულაციის უნარი, როგორც აღვნიშნეთ, მეტწილად, კოგნიტურ ფაქტორების მომწიფებულობით აიხსნება.

თავი 9. დასკვნა

დასკვნის სახით, შეგგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ის ძირითადი შედეგები, რომელიც მიღებულ იქნა კვლევის ბოლოს, და მისი შესაბამისობა კვლევის სამუშაო ჰიპოთეზებთან:

- კვლევის ერთ-ერთი მთავარი ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, აღზრდის სტილი დაკავშირებული უნდა ყოფილი პრობლემური ქცევის გამოვლენასთან, დადასტურდა. აღმოჩნდა, რომ ავტორიტეტული აღზრდის სტილი პრობლემურ ქცევასთან დაკავშირებით სტატისტიკურად ყველაზე სანდო კორელატია. აღზრდის აღნიშნული სტილი ითვლება ყველაზე წარმატებულად და დაკავშირებული პრობლემური ქცევის დაბალ ინდექსთან. ავტორიტეტული და ლიბერალურ აღზრდის სტილსა და პრობლემურ ქცევას შორის მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლინდა.
- ასევე, დადასტურდა კვლევის მეორე და მესამე ჰიპოთეზა აღზრდის სტილისა და ინდივიდუალურ ფაქტორებთან მიმართების შესახებ. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ავტორიტეტული აღზრდის სტილი თვითრეგულაციისა და თვითეფექტურობის რწმენების მაღალ დონესთან არის დაკავშირებული.
- რაც შეეხება მეოთხე და მეხუთე ჰიპოთეზას, ინდივიდუალური ფაქტორებისა და პრობლემური ქცევის ურთიერთკავშირის შესახებ, აღმოჩნდა, რომ პიროვნეული ფაქტორებიდან პრობლემური ქცევის სტატისტიკურად ყველაზე სანდო კორელატი არის თვითრეგულაცია. მოზარდის თვითრეგულაციის მაღალი დონე მიუთითეთებს პრობლემური ქცევის განხორციელების დაბალ ინდექსს. რას შეეხება თვითეფეტურობას, ამ კონსტრუქტსა და პრობლემურ ქცევას შორის სანდო კორელციური კავშირი არ გამოვლენილა.
- ასევე დადასტურდა, მეექვსე პიჰოთეზა პიროვნული ფაქტორების ურთიერთმიმართების შესახებ. თვითრეგულაცია და თვითეფექტურობა ერთმანეთთან სანდოდ არის დაკავშირებული. კერძოდ, მოზარდის თვითეფექტურობის მაღალი დონე, ასევე, მიუთითებს თვითრეგულაციის მაღალ ინდექსს.
- კვლევის მეშვიდე და მერვე ჰიპოთეზები დადასტურდა და აღმოჩნდა, რომ ბიჭებში უფრო მაღალია პრობლემური ქცევის გამოვლენის მაჩვენებელი, ვიდრე გოგონებში და ასაკის მატებასთან ერთად, ეს მაჩვენებელიც უფრო იმატებს.

- რაც შეეხება მეცხრე ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც მშობლის კვალიფიკაციის მაღალი დონე დაკავშირებულია მოზარდის პრობლემური ქცევის დაბალ ინდექსთან, არ დადასტურდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ დედის კვალიფიკაციის მაღალ დონესთან დაკავშირებულია თვითეფექტურობის რწმენების შედარებით მაღალი საშუალო მაჩვენებელი. მამის სამუშაო კვალიფიკაციის მაღალი დონე კი არ არის დაკავშირებული მოზარდის თვითეფექტურობასთან. ეს გარკვეულწილად შესაძლებელია, რომ ჩვენი საზოგადოების კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარეობდეს, ბავშვის აღზრდის პროცესში მშობლების როლების არათანაბარ განაწილებასთან დაკავშირებით.

კვლევის ლიმიტები და რეკომენდაციები სამომავლო კვლეებისათვის.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში აუცილებელია ვისაუბროთ კვლევის იმ შეზღუდვებისა და ლიმიტების შესახებ, რომელიც არსებობდა მისი განხორციელების პროცესში. ასევე ყურადღებას გავამახვილებ იმ რეკომენდაციებზე, რომელიც სასურველია არსებობდეს ამ საკითხთან დაკავშირებული შემდგომი კვლევებისათვის.

კვლევას აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა. პირველი ტიპის შეზღუდვა დაკავშირებულის კვლევის შერჩევის მოცულობასთან. იმისათვის, რომ სტატისტიკურად უფრო სანდო მონაცემები მივიღოთ, სასურველია, კვლევაში ჩართული მოზარდების რაოდენობა გაიზარდოს. გარდა ამისა, კვლევაში არ იყო დაცული გენდერული ბალანსი და საკვლევი მოზარდების უმრავლესობას გოგონები წარმოადგენდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ ბიჭებში უფრო ხშირია პრობლემური ქცევის გავრცელება, სასურველი იქნება, თუ მათი ჩართულობით შერჩევი პოპულაცია უფრო გაიზრდება, შედეგების უფრო ნათლად დანახვის მიზნით.

შემდეგი ლიმიტი ეხება იმას, რომ კვლევისათვის გამოყენებულია იქნა თვითანგარიშის მეთოდები, რომლებიც გულისხმობდა კვლევის მონაწილეების მიერ კითხვარების დამოუკიდებლად შევსებას. აღნიშნული მეთოდები თავისთავად სუბიექტურია და გარკვეული სტერეოტიპებისაკენ მიდრეკილი. შემდგომი რეკომენდაციების სახით უფრო ეფექტური იქნება თუ გაზომვის მრავალმხრივი მეთოდები იქნება გამოყენებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დემოგრაფიული ბლოკის მონაცემები არ არის საკმარისი და კვლევის ეფექტურობისთვის სასურველია უფრო ობიექტური, გარეშე შეფასების გამოყენებაც (მაგალითად, მასწავლებლებთან ან/და მშობლებთან ინტერვიუ, სკოლის დისციპლინური ჟურნალის ჩანაწერები და ა.შ.). კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეზღდვა ეხება მედიაციური ანალიზით მიღებულ შედეგებს. იმისთვის, რომ ავხსნათ მშობლის ავტორიტეტული სტილის პირდაპირი კავშირი მოზარდის პრობლემურ ქცევასთან და თვითრეგულაციისა და თვითეფექტურობის მედიაციური როლის არსებობა ან არარსებობა ამ კავშირში, მნიშნელოვანია უფრო ამომწურავად იქნას შესწავლილი აღზრდის სტილის გავლენა მოზარდის ინდივიდუალური დონის სხვა ფსიქოლოგიური ფაქტორების ფორმირებაზე და ამ ფაქტორთა მიმართება პრობლემურ ქცევასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მოზარდი- განვითარება, ურთიერთობები და კულტურა. ფილიპ რაისი, 1992
2. შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში, ლილი ხეჩუაშვილი თბილისი 2013
3. განვითარების ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკი, თამაზ გოგიჩაიშვილი, თბილისი 2005
4. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №235 2012 წლის 22 მარტი ქ. თბილისი
5. სსიპ "დანაშაულის პრევენციის ცენტრის ფუნქციების აღწერა, 2012 http://prevention.gov.ge/page/4/geo
6. ბავშვის აგრესიულობისა და აღზრდის სტილის კავშირი მარიამ გაბისონია სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, 2016
7. Moffitt T.E. Adolescence Limited and Life-Course-Persistent Antisocial Behavior: A Developmental Taxonomy, 1993
8. Bandura A., (1991).Selective Activation and Disengagement of Moral Control, Journal of Social Issues, Vol. 46. No. 1. 1990, pp 27-46
9. Bandura A., (1991). Social Cognitive Theory of Self-Regulation. Organizational Behavior and Human Decesion Precessess, 50, 248-287;
10. Bandura, A., (1994). Self – Efficacy. Encyclopedia of Human Behavior (VOl. 4, pp 71-81). New-York: Academic Press;
11. Bandura, A., Barbaneli, C., Carpara G.V., Pastorelli C., (1996). Mechanisms of Moral Disengagement in the Exercise of Moral Agency. Journal of Personality and Social Psychology, 71, 364-374
12. Parental attachment and Chinese adolescents' delinquency:The mediating role of moral disengagement, Zhenzhou Bao a, Wei Zhang a, *, Xuefen Lai b, Wenqiang Sun a, Yanhui Wang b , South China Normal University, Guangzhou, China
13. Parenting Styles and Self-Efficacy of Adolescents: Malaysian Scenario, By Cai-Lian Tam, Amanda Chong, Amudha Kadirvelu & Yoon-Ting Khoo , Monash University,2012
14. Siegel, Welsh, Juvenile Delinquency – The Core, 2014 (pp 127-150)
15. Farrington D., The Family Influence on Delinquency, chapter 10, 2012;
16. Intergenerational Transmission of Convictions for Different Types of Offences, D avid P . Fa ington , Maria M . Ttofi , Institute of Criminology Cambridge University Stockholm Criminology Symposium June 20 ,2017
17. Child Delinquency: Early Intervention and Prevention Rolf Loeber, David P. Farrington,2003
18. The origins and development of Problem Behaviour Theory, Richard Jessor, 2016
19. Siegel L., Walsh B., Juvenile Delinquency- Theory, Practice and Law, School and Delinquency, P. 332-355, 2009
20. Bartol & Bartol(2008),Criminal Behavior- Psychological Approach, Chapter 17 (Prevention, Rehabilitation, Intervention- Juvenile Offender
21. Self-control Theory, Cottfredson and Hirschi (1990)

22. Social Control Theory http://criminal-justice.iresearchnet.com/criminology/theories/social-control-theory/
23. The origins and development of Problem Behaviour Theory, Richard Jessor, 2016
24. Adolescent Self-Regulatory Inventory (ASRI Moilanen, 2006)
25. „ბავშთა და მოზარდთა თვითეფექტურობის სკალის“ (Bandura, 1990; Bandura et al., 1996)
26. Parental authority Questionnaire, John R. Buri, University od St. Thomas, 1991
27. სხვა წყაროები: (Erikson, Erik H.,1968).(The Gale Encyclopedia of Children`s Health, 2011 (Tarolla, Wagner, Rabinowitz & Tubman, 2002)(Turbin et al., 2006).(Zigler et al., 1992) (White,2004).(Ellis, 2003).(Daly, 1996)(Collins, 2004)(Travis Hirschi , 1969)(Donovan et al., 1985).(Garmezy, & Rutter, 1990).(Smith & Stren, 1997).(McAdams, D . P., 2006)(Cloninger, S. C., 2004)(Kanfer, 1970). (Gottman & McFall, 1972).(Carpara et al; 2005)(Diana Baumrind, 1966)(Darling & Steinberg, 1993)